

1239
2001

ISSN 1512-0880



53

სამართლებელთა ბიბლიოთეკა

№1(2), 2001

ნოდარ ამალლობელი
შოთა აფაქიძე
ლევან ბერძენიშვილი
თამაზ გამყრელიძე
სესილი გოგიბერიძე
მალხაზ ზაალიშვილი
დავით თარხან-მოურავი
ნანა კანდელაკი
ალექსანდრე კარტოზია
თეიმურაზ კომახიძე

ლია ნადარეიშვილი
თემურ ჟღენტი
ვახტანგ სართანია
აკაკი სიხარულიძე
ბაკურ სულაკაური
ირაკლი ღარიბაშვილი
რევაზ ჟღენტი
თეიმურაზ ჩხენკელი
გულნარა წიკლაური
ირინა ჭანტურიშვილი

ჟურნალის რედაქცია:

ალექსანდრე ლორია – მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი – პასუხისმგებელი მდივანი, მთავარი რედაქტორის მოადგილე
მზია რაზმაძე – კომერციული დირექტორი
გულნარა სტურუა – სამეცნიერო – მეთოდური და კორექსონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი
ნანა ქავთარაძე – საქმის მწარმოებელი და კორექტორი

გამომცემლები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007; გუდიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ.: 93-26-82

ჟურნალი დაკაბადონებულია საქართველოს ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის განყოფილებაში

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია გაწეული ფინანსური დახმარებისათვის მადლიერების გრძნობას გამოხატავენ ფონდი „თავისუფალი საქართველოსა“ და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი.



შინაარსი

საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის რეორგანიზაცია – დღევანდლობის მოთხოვნა... 4

ოფიციალური განყოფილება

კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ 6

იუნესკო საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი 9

ჩვენი ბიბლიოთეკები: მათი მდგომარეობა

ახალი საუკუნის დასაწყისში

ნანა აბრამიძე
ბიბლიოთეკები მარგო წიგნსაცავები კი არა, კაცობრიობის გონების სინთეზია 11

გულნარა სტურუა.
საჭიროა მეგი სიახლე, მეგი შემართება! (სამგრედის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკაში) 13

ინგა ფილაური
საქმე საქებარი – სიგყვა იმედიანი 15

მანანა ქვრივიშვილი
თელიანის ბიბლიოთეკა დღეს 16

წიგნი, კითხვა, ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ლორია
კიტხვის მართვა, როგორც გემოქმედების პედაგოგიური საშუალება: (გამოკვლევა) 17

ნაგო მჭედლიშვილი
მოსაზრებები საბავშვო ლიტერატურასა და კრიტიკაზე 19

სპეციალისტი მსჯელობს, ვითაგამობს...

გულნარა სტურუა
ბიბლიოთეკის მართვა: როგორ გავიგოთ მისი არსი 21

ეთერ ფარეხელაშვილი
თანამედროვე საბიბლიოთეკო პრობლემები. კონცეფციის შექმნის აუცილებლობა 24

მეთოდური სამსახური:

გზა მოღონიზაციისაკენ

გურამ თაყნიაშვილი
მემკვიდრეობა, გამოცდილება და თანამედროვეობა. ახლებური მიდგომის ცდა 27

ისტორიის ფურცლებიდან

ლილი იოსელიანი
ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ბიბლიოთეკის ისტორიიდან 32

სპეციალური და საუწყებო ბიბლიოთეკები

მარინა ჩიქავა
შევიხედოთ საქართველოს ციხის ბიბლიოთეკებში 34

ლევან ბუკია
თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკა 36

გვესაუბრება მკითხველი:

თვა საყვარელიძე
...და მაინც წიგნი! 37

ლალი გვასალია
მივუბრუნდეთ მყუდრო სავანეს 38

თორნიკე გურული
მდიდარი ბიბლიოთეკა – ქვეყნის აყვავების საწინდარი 39

პროფესია და პროფესიონალები

ვენერა შეყილაძე
ბიბლიოთეკარი ხიზაბავრიდან 40

გურამ თაყნიაშვილი
სულიერი სრულყოფის გრძელი გზა: ავტორიტეტი და აღიარება 41

წიგნგაცვლა, საერთაშორისო კონტაქტები

ლამარა მესხიშვილი
წიგნგაცვლის მნიშვნელობა და მისი როლი თინა ჯაჭვაძე 43

ვენა 2 000: ავსტრიის 26-ე საბიბლიოთეკო შეკრება 44

ქართული ენის სიწმინდისათვის

ნინო ჯორბენაძე
“ენაი შემკული და კურთხეული“ 45

ერთი წიგნის ისტორია

სერგო პულუმაშვილი
ერთი გამოცემის შესახებ 46

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები 48

ვერნისაჟი

მარიგა კეკელიძე
...ალბათ ყველაფერი თავისთავად შემოდის ჩემში (გამოფენა ცისფერ გალერეაში) 48

ინფორმაცია

ორი მნიშვნელოვანი ფაქტი ერთდროულად ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია 50

52

მკითხველთა დასახმარებლად

თამარ ბუაღავა.
გავეცნოთ კატალოგებს 53

რევიუ: კინო და მუსიკა

დავით გიგინეიშვილი
“გულის მუსიკა”; “ჩეჩილია ბარგოლი” 55

ბიბლიოთეკაზე ამბობენ 56

წიგნს უმღერიან 56

კონწარას კლები 57

ანდამგორდი 58

ქურნალის წინა ნომერში დაბეჭდილი ლექსგორდის პასუხები 58

Table of Contents:

Reorganization of Georgian Library System
– Urgent Demand 4

Official Part

Law On Parliamentary National Library of Georgia 6
UNESCO. Public Library Manifesto 9

Our Libraries:

*Their Conditions At The Beginning Of The
New Century*

Nana Abramidze
Libraries Are Not Only Depositories, But Also a
Synthesis Of The Human Intelligence 14

Gulnara Sturua
More Novelty, More Courage Is Necessary!
(In Samtredia Central Regional Library) 13

Inga Philauri
Praiseworthy Deed –Word of Hope 15

Manana Kvrivishvili
Teliani's Library Today 16

Book, Reading Library

Alexsandre Loria
Management Of Reading,
As the Pedagogical Tool (Research) 17
Nato Mchedlishvili
Points Of View On Child Literature And Critics 19

Discussion And Offering Of The Specialist...

Gulnara Sturua
Management Of Library: What Does It Imply 21
Eter Pharekhishvili
Modern Problems of Librarians. 24
The Necessity Of Creation Of The Concept

Methodological Service: Way To Modernization

Guram Takniashvili
Heritage, Experience And Timeliness. Experimenting
for The New Approach. 27

The Pages of History

Lili Ioseliani
From The History Pedagogical Library
By J. Gogebashvili 32

Special And Departmental Libraries

Marina Chiqava.
Have A Glance On Georgian Prison's Libraries 34
Levan Bukia
Tbilisi Divinity Academy And Seminary Library 36

What Does The Reader Tell:

Tea Sakvarelidze
And Yet A Book! 37
Lali Gvasalia
Let Us Return To Peaceful Shelter. 38
T.Guruli
Rich Library–The Guarantee
of National Development. 39

Profession And Professionals

Venera Shekiladze
The Librarian From Khizabavri. 40
Guram Takniashvili
The Long Way Of Spiritual Perfection. 41
Recognition And Acknowledgment.

Book-exchange, The International Contacts

Lamara Meskhishvili
The Importance Of Book-exchange And Its Role. 43
Tina Djachvadze
Vienna 2000: The 26th Meeting
Of Austrian Librarians 44

For The Purity Of The Georgian Language

Nino Jorbenadze
“Distinguished and Blessed Mother-tongue” 45

The History Of One Book

Sergo Puluzashvili
About One Edition. 46
Chronicles Of The Georgian Library Life:
Events, Facts 48

Vernissage

Marita Kekelidze
Perhaps Everything Freely Penetrates Me
(Exhibition In Blue Gallery). 48

Information

The Two Significant Facts At Once. 50
Association Of Information Specialists. 52

The readers Guide

Let's have a Good Knowledge of Catalogues 53

Revue: Cinema And Music

David Giginishvili
“The Music of Heart” 55
It Is Said About Libraries 56
Club “Kontsaras” 57
“Proverbword” 58
Answers For Verseword Published In The
1st Issue Of The Journal. 58

Содержание:

Реорганизация библиотечной системы Грузии –
потребность современности... 4

Официальный раздел

Закон парламента Грузии „О Национальной
парламентской библиотеке Грузии” 6
ЮНЕСКО . Манифест публичной библиотеки 9

Наши библиотеки :

их состояние в начале нового столетия

Нана Абрамидзе
Библиотека не только книгохранилище,
но и синтез разума человечества 11
Гульнара Стурау
Нужно больше нового, больше предприимчивости!
(В центральной районной библиотеке Самтрედია) 13
Инга Пилаури
Дело похвальное – слово обнадеживающее 15
Манана Квривишвили
Библиотека Телиани сегодня. 16

Книга, чтение, библиотека

Александр Лория
Управление чтением, как педагогическое средство
воздействия : (Исследование). 17
Нато Мчедlishvili
Соображения о детской литературе и критике 19

Специалист рассуждает, предлагает

Гульнара Стурау
Управление библиотекой : как понимать суть 21
Этер Парехелашвили
Современные библиотечные проблемы;
необходимость создания концепции 24

**Методическая служба:
путь к модернизации**

Гурам Такниашвили
Наследие, опыт и современность.
Попытка подхода по-новому 27

Страницы истории

Лили Иоселиани
Из истории педагогической библиотеки
им. И. Гогебашвили 32

Специальные и ведомственные библиотеки

Марина Чикава
Заглянем в тюремные библиотеки Грузии 34
Леван Букиа
Библиотека Тбилисской Духовной
Академии и семинарии 36

Беседует читатель :

Tea Сакварелидзе
... и все же книга ! 37
Лали Гвасалиа
Возвратимся к тихой обители 38
Торнике Гурули
Богатая библиотека – залог процветания страны 39

Профессия и профессионалы

Венера Шекиладзе
Библиотекарь из Хизабаври 40
Гурам Такниашвили
Долгий путь духовного совершенствования:
Авторитет и признание 41

Книгообмен, международные контакты

Ламара Месхишвили
Значение книгообмена 43
Тина Джачвадзе
Вена 2000 : 26-ой библиотечный слет в Австрии 44

О чистоте грузинского языка

Нино Джорбенадзе
„ ... язык увенчанный и благословенный “ 45

История одной книги

Серго Пулузашвили
Об одном издании 46
Хроника библиотечной жизни Грузии:
события, факты 48

Вернисаж

Марита Кекелидзе
...наверное, я воспринимаю все само собой
(Выставка в Голубой галерее) 48

Информация

Одновременное представление
двух значительных фактов 50
Ассоциация специалистов по информации 52

В помощь читателям

Тамара Бжалава
Ознакомимся с каталогами 53

Ревю : кино и музыка

Давид Гигинеишвили
„ Музыка сердца “ 55
О библиотеках говорят : 56
Клуб Концара 56
Кроссворд 58
Ответы на кроссворд, опубликованный в № 1 58



საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის რეორგანიზაცია – დღევანდელი მოთხოვნა



სისტემა ნაწილებისაგან შედგენილ მთელს წარმოადგენს. ამდენად, როცა საბიბლიოთეკო სისტემაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ჩვენი ქვეყნის ყველა ბიბლიოთეკის ერთობლიობას, რა გიპის, სახის, პროფილისა და უწყების არ უნდა იყოს ეს ბიბლიოთეკები.

ყველა ბიბლიოთეკა ინდივიდუალური თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ მათ ბევრი აქვთ საერთო. სწორედ ეს განაპირობებს, რომ ისინი ერთიან სისტემას ქმნიან. ცხადია, ყველა მათგანს თავისი სიძნელეები და სირთულეები აქვს, ყველას თავისებური მიდგომა ესაჭიროება, რაც სისტემის რეორგანიზაციის დროს გათვალისწინებას მოითხოვს; რომელიმე ერთი რგოლის მოუწესრიგებლობა მთელ სისტემაზე ახდენს გავლენას, რის გამოც სისტემის რეორგანიზაცია არ იქნება სრულყოფილი. ამიგომ სისტემის გარდაქმნის გეგმებში არ შეიძლება მხოლოდ რომელიმე ერთი ან რამდენიმე ქსელის რეფორმა იყოს გათვალისწინებული. რეორგანიზაცია მთელ სისტემას უნდა შეეხოს, მის ყველა ნაწილს, ყველა შემადგენელ ერთეულს. აქ ამ თვალსაზრისით არ შეიძლება პრიორიტეტივების გამოყოფა, თუმცა უპირველესად გადასაწყვეტი პრობლემების გამორჩევა აუცილებელია.

როცა ლაპარაკია გარდაქმნა-რეორგანიზაციაზე, ყველაფერს წინასწარი გააზრება, პროგრამისა და გეგმების შედგენა, რესურსების გათვალისწინება ესაჭიროება. ეს კი შეუძლებელია წარსულისა და აწმყოს შესწავლისა და ღრმა ანალიზის გარეშე. უნდა არსებობდეს ჩამოყალიბებული, სრულყოფილი კონცეფცია, რომელიც გარდაქმნის კრიტერიუმებსა და ამოცანებს დაეყრდნობა. ვერ ვიგყვით, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენ რაიმე პროგრესისათვის მიგვეღწიოს. მას შემდეგ, რაც აღრე არსებული სისტემა დაირღვა, ვერ მოხერხდა განგვესაზღვრა, როგორი სისტემა გვესაჭიროება, როგორ უნდა იქნეს აგებული საბიბლიოთეკო ქსელი. უფრო მეტიც – დღეს ჩვენ არ გვაქვს არსებული მდგომარეობის

სრულყოფილი სურათი და მისი ანალიზი, საბიბლიოთეკო სტატისტიკის საქმეც კი არ არის მოწესრიგებული, რის გარეშე ძნელია სისტემის ახლებურად აგებაზე ფიქრიც კი. ის, რაც ბელაპირულად დევს, აღვილი დასანახია და ვხედავთ კიდევ, მაგრამ სიღრმეთა წვდომას ვერ ვახერხებთ. მაგალითად, ცხადად შეიმჩნევა, რომ ჩვენს დიდ თუ შედარებით მცირე ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა საკმაოდ მეტია, მათი შენახვა ერთობ გართულებულია, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ მათი შემცირებით რაიმე ეკონომიკურ ეფექტს მივიღებთ, ძალიან ცდება. ბიბლიოთეკის გაუქმება ეს მისი კარების გამოკეცვა კი არ არის, უამრავი სამუშაო და პრობლემა მოსდევს მას – საჭიროა ჩატარდეს საკმაოდ ძვირადღირებული პროცესები: ფონდებისა და ქონების შემოწმება, ხელახალი ინვენტარიზაცია, ქონების გადაბარება, წიგნების გადაგანა, მათი ახალ ადგილზე განთავსება და სხვ., რომ არაფერი ვთქვათ მომუშავე პერსონალის შრომით მოწყობაზე, მათ სოციალურ უზრუნველყოფაზე. ამის გათვალისწინების გარეშე შეიძლება ისეთი მარალი მოგვივიდეს, რომელიც ბევრად აღემაგება იმ დანახარჯებს, რომელსაც ბიბლიოთეკების შემცირება მოგვეცემს, ხოლო თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ მოცემულ მომენტში დაფინანსების შეღავათებს და აღრე არსებული ქონების განიავება არაფრად მივიჩნიეთ, ეს უკვე დანაშაულებრივი ქმედობაა და არა ეკონომიკური ეფექტი. ამგვარი ფაქტები უკვე არსებობს – დაიკეტა ბიბლიოთეკა, განიავდა მისი ფონდები, მუქთად ჩაიგდეს ხელში შენობა მავანთ და მავანთ, ხელმძღვანელობა კი თვლის, რომ ამით შეღავათი მიიღეს ბიუჯეტში, ხოლო რა მარალი ნახა ობიექტმა, ეს არ ანალვლებთ. სამწუხაროდ, საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება გამოწვეულია იმით, რომ მომხდარ მარალზე მათ პასუხს არაფინ სთხოვს.

ბიბლიოთეკების რაოდენობის შემცირების



გენდენციას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ჩვენ პრინციპულად წინააღმდეგი არ ვართ ქსელის არც შემცირების და არც დისლოკაციის, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გონივრულად, საქმის საფუძვლიანი ცოდნით, აწონილად, მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე, ყოველგვარი აჩქარების გარეშე.

სისგემის გარდაქმნისას ყველა ქსელის თავისებურებები უნდა იქნეს გათვალისწინებული. ჩვენში ამჟამად სამი ძირითადი ქსელი არსებობს : ძირითადი სახელმწიფო (კულტურის სამინისტროს დაქვემდებარების ბიბლიოთეკები), სახელმწიფო უწყებრივი და საზოგადოებრივი (არასახელმწიფო). ისინი მთელი სისგემის სტრუქტურას ქმნიან და ამიგომაც საჭიროა თანაბრად ვიზრუნოთ ყველა ქსელზე, თუ გვსურს საქართველოში ბოლომდე მოწესრიგებული სისგემა გვექონდეს.

ღირსშესანიშნავია, რომ ბოლოს და ბოლოს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და თბილისის მერიის ინიციატივით დაიწყო ერთგვარი ბრუნვა ქალაქის ქსელის მოწესრიგებისათვის. ჯერჯერობით ეს მხოლოდ კონსულტაციების დონეზეა და რაში გამოვლინდება, წინასწარ ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს რომ პოზიტიური მოვლენაა, ცხადია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბიბლიოთეკო საქმეში ბევრი რამ გაკეთდა, განსაკუთრებით ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით, მაგრამ თუ მუსგად არ განისაზღვრება მთელი საქმიანობის გარდაქმნის ამოცანები, არ დაისახა მიზნები, არ გამოიკვეთა მიმართულებები და არ დაიგეგმა მოქმედების კონკრეტული გეგმა, საბოლოო შედეგის სწრაფად მიღწევა და საჭირო ეფექტის მიღება საეჭვო გახდება. ყოველივე ეს მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს, სათანადო გამოცდილებასა და საქმისადმი მეცნიერულ მიდგომას, სიახლეთა გათვალისწინებას. აქამდე რომ ჩვენში საბიბლიოთეკო სისგემა ვერ არის მოწესრიგებული, სწორედ იმის წყალობაა, რომ ჩვენ ყოველივე ამის მწვავე დეფიციტს განვიცდით. ძნელად მიმდინარეობს გრადიციული ფორმებისა და მეთოდების

დათმობა, სიახლის დამკვიდრება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. ამას ემატება ფინანსური სიძნელები და შედეგიც სახეზეა – ბელმიწევნით დუნედ ვიძვრით წინ.

მრავალი სირთულის დაძლევაა საჭირო, რომ რაიმე ეფექტი მივიღოთ. ცხადია, უპირველესი ფინანსური პირობების მკვეთრი გაუმჯობესებაა, მაგრამ არანაკლებია ქვეყნად თუ ცალკეულ რეგიონებში სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა. ეს მოითხოვს რამდენიმე ძირეული ამოცანის გადაწყვეტას : აღამიანთა რესურსების მობილიზაცია, საზოგადოებრივი აზრის შექმნა საბიბლიოთეკო საქმის აუცილებლად გარდაქმნის სასარგებლოდ, ელექტრონული მომსახურების უზრუნველყოფა ინფორმაციის საყოველთაოდ გავრცელებისათვის, სამომსახურეო სივრცის გონივრულად გამოყენება და არსებულ საშუალებათა მოწესრიგებულად განლაგება, მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ყოველგვარი პირობების შექმნა და სხვ.

სისგემა იმგვარად უნდა იქნეს აგებული, რომ იყოს ეკონომიკური, ინტეგრაციული და კოოპერირებული.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ, შეიქმნას ახალი საბიბლიოთეკო კონცეფცია, შემუშავდეს სისგემის მოდელი, გაანგარიშებულ იქნეს ეკონომიკური ეფექტი სადღეისოდ თუ სამომავლოდ, მოწესრიგდეს საბიბლიოთეკო სტაგისტიკა, სრულყოფილი გახდეს სამართლებრივი ბაზა, განისაზღვროს ქსელთა შორის ურთიერთობის პირობები. ამის მისაღწევად მთელი ძალების მობილიზებაა საჭირო, რომელთა მოქმედება კოორდინირებული იქნება საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, რამდენადაც ის წარმოადგენს საბიბლიოთეკო საქმეში სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის განმახორციელებელ ორგანოს. ასევე აქტიურად უნდა იმოქმედოს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და მასთან არსებულმა საკოორდინაციო საბჭომ. საჭიროა ყველა ძალა გამოვიყენოთ საქართველოში რაციონალური, სრულყოფილი საბიბლიოთეკო სისგემის შესაქმნელად. დღეს ეს უნდა იქცეს ჩვენს გადაუდებელ ამოცანად.

2022 96

საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ

ამ კანონის მიზანია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში თავმოყრილი უნიკალური დოკუმენტური მასალის დაცვის, შენახვის და გამოყენების სამართლებრივი რეგულირება. იგი განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამიანიოვის ეკონომიკურ, სოციალურ და ადმინისტრაციულ საფუძვლავს, ადგენს მის სტატუსს და ფუნქციებს.

თავი 1 მოგალი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომ - „ეროვნული ბიბლიოთეკა“) არის საქართველოს ძირითადი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია საქართველოს ბეჭდვითი გამოცემები, უცხო სახელმწიფოების სამეცნიერო და უნივერსალური ხასიათის უმნიშვნელოვანესი ბეჭდვითი გამოცემები და სხვა დოკუმენტები, ეროვნული ბიბლიოგრაფიის, ინფორმაციის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, ბიბლიოთეკების მეთოდური საქმიანობის და კულტურის ცენტრი, აგრეთვე ამ სამუშაოების კოორდინაციური საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად.

2. განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო ეროვნული ბიბლიოთეკა ექვემდებარება საქართველოს პარლამენტს.

მუხლი 2. ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, ეს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი არეგულირებს ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობას, განსაზღვრავს ეროვნული ბიბლიოთეკის ადგილს საქართველოს

საბიბლიოთეკო სისტემაში, მის ძირითად ფუნქციებს, თავისებურებებს და საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობის საფუძვლებს.

მუხლი 4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში

1. ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარი ბიბლიოთეკაა, ორგანიზაციას უწევს საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიულ და სამეცნიერო-ინფორმაციულ საქმიანობას, ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარებას.

2. ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება. ეროვნული ბიბლიოთეკის დებულებას, საშტატო განრიგს და შრომის პირობებს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე.

თავი II ეროვნული ბიბლიოთეკის სამართლებრივი მდგომარეობა

მუხლი 5. საბიბლიოთეკო საქმიანობის კოორდინაცია

„საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს კულტურის სამინისტრო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად. ეს საქმიანობა მოიცავს:

- ა) ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარებას;
- ბ) საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და



- კონვენციების შესრულების უზრუნველყოფას;
- გ) საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრას;
- დ) საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვის კონტროლს;
- ე) საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებულ შეგროვებას და ანალიზს.

მუხლი 6.
ეროვნული ბიბლიოთეკა.

1. ეროვნული ბიბლიოთეკა, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებით ფასეული ობიექტი, არის მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრება. დაუშვებელია მისი საკუთრების ფორმის, სტატუსის შეცვლა ან ლიკვიდაცია, მისი ფონდების მთლიანობა და გაუსხვისებლობა გარანტირებულია.
2. დაუშვებელია ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების პრივატიზაცია.
3. ეროვნული ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი მის უვადო სარგებლობაშია და არ ექვემდებარება გასხვისებას.

მუხლი 7.
ეროვნული ბიბლიოთეკით სარგებლობის ფულები

ეროვნული ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება ყველასათვის ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია, გარდა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული დოკუმენტებით სარგებლობის შეზღუდვისა.

მუხლი 8.
ეროვნული ბიბლიოთეკის უფლებამოსილებანი

- ეროვნული ბიბლიოთეკა უფლებამოსილია:
- ა) განაგოს სახელმწიფო სახსრები საქართველოს კანონმდებლობისა და თავისი დებულების საფუძველზე;
 - ბ) მონაწილეობდეს სახელმწიფო საგამომცემლო და საინფორმაციო პოლიტიკის განსაზღვრაში;
 - გ) გაწევრიანდეს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში, ითანამშრომლოს უცხო სახელმწიფოების ბიბლიოთეკებთან და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში;
 - დ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის

- წესებს ან მაგერიალურ ზიანს აყენებენ ბიბლიოთეკას;
- ე) ეწეოდეს საგამომცემლო საქმიანობას, ჰქონდეს საკუთარი გამომცემლობა და სტამბა;
- ვ) ეწეოდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 9.
ეროვნული ბიბლიოთეკის მოვალეობანი

- ეროვნული ბიბლიოთეკის მოვალეობაა:
- ა) ეროვნული ბიბლიოთეკის შევსება საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ გამოცემული წიგნებითა და ნაბეჭდი მასალებით, აგრეთვე ისეთი ლიტერატურითა და ნაბეჭდი მასალებით, რომლებიც ეხება საქართველოს ან შეიცავს მის შესახებ რაიმე ინფორმაციას, მათი დაცვა, დამუშავება და სარგებლობის უზრუნველყოფა;
 - ბ) მსოფლიო კულტურის ფასეულობებით სარგებლობის უზრუნველყოფა;
 - გ) ძველნაბეჭდი და იშვიათ გამოცემათა სახელმწიფო ფონდის ორგანიზება, დაცვა, დამუშავება და სარგებლობის უზრუნველყოფა.
 - დ) საქართველოში ნაბეჭდი პროდუქციის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და სტატისტიკის შედგენა და პუბლიკაცია;
 - ე) საქართველოს სხვა ბიბლიოთეკებიდან ისეთი ლიტერატურის მიღება, დაცვა და დამუშავება, რომლებიც ადგილებზე არ გამოიყენება, მაგრამ აქვს სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული ღირებულება;
 - ვ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს , ბიბლიოგრაფიკულ მუშაობის, წიგნმცოდნეობისა და ინფორმაციის განვითარების მიზნით;
 - ზ) ეროვნული ბიბლიოთეკის დაკომპლექტება სამართლებრივი, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურით, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დოკუმენტებით, ნორმატიული აქტებით, მონაცემების ბაზის შექმნა სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით;
 - თ) საქართველოს პარლამენტის წევრების, სხვა სახელმწიფო მოხელეთა და იმ პირთა უზრუნველყოფა ინფორმაციით, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს (მათ შორის, საქართველოს საზღვრებს გარეთ), რისთვისაც გამოიყენებული უნდა იქნეს როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების საინფორმაციო რესურსები;
 - ი) მრავალმხრივი ინფორმაციული ანალიზის

ჩაგარება კონკრეტულ პრობლემებზე, რომლებიც დგას საქართველოს პარლამენტის ან აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე.

**მუხლი 10.
ეროვნული ბიბლიოთეკის მართვა**

1. ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობას მართავს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე.

2. ამ კანონისა და თავისი კომპეტენციის შესაბამისად გენერალური დირექტორი პასუხს აგებს ბიბლიოთეკის საქმიანობაზე.

3. გენერალური დირექტორი დებს ხელშეკრულებებს, მათ შორის, შრომითს, გასცემს მინდობილობას, ხსნის ანგარიშს ბანკში, განაგებს სახსრებს, გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა ბიბლიოთეკის ყველა მუშაკისათვის, აგრეთვე პარლამენტის თავჯდომარის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორებს.

**მუხლი 11.
საქართველოს პარლამენტის გარანტიები
ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო
მომსახურების უზრუნველსაყოფად**

1. საქართველოს პარლამენტი არის ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციონირების და ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტი, ამასთან, არ ერევა ბიბლიოთეკის პროფესიულ საქმიანობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს:

ა) ეროვნული ბიბლიოთეკის მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვასა და ხელშეუხებლობას;

ბ) ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის ხელშეწყობას მისი ფინანსური მხარდაჭერით, შესაბამისი საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის გაგარებით;

გ) ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნებას, გამდიდრებას, რეგისტრაციასა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის კონტროლს;

დ) დადგენილი ნუსხის მიხედვით ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ნაბეჭდი პროდუქციის უფასო სავალდებულო ეგზემპლარების გამოყოფას;

ე) ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ხელისუფლების ორგანოებისა და ნებისმიერი უწყების ყველა ნორმატიული აქტის მიწოდებას;

ვ) სახელმწიფო პოლიტიკის გაგარებას

კადრების მომზადებისა და გადამზადების, შრომის ანაზღაურების, სოციალური გარანტიებისა და შეღავათების საქმეში;

ზ) ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობის ხელშეწყობას;

თ) ეროვნული ბიბლიოთეკის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში გაწევრიანებას, უცხო სახელმწიფოების ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობას და საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში მონაწილეობას.

3. ეროვნულ ბიბლიოთეკაზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი დაფინანსება, მაგერიალურ-ტექნიკური და სხვა პირობები გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.

**მუხლი 12.
ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსება**

1. ეროვნული ბიბლიოთეკა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცალკე სტრიქონად გამოყოფით.

2. საბიუჯეტო ასიგნებათა გარდა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსების წყაროა საქველმოქმედო შემოწირულობანი და სხვა ნებადართული შემოსავალი.

3. ეროვნული ბიბლიოთეკა დამოუკიდებლად ანაწილებს და იყენებს არასაბიუჯეტო ფინანსურ რესურსებს თავისი დებულებით განსაზღვრული წესით.

**მუხლი 13.
პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის**

პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

**თავი III
დასკვნითი დებულება**

მუხლი 14. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ელუარდ შევარდნაძე

თბილისი, 1997 წლის 28 ოქტომბერი.



1996 წელს საქართველოს ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაციამ ქართულ ენაზე გამოსცა იუნესკოს მიერ 1995 წელს მიღებული დეკლარაცია საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ. თანამედროვე საერთაშორისო და ქართულ დოკუმენტებში „საჯარო ბიბლიოთეკა განმარტებულია როგორც ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება საზოგადოებას (ქვეყანას, ქალაქს, სოფელს, რაიონს და სხვ.) მის დაფინანსებას უზრუნველყოფს ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლება, ან საზოგადოებრივი ჯგუფები. მისი ფონდების შემადგენლობა უნივერსალურია და მოწოდებულია ფართო მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენში ამ ტერმინის მნიშვნელობით გამოიყენება „მასობრივი ბიბლიოთეკა“, რაც გადასინჯვას მოითხოვს.

რამდენადაც „მანიფესტის“ ქართული გამოცემა ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის, ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მის სრულ ტექსტს უცვლელად.

იუნესკო

საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი

ეს მანიფესტი მომზადებულია საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაციასთან (IFLA) თანამშრომლობით.

გზა შემეცნებისაკენ

თავისუფლება, კეთილდღეობა და განვითარება საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნებების ძირითადი საკაცობრიო ფასეულობანია. მათი მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კარგად ინფორმირებული მოქალაქეების მიერ თავიანთი დემოკრატიული უფლებების გამოყენებითა და საზოგადოებაში აქტიური როლის შესრულებით. დემოკრატიის განვითარებაში კონსტრუქციული მონაწილეობა დამოკიდებულია როგორც განათლების დონეზე, ასევე ცოდნის, კულტურისა და ინფორმაციის შეუზღუდავ მიღებაზე.

საჯარო ბიბლიოთეკა, ცოდნის სამყაროს ადგილობრივი კარიბჭე, უზრუნველყოფს ინდივიდისა და სოციალური ჯგუფების კულტურის დონის ამაღლების, ცოდნის მუდმივი განახლებისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების ძირითად პირობას.

ეს მანიფესტი გამოხატავს UNESCO – ს რწმენას, რომ საჯარო ბიბლიოთეკა წარმოადგენს განათლების, კულტურის და ინფორმაციის სასიცოცხლო ძალასა და ადამიანთა გონების მეშვეობით მშვიდობისა და სულიერი კეთილდღეობის მიღწევის აუცილებელ ფაქტორს.

ამიგომ UNESCO ყოველმხრივ ხელს უწყობს და ურჩევს ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფალთ დაეხმარონ და აქტიურად ჩაერთონ საჯარო ბიბლიოთეკების განვითარებაში.


საჯარო ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა არის ინფორმაციის ადგილობრივი ცენტრი, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის მკითხველისათვის ყველა სახის ინფორმაციასა და ცოდნას.

საჯარო ბიბლიოთეკები უზრუნველყოფენ მომსახურებას ყველასთვის, მიუხედავად ასაკის, რასის, სქესის, ეროვნების, ენისა თუ სოციალური მდგომარეობისა. განსაკუთრებული მომსახურებითა და მასალებით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი ის მკითხველები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ გამოიყენონ ჩვეულებრივი მომსახურება და მასალები, მაგალითად, ენობრივი უმცირესობები, ინვალიდები, საპატიმროებსა და საავადმყოფოებში მყოფი ხალხი.

ყველა ასაკობრივმა ჯგუფმა უნდა შეძლოს თავისი ასაკის შესაბამისი მასალების მოპოვება. ფონდები და მომსახურება უნდა მოიცავდეს როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ყველა შესაძლო სახის მასალას, ასევე გრადიციულსაც. მაღალი ხარისხი და ადგილობრივი პირობების გათვალისწინება უნდა წარმოადგენდეს მომსახურების საფუძვლებს. მასალები უნდა ასახავდეს როგორც საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, ასევე კაცობრიობის ისტორიული ძალისხმევისა, ამრის წარმოსახვის სსოვნას.

ფონდები და მომსახურება არ უნდა წარმოადგენდეს იდეოლოგიური, პოლიტიკური თუ რელიგიური სახის ცენზურისა თუ კომერციული ბეწოლის საგანს.



საჯარო ბიბლიოთეკის დანიშნულება

საჯარო ბიბლიოთეკის მომსახურების ძირითადი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციასთან, განათლებასთან, წიგნიერებასთან და კულტურასთან, შემდეგია:

1. აღრული ასაკიდან ბავშვებში კითხვის ჩვევების განვითარება და განმტკიცება;
2. ყველა დონეზე, როგორც ინდივიდუალური თვითგანათლების, ასევე ოფიციალური განათლების ხელშეწყობა;
3. ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის;
4. ბავშვებისა და მოზარდების წარმოსახვითი და შემოქმედებითი უნარის განვითარების ხელშეწყობა;
5. კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნების, აღქმის, მეცნიერების მიღწევებისა და სიახლეების გაცნობის უზრუნველყოფა;
6. ყველა სახის სამემსრულებლო ხელოვნების, როგორც ჩაწერილი ნიმუშების, ასევე მათ შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
7. კულტურათშორის დიალოგისა, კულტურული მრავალფეროვნებისა და თავისებურების წახალისება და ხელშეწყობა;
8. ზეპირ გრადიციათა შენარჩუნება და ხელშეწყობა;
9. მოქალაქეების უზრუნველყოფა ყველა სახის საზოგადოებრივი ინფორმაციით;
10. ადგილობრივი საწარმოების, კავშირების და სხვა ჯგუფების მათთვის საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა;
11. საინფორმაციო და კომპიუტერული განათლებისა და ჩვევების განვითარება;
12. ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის საგანმანათლებლო საქმიანობის და პროგრამების ხელშეწყობა, მათში მონაწილეობა და საჭიროების შემთხვევაში ასეთი საქმიანობის წამოწყება.

დაფინანსება, კანონმდებლობა და ქსელი

საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურება პრინციპში უნდა იყოს უფასო. საჯარო ბიბლიოთეკის საქმიანობა არის ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობისა და მზრუნველობის საგანი. იგი უნდა იყოს განმტკიცებული კანონმდებლობით და დაფინანსებული ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. საჯარო ბიბლიოთეკა უნდა იყოს კულტურის, ინფორმაციით უზრუნველყოფის და წიგნიერების გავრცელებისა და განათლების ნებისმიერი გრძელვადიანი სტრატეგიის აუცილებელი კომპონენტი.

ბიბლიოთეკების ერთიანი, სახელმწიფოებრივი კოორდინაციისა და კოოპერაციის მიზნით, საკანონმდებლო და სტრატეგიულ გეგმებში უნდა განისაზღვროს ბიბლიოთეკების სახელმწიფო ქსელის შექმნა და განვითარება, შეთანხმებული სტანდარტების საფუძველზე.

საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი დაკავშირებული უნდა იყოს როგორც ეროვნულ, რეგიონალურ, კვლევით და სპეციალურ ბიბლიოთეკებთან, ასევე სკოლების, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან.

საქმიანობა და მართვა

მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული საჯარო ბიბლიოთეკების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს მიზნებს, პრიორიტეტებს და მომსახურების ფორმებს, ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით. საჯარო ბიბლიოთეკები ეფექტურად უნდა იყოს ორგანიზებული და მათში დაცული უნდა იყოს მომსახურების პროფესიული სტანდარტები.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანამშრომლობა შესაბამის პარტნიორებთან, მაგალითად მკითხველთა ჯგუფებთან და სხვა სპეციალისტებთან, როგორც ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მომსახურება უნდა იყოს ფიზიკურად ხელმისაწვდომი საზოგადოების ყველა წევრისთვის. ეს მოითხოვს როგორც საბიბლიოთეკო შენობების მკითხველისათვის მოხერხებულ ადგილას განლაგებას, კარგ სამკითხველო და სასწავლო პირობებს, ასევე შესაბამის ტექნოლოგიებსა და მკითხველთათვის ხელსაყრელ სამუშაო საათებს. გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე იმ მკითხველთა მომსახურება, რომელთაც არ შეუძლიათ ბიბლიოთეკაში მისვლა.

საბიბლიოთეკო მომსახურება უნდა ითვალისწინებდეს ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა განსხვავებულ მოთხოვნილებებს.

ბიბლიოთეკარი წარმოადგენს აქტიურ შუამავალს მკითხველსა და ინფორმაციის წყაროს შორის. ბიბლიოთეკართა პროფესიული განათლება და მისი მუდმივი ამაღლება აუცილებელია შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფისათვის.

ბიბლიოთეკის გარეთ საზოგადოების საინფორმაციო მოთხოვნილებების შესწავლამ და დაკმაყოფილებამ, აგრეთვე მკითხველებისათვის საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ მოქალაქეების მიერ ბიბლიოთეკის საინფორმაციო რესურსების სრული გამოყენება.

მანიფესტის დანერგვა

იუნესკო მოუწოდებს სახელმწიფო და ადგილობრივ ხელისუფლებებს და საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობას მთელ მსოფლიოში, რომ ცხოვრებაში გააგარონ ამ მანიფესტში გამოსახული პრინციპები.

UNESCO & IFLA

ნანა აბრამიძე


გორისა და გორის რაიონის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი

ბიბლიოთეკები მარგო წიგნსაცავები კი არა, კაცობრიობის გონების სინთეზია

გორის საინტერესო ისტორიული წარსული აქვს. გორი და გორის რაიონი დღესაც თავისი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობს. ამ სფეროში ერთი გამორჩეული ადგილი ბიბლიოთეკებს უკავია. გორის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა 1990 - იანი წლების შემდეგ გარკვეული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ სხვა კრიტერიუმებით მოითხოვა საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზაცია, შეეცირდა სოფლად ბიბლიოთეკების რაოდენობა. ამ პერიოდში გორის რაიონში დაიბნა 27 ბიბლიოთეკა, 32 სოფელი დარჩენილია საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. ბიბლიოთეკარებამდენა კლებად, ან სრულებით ვერ აღწევს რესპუბლიკის საბიბლიოთეკო სიახლენი; ბიბლიოთეკებში აღარ შედის ახლად გამოცემული ლიტერატურა, ქვეყნის საბიბლიოთეკო ცენტრები ნაკლებად უკავშირდებიან რეგიონებს, რაც თავისთავად აძნელებს ისედაც გაჭირვებაში მყოფი ბიბლიოთეკარების მუშაობას.

აღნიშნულ და სხვა პრობლემებს შეეხებოდა გორისა და გორის რაიონის ბიბლიოთეკართა შეხვედრა თბილისიდან ჩასულ სტუმრებთან; შეხვედრა ა.წ. 3 აპრილს გაიმართა გორის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში. თბილისიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საქართველოს პარლამენტის ერთეული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ლევან ბერძენიშვილი, ამავე ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური და კოორდინაციული მუშაობის განყოფილების გამგე გურამ თაყნაიშვილი, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი. გორელთა მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: გორის გამგებლის მოადგილე მამა მებაღური, კულტურის განყოფილების გამგე მზია გურგენიძე, ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი ნანა აბრამიძე. თათბირზე ღია საუბარი გაიმართა გორის საბიბლიოთეკო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის საქმიანობისა და ეურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ პირველი ნომრის გამოცემის და სხვ. პრობლემების ირგვლივ. თათბირს გორის რაიონის სხვადასხვა უწყების ასამდე ბიბლიოთეკარი ესწრებოდა

ქვემოთ გთავაზობთ ცხს - ის დირექტორის მოკლე ინფორმაციას გორისა და გორის რაიონის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შესახებ.



საქართველო უძველესი საბიბლიოთეკო ქვეყანაა. გორი - ქართლის შუაგული - ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო, რომელსაც გარკვეული ადგილი ეჭირა როგორც სტრატეგიული, ისე პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით. აქ მოღვაწეთა მემკვიდრეობა მძლავრ კულტურულ - საგანმანათლებლო გრადიციებზე მეტყველებს. გორი, როგორც ერთ-ერთი კულტურული ცენტრი XVII საუკუნიდან წინაურდება. მ.ჯანაშიელის გადმოცემით, მე-18 საუკუნეში, ერეკლეს დროს, დაიბადა აზრი გორში უმაღლესი სასწავლებელი დაეარსებინათ (მ.ჯანაშიელი. ქართული წიგნი და ქართული ბიბლიოთეკა // სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები. - ტ.5. - 1940. - გვ. 272).

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა წიგნიერების საქმე; იქმნებოდა კერძო ბიბლიოთეკები, რომლებსაც სამოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა წიგნზე და ბიბლიოთეკაზე ხალხის აზრის ჩამოყალიბებას მაინც უწყობდა ხელს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა წიგნსაავტოროების გაჩენა. გორში ჯერ კიდევ არც ერთი სახალხო მოხმარების ბიბლიოთეკა არ არსებობდა, წიგნსაავტოროები რომ ფუნქციონირებდნენ. როგორც ცნობილია, ახალი საუკუნის დამდეგს - 900-იან წლებში - გორში 2 წიგნის მაღაზია არსებობდა. ნოქრები კალათებით აგარებდნენ წიგნებს ახლომასლო სოფლებში და სასულიერო დღესასწაულებისას თითქმის ყველა ეკლესია - მონასტერთან იდგნენ სავაჭროდ (ა.ლორია, ნ.გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში. - თბ., 1974. - გვ. 251).

საერთოდ, XIX საუკუნე საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ახალ ეტაპად შეიძლება ჩაითვლოს. ამ საუკუნეში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. მისი საწყისი ხომ ძალიან მძიმე იყო. მთელი ხალხის გულსტკივილია გამოხატული გრიგოლ ორბელიანის მეგობრისადმი მიწერილ წერილში: „ჯერ უშვილნო და უბიბლიოთეკონი ვართ“.

XIX საუკუნის დასასრულისათვის გორში ყოველმხრივ მომწიფებული იყო სამოგადოებრივი აზრი საქალაქო ბიბლიოთეკის შექმნის თაობაზე. ამ დროს აქ სამოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდნენ ცნობილი მწერლები, რომლებიც გვამცნობენ, რომ მიუხედავად ამდენი ხნის მცდელობისა, საქმე ვერ მოგვარებულა. ამ დროს გორში ერთი პაგარა ბიბლიოთეკა არსებობდა სამრევლო სკოლასთან. მხოლოდ ახალი საუკუნის დამდეგს მოხერხებულა გორში უფასო სახალხო სამკითხველოს გახსნა, რომელიც მალე ისევ დახურულა. საქმეს ვერც სასულიერო ბიბლიოთეკები შეველოდა, რომელთა რაოდენობა გორის საბლალოჩინოში 100-ზე მეტი იყო (იქვე - გვ.329). ისინი რაიმე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო როლს ვერ ასრულებდნენ. ისევ წერაკითხვის გამავრცელებელმა სამოგადოებამ მოახერხა 900-

იან წლებში გორში თანადროული სახის ბიბლიოთეკის გახსნა, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებდა. ცნობილია, რომ გორის სამოგადობას საქართველოში პირველად განუმარხავს საბავშვო ბიბლიოთეკის ერთ პაგარა ნაწილში დამკვიდრება უთხოვია (იქვე - გვ. 343). შეიძლება ეს ბიბლიოთეკა მეიჩინოთ გორის პირველ საქალაქო ბიბლიოთეკად, თუმცა ეს მოსაზრება მეცნიერულ კვლევა-ძიებას საჭიროებს; საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გორელებს სანუკუარი სურვილი საქალაქო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ მხოლოდ 1911 წელს შესრულებათ. მისი პირველი გამგე ევეკნია ამირეჯიანი იყო, შემდეგი კი - დარეჯან რამიშვილი. 1950 წლიდან ბიბლიოთეკას 4 ათეული წლის განმავლობაში სათავეში ნაზი ბახტაძე ედგა.

1968 წელს ბიბლიოთეკას გამოეყო ახალი ფართი, ხოლო 1972 წლიდან საბიბლიოთეკო ქსელში ცენტრალიზაცია განხორციელდა. რაიონში ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა ჩამოყალიბდა.

დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობაში, სხვა უწყებებთან ერთად, მოწინავე ხაზზე საბიბლიოთეკო გაერთიანებაც დგას. ამ მხრივ გორისა და გორის რაიონში მოქმედი 63 ბიბლიოთეკიდან ახალი ფასეულობების დამკვიდრებას ქალაქად 8, ხოლო სოფლად 55 ბიბლიოთეკა-ფილიალი ემსახურება. სათაო ანუ ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნალი ფონდი შეადგენს 101 257 ერთეულს, ხოლო მკითხველთა რაოდენობა 2270-ს, წლიური გაცემა - 25. 436 ეგზ.-ს.

ამ უზარმაზარ საქმეს გაერთიანებაში შემავალი 93,5 საშტაგო ერთეულზე მყოფი მუშაკი ემსახურება, ქალაქად - 47, რაიონში - 46,5 .

გვესმის რა ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია, ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები, ყველანაირად შევეცადეთ აგვერიდებინა ყოველწლიური შემცირება და მაქსიმალურად შეგვენარჩუნებინა ის მუშაკები, რომლებიც განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით, საქმისადმი ერთგულებითა და , როგორც იცყვიან, შიშველი ენთუზიაზმით გამოირჩევიან.

ის უარყოფითი მოვლენები, რაც აისახა ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ბოლო ეტაპზე, თითქმის მთლიანად შეეხო გორის საბიბლიოთეკო სისტემასაც. უკან დარჩა ჩვენი შავზნელი წარსული, რასაც თან ახლდა ცნობილი მოვლენები - შეიარაღებული კონფლიქტი სამხაზლოს ტერიტორიასა და მის მიმდებარე სოფლებში. რომ იცყვიან, თავგამოდების ფასად იქნა შენარჩუნებული წიგნალი ფონდი და ინვენტარის ძირითადი საშუალებები. არ



დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობაში, სხვა უწყებებთან ერთად, მოწინავე ხაზზე ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა დგას

შეწყვეტილ მოსახლეობის მომსახურება. საკუთარი მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, გაუქმებული ბიბლიოთეკებიდან გადანაწილებულ იქნა წიგნალი ფონდები სხვადასხვა ბიბლიოთეკებში, მოხდა მათი ხელახალი აღწერა. განსაკუთრებული მუშაობა და ძალისხმევა დაჭირდა ცენტრალურ ბიბლიოთეკას შემოსული ფონდების დამუშავება - გადანაწილებისათვის. ფილიალებიდან შემოსული ფონდების დამუშავება დღესაც გრძელდება.

ქსელში განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ახალი წიგნების მიღების თვალსაზრისით. ახალი წიგნები ქსელში 10-12 წელი იქნება, რაც არ შემოსულა, თუ არ ჩავთვლით გორელი მწერლებისა და პოეტების ნაჩუქარ თითო-ორი წიგნს, ისიც მხატვრულს. მოძველებულია წიგნები როგორც პოლიტიკური, ასევე იდეოლოგიური თვალსაზრისით. რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურას, რომელზედაც განუსაზღვრელი მოთხოვნილებაა, უსასწრობის გამო ვერ ვახერხებთ შეძენას, თუმცა საკითხი არაერთგზის დაისვა როგორც კულტურის განყოფილების, ისე გორის გამგეობის წინაშე.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ცუდი ტენდენცია, რაც კულტურის ამ განუყოფელი დარგის მიმართ შეიმჩნევა. თითქმის შედომედ, რეორგანიზაციის საბაბით, რამდენიმე წელია შტაგების შემცირება ხდება. ყოველგვარი პირობების გაუმჯობესების გარეშე მცირდება როგორც ბიბლიოთეკები, ასევე საშტაგო ერთეულებიც. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი მუშაობა ნამდვილად გაუსაძლისი გახდება. აღარას ვამბობთ მამთარში ქსელის მომარაგებაზე საწვავითა და სხვა სამეურნეო საშუალებებით.

1998 - 99 წლებში ე.წ. რეორგანიზაციის საფუძველზე გაუქმდა 22 ბიბლიოთეკა. ეს მაშინ, როცა მოსახლეობის რაოდენობა გორის რაიონში 150 211 კაცს შეადგენს. ქალაქში - 68 500, სოფლად - 31 711-ს.

რაიონში 112 სოფელია, რომელსაც 55 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალი ემსახურება, ხოლო 32 სოფელი დარჩენილია საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. მიგვაჩნია, რომ ბიბლიოთეკები კი არ უნდა მცირდებოდეს, არამედ უნდა ხდებოდეს მათი გეგმამომიერი მრდა, რადგან სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ძალზედ გაიზარდა ახალგაზრდებს შორის ნარკომანთა რიცხვი, იმაგა სხვა სახის დანაშაულებებმაც.

მიუხედავად ცუდი სამუშაო პირობებისა, გორის რაიონის ბიბლიოთეკა-ფილიალებში სისტემატურად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები: დისკუსიები, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან. ვიღებთ აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემაში

ქ.გორისა და გორის რაიონის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა, მიუხედავად აქ შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, ვფიქრობთ, გარკვეულ წვლილს შეიტანს თითოეული გორელის სულიერი ცხოვრების გამდიდრების საქმეში. ის ფაქტი, რომ გორის ცენტრალიზებული სისტემა ძირითადად შენარჩუნებული იქნა, იმაზე მეტყველებს, რომ არც მკითხველი საზოგადოება და არც ადგილობრივი ხელისუფლება გულგრილნი არ არიან ბიბლიოთეკების მიმართ; ახლა ჩვენს ამოცანას შეადგენს, არსებული ქსელის შენარჩუნებასთან ერთად, ვიზრუნოთ ბიბლიოთეკების მუშაობის პირობების გაუმჯობესებაზე.



საჭიროა მეტი სიახლე, მეტი შემართება! ...

(სამგრედიის სარაიონო ბიბლიოთეკაში)

სამგრედია კოპწია, ხალისიანი და მჩქეფარე ქალაქი იყო, სიცოცხლითა და სიკაცკასით სავსე, ლამაზი, მწვანე, სურნელოვანი ბალ-ვენახებიანი სოფლებით გარშემორტყმული, მიწათმოქმედებით თუ მესაქონლეობით განთქმული, საყოფაცხოვრებო, გრადიციული კულტურით მდიდარი და ამაყი. რა წარმოებას არ ნახავდით აქ, რა არ ვითარდებოდა: მებაღეობა, მეჩაიეობა, მეფრინველეობა, ხე-ტყის მრეწველობა. მუშაობდა საკონსერვო ქარხანა, რძისა და ხორცის კომბინატები და სხვა. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ დიდ სარკინიგზო კვანძად აქცია. სამგრედია მუდამ ცნობილი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმრავლით, სავაჭრო ცენტრებით, და არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც ... ჯერ კიდევ 70-80-იან წლებში მის ხმაურიან ქუჩებში საზღვარგარეთიდან ჩამოსულ საქმიან ხალხსაც მრავლად ნახავდით ...

ეგზოტიკური სანახავი იყო დასავლეთ საქართველოში განთქმული სამგრედიის გრადიციული ბაზარიც ...

სხვათა შორის, ეს პაგარა ქალაქი საქართველოს ინტელიგენციის ერთ-ერთი ცენტრი გახლდათ. ბევრი საინტერესო აღამიანი, რომლებმაც ტონი მისცეს საქართველოს კულტურის, განათლების, ჯანმრთელობისა თუ მეცნიერების სხვადასხვა სფეროს განვითარებას, აქ დაიბარდნენ და ჩამოყალიბდნენ ... იმ დროინდელ სამგრედიაში მუდამ ხალხმრავლობა და ხალისიანი განწყობილება იყო. იყო გაჭირვებაც, სიღარიბეც, მაგრამ იყო შემართება, მუხლჩაუხრელი შრომა და გარჯა. ჩუმი იმედი დამოუკიდებელი და თავისუფალი სამშობლოს მოპოვებისა.

წარსულში, ვინც სამგრედიას კარგად იცნობდა, გაუკვირდება მისი დღევანდელი მდგომარეობა. იმ სამგრედიის ნაცვლად, სულ სხვა ქალაქი დასდებდა ახლა; ღარიბი, მღუმაღრე და მოწყენილი. უფრო მეტიც – დაბეჩავებული, დანგრეული, ჩარაბულ-მიტოვებული სახლები, გადამწვარი შენობები, ქუჩებში კანგი-კუნტად მოსიარულე

ხალხი. ამ არასახარბილო კოლორიტში „კარგად“ ჯდება ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის შენობაც (ბიბლიოთეკის დირექტორი ლამარა დუნდუა), რომელიც ქალაქის ცენტრში, გამგეობის წინ მდებარეობს და კარგადაც მეტყველებს გამგეობის შენობაში მყოფთა წიგნისადმი „სიყვარულზე“. იქ მისულს გასაკვირი არაფერი მინახავს ერთის გარდა – აბონემენტზე წიგნის შერჩევით ბიბლიოთეკართან ერთად გართული მკითხველი; მცირე ზომის დარბაზშიც ისხდნენ მკითხველები და იმ 16 დასახელების ქართულ ჟურნალ-გაზეთს ჩაჰკირკიტებდნენ, რომლებიც მათივე დაქინებული მოთხოვნით (გამგეობამაც უშუამდგომლა თურმე!) ბიბლიოთეკას „ავანსად“ გამოუწერეს.

ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც სამგრედიის საკმაოდ დიდი უბნებისა და სოფლების 38 ბიბლიოთეკას უწევს ხელმძღვანელობას (აღრე 60 იყო), 320 000-მდე წიგნად ფონდს აკონტროლებს და ამ ფონდთან მომუშავე 63 ბიბლიოთეკარს უწევს მეთოდურ ხელმძღვანელობას, ნამდვილად არ შეეფერება უგერგილო, გაურკვეველი არქიტექტურული შენობა ... ბიბლიოთეკას არც ასეთი ინტერიერი შეეფერება, რომელიც მხოლოდ მაგერიალურ-გექნიკური ბაზის უკიდურესი სიღარიბით როდია გამოწვეული. აქ მომუშავე 12 თანამშრომელი, სპეციალობით ყველა ბიბლიოთეკათმცოდნე, საკმაოდ დიდი ძალაა იმისათვის, რომ რაც არ უნდა ცუდი იყოს





ბიბლიოთეკის შენობა, ინგერიერი გაცილებით უკეთ შეიძლება გამოიყურებოდეს. მეტი პროფესიული ხედვა, საქმის ერთგულება და შემოქმედებითი უნარის მეტად წარმოჩენა საკმარისია, რომ გარემო უფრო მიმზიდველი, საინტერესო გახდეს. ათასი თემა . ათასი პრობლემური საკითხი დგას რაიონის წინაშე. ამ თემების პროფესიული (და არა პოლიტიკური!) გაშუქება, ურთიერთობები კულტურისა და განათლების განყოფილებებთან, მოძრაობა, მოქმედება და ძიება მოიგანს მეტ ცოდნას, სიახლეს, შემართებას. სიღარიბეც უკან დაიხვეს ... უბრალოდ, ის აღარ იქნება ასე თვალში საცემი. ვამბობთ ასე და ერთი წუთითაც არ გვაფიწყდება დღევანდელი უხელფასობა და გოგალური სიღარიბე. ძნელია ასეთ პირობებში ენთუზიაზმზე ელაპარაკო ბიბლიოთეკარებს, მით უფრო, როცა იცი, ცარიელი ენთუზიაზმით შენობას ვერ გაარემონტებ, ახალ ლიტერატურასა თუ საბიბლიოთეკო-საკანცელარიო ნივთებს ვერ შეიძენ. მაგრამ ენთუზიაზმი ინტერესს აღვივებს, ინტერესი კი იმ სიახლეებს მიგაგზნებინებს, რასაც პროგრამების შედგენა, გრანტების მოპოვების ხერხი და სპონსორების მოძიება ჰქვია. დღეს სხვაგვარი დროა. სხვა გზებია საპოვნინი და სანამ ამ გზებს თავად ბიბლიოთეკის მუშაკები არ მიაგნებენ, სამგრედის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკას კარგა ხანს მოუწევს ასეთ შესაბრალის მდგომარეობაში ყოფნა, მის დაქვემდებარებულ საბავშვო ბიბლიოთეკის დაზიანებული სახურავიდანაც კიდევ დიდხანს იდენს წყალი და საბოლოოდ გაანადგურებს საუკეთესო წიგნად ფონდს. წვიმა იშვიათი მოვლენა არაა სამგრედიაში, იშვიათობა (მგონი სასწაულიც!) რაიონის ხელმძღვანელობიდან დახმარების მიღება და გულისხმიერებაა მხოლოდ!

სამწუხაროდ, ზემოთ აღწერილი ვითარება

არა მარტო სამგრედის, არამედ საქართველოს ბევრი რაიონის საბიბლიოთეკო ცხოვრების რეალობაა!...

აი, ასე გამოიყურება დღეს სამგრედის სარაიონო ბიბლიოთეკის ფასადი. ამ შენობის წინ კარგად მოვლილი გამგეობის შენობაა. საინტერესოა, აქედან რაიონის მესვეურები ამჩნევენ თუ არა ბიბლიოთეკას, ან ის თუ იციან, მავანი და მავანი ამ ფართობის ხელში ჩაგდებას რომ ცდილობენ?

რედაქციისგან :

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, გარდა იმისა, რომ სამგრედის ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკა თითქმის მთლიანად მოკლებულია ადგილობრივი მმართველობისაგან სათანადო ყურადღებას, მას თავის კუთვნილ ფართობზეაც აიძულებენ გადასახადს კომუნალური მეურნეობის სასარგებლოდ. საქმე იმაშია, რომ როდესაც 1960 წ. ბიბლიოთეკას ძველი შენობა დაუნგრის, რომელიც კულტურის სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა (208 მ²), მას ამავე ადგილზე 1964 წელს აგებულ ახალ შენობაში დაუთმეს იმდენივე ფართობი. 1980 წ. ცენტრალიზებული სისტემის შექმნასთან დაკავშირებით, ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ბიბლიოთეკას კომუნალური მეურნეობის სახლმმართველობის კუთვნილი ფართობიდან 100 მ² დამატებით გადაეცა. ამჟამად კომუნალური მეურნეობის სახლმმართველობა ბიბლიოთეკისაგან გადასახადს მთელ ფართობზე მოითხოვს (300 მ²).

იმედს გამოვთქვამთ, ქალაქის გამგებლობა გაერკვევა ვითარებაში და ბიბლიოთეკას დაეხმარება საქმის სამართლიანად გადაწყვეტაში.

ბიბლიოთეკას მაინც ჰყავს ერთგული მეგობრები.





ინგა ფილაური

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და

ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტი

საქმე საქებარი - სიგყვა იმეღიანი

საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. ბიბლიოთეკების მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენა საფრთხეს უქმნის საერთოდ მთელ დარგს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ბიბლიოთეკები, მათი მუშაკების დაუცხრომელი ერთუზიანობის წყალობით, კვლავ უანგაროდ ემსახურებიან ხალხს, შეძლებისდაგვარად ცდილობენ გრადიციები მაინც ხელუხლებლად დაიცვან, თუკი საქმეს ვერ გააუმჯობესებენ.

ამ დროს ყოველგვარი დახმარება აღიქმება არა მარტო მაგერიალური, არამედ როგორც მორალური მხარდაჭერა და ხელშეწყობაც. ამგვარი რამ ჩვენში ისე ჩანს, როგორც უდაბნოში თაბისი. სწორედ ამგვარ "თაბისს" მოგვაგონებს ქალაქ ბათუმის ცენტრალური საქალაქო და ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკები, რომლებიც ერთ შენობაში არის განთავსებული.



აჭარის კულტურის მინისტრი თეიმურაზ კომახიძე


ცოგახნის წინათ ამ შენობაში საბავშვო ბალი იყო, რომელიც სხვაგან გადაიგანეს. მოხდა ისე, რომ ამ დროს აღრე თეაგრთან არსებული შენობიდან საბავშვო და საქალაქო ბიბლიოთეკები ქალაქის შორეულ უბანში უნდა გადასულიყო, რაც არახელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა მათ მომხმარებელს. ქალბატონი ნარგიბა აბაშიძე ჩვენი დღევანდლობისათვის უჩვეულო ნაბიჯს დგამს - თავისი მეუღლის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის - თეიმურაზ კომახიძის მხარდაჭერით, ყოფილი საბავშვო ბალის შენობა, რომელსაც ეს თეახსი თავის ხარჯებით არემონტებდა, აღნიშნულ ბიბლიოთეკებს დაუთმო. კულტურის მინისტრი - მრავალმხრივი ადამიანი - მეცნიერი, შემოქმედი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს ამას და თვლის, რომ ამით მან და მისმა

მეუღლემ, უბრალოდ, თავიანთი საგვარეულო გრადიციები განაგრძეს. საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ხელშეწყობა, ეროვნული სიკეთისათვის ბრუნვა - ამ თეახისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

დღეს შენობა კაპიტალურად გარემონტებულია. აქ ორივე ბიბლიოთეკისათვის საკმაო ფართობიყაა და კარგი პირობებიც. ყველაფერი მოწესრიგებულია. საკმაოდ ენერგიულად მიმდინარეობს მკითხველთა მომსახურება, თუმცა ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია. რომ არაფერი ვთქვათ მეთოდებისა და ფორმების დახვეწა-სრულყოფაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საქმეა მოსაგვარებელი, მრავალი სიახლეა გასათეალისწინებელი. ამას კარგად გრძნობენ როგორც ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორი ელიკო ხუნდაძე, ისე ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე.

ისინი ერთუზიანობით შეხვდნენ მეთოდცენტრთან კონტაქტების გააქტიურებას. კულტურის მინისტრი ოპტიმისტურად უყურებს საბიბლიოთეკო საქმის მომავალს. ეს უბრალოდ უნიადაგო იმედი კი არაა, მას სავსებით რეალური წანამძღვრები აქვს. ამის საწინდარია ის ძვრები, რომლებიც ბათუმში შეინიშნება. ხსენებული ბიბლიოთეკების გარდა, სანიმუშო წესრიგშია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიბლიოთეკა. ახლა კიდევ მათ რიცხვს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაც შეემაგა, რომლის შესახებაც ცალკე გვექნება საუბარი. იმედის მომცემია ბატონ თეიმურაზის განცხადება, რომ ის მუდამ იყო და იქნება ბიბლიოთეკების მოჭირნახულე და მეცენატი. ახლა გადაწყვეტილი აქვს, ახლო მომავალში საკუთარი ხარჯებით ტექნიკური პროფილის ბიბლიოთეკა დაარსოს, - ორ-სამ წელიწადში იხილავთ მას, - დაბეჯითებით ამბობს ის და გვჯერა, ეს ასეც იქნება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი თ. კომახიძე მიესალმება ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკის" დაარსებას, უსურვებს მის მესვეურებს წარმატებებს, გამოთქვამს სურვილს, შეძლებისდაგვარად ითანამშრომლოს მათთან.



თელიანის ბიბლიოთეკა დღეს

ჩვენი ბიბლიოთეკის ძირითადი საზრუნავი ყოველთვის იყო და არის მოსახლეობის ჩაბმა საბიბლიოთეკო კითხვაში, მათი რაც შეიძლება მაქსიმალურად და მაღალ დონეზე მომსახურება.



მაგრამ ხშირად მეზადება კითხვა: შეძლებს კი ბიბლიოთეკა დღევანდელ პირობებში, არსებული საშუალებებით მკითხველთა მოზიდვას, მათ აქტიურ მომსახურებასა და ინტერესთა დაკმაყოფილებას? თითქმის ცხრა წელია ბიბლიოთეკა არ ივსება ახალი ლიტერატურით, არ შემოდის პრესა. ახალი წიგნის გარეშე კი ბიბლიოთეკა თითქმის ფრთებმოკეცილია, ვერ შლის თავის საქმიანობას მთელი შესაძლებლობით.

სოფელი თელიანი კასპის რაიონის ერთ-ერთი გიპიური სოფელია, რომლის მოსახლეობა ათასამდე მცხოვრებს შეადგენს. სხვების მსგავსად, ჩვენი სოფელიც განიცდის ბოლო წლების უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ გაჭირვებას. მართალია, მოსახლეობა ძირითადად ყოფითი პრობლემებითაა დაკავებული, მაგრამ ჩვენდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ სოფელში ბიბლიოთეკა იყო და კვლავ რჩება კულტურის ცენტრად. უმძიმესი გაჭირვების მიუხედავად, ბიბლიოთეკამ შეინარჩუნა წიგნადი ფონდი (5 480), მკითხველი (500), მუშაობის ჩვეული სტილი და ავტორიტეტი.

უკანასკნელ წლებში თელიანის სასოფლო ბიბლიოთეკაში მთელი რიგი საბიბლიოთეკო სამუშაოები ჩატარდა: რეინვენტარიზაციის მიზნით, აღწერა ჩაუტარდა ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნად ფონდს, გამოვლინდა და გაირიცხა პოლიტიკურად და შინაარსობრივად აქტუალობადაკარგული წიგნები; შედგა სათანადო დოკუმენტაცია. ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ნაცვლად წიგნადი ფონდი თაროებზე ათწილადი კლასიფიკაციის სისტემით გააფაჩვეთ. არსებულ ლიტერატურაზე შევადგინეთ ახალი საინვენტარო წიგნი, ახალი ნომრებით, ახალი სისტემით, ლარებზე გადაყვანილი ფასებით. ამჟამად ვემზადებით ანბანური და სისტემატური კატალოგების სარედაქციო სამუშაოების ჩასატარებლად.

მაგრამ ბიბლიოთეკის მუშაობა მარტო წიგნის გაცემით და მკითხველთა მომსახურებით არ შემოიფარგლება. ჩვენი შრომა შემოქმედებითი და მრავალმხრივია. ყოველდღიურად ვფიქრობთ, ვზრუნავთ იმაზე, თუ როგორ, რა მეთოდებით

მივიგნოთ წიგნი მკითხველამდე, შევახვედროთ ისინი საინტერესო ადამიანებს, გაეაცნოთ ჩვენი დიდი კულტურული მემკვიდრეობა, ისტორია, გამოჩენილი ადამიანები, ქვეყნისათვის თავდადებული პატივოვანი გმირები.

ბიბლიოთეკაში მოწოდებული თემატური გამოფენები, შეხვედრები, ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები, წიგნის განხილვები, დისკუსიები სოფლის მოსახლეობაში დიდი მოწონებით სარგებლობს და მკითხველთა დაინტერესებას იწვევს. ქრისტეს შობის 2000 და ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს მივუძღვეით ლიტერატურულ-მხატვრული საღამო „იმედი ჩემი, ძალა ჩემი და რწმენა ჩემი“. მოეწყო ამ თემის ამსახველი ლიტერატურის და ფოტომასალის ვრცელი გამოფენა.


გასულ წელს აღვნიშნეთ გიორგი ლეონიძის, აკაკი წერეთლის, მიხეილ ჯავახიშვილის საიუბილეო თარიღები. მხედველობიდან არ გვრჩება დიდი ისტორიული პიროვნებების – დავით აღმაშენებლის, ვახტანგ გორგასლის, თამარ მეფის, ქეთევან დედოფლის, თეკლა ბატონიშვილის, ანტონ ბაგრატიონის, გიორგი სააკაძის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც მაგალითია მაღალი მზნობისა და სულიერი სიმბნევისა, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი დღევანდლობისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მოეწყო მერაბ კოსტავას წიგნის – „ფიქრები საქართველოს მისიამე“ – განხილვა. წმინდა ვალენტინის, იგივე სიყვარულის დღე შექსპირის „სონეტების“ განხილვით აღინიშნა.

სამომავლოდ ბიბლიოთეკის საპროპაგანდო და შემოქმედებითი მუშაობა უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი რომ გახდეს, აუცილებელია ვიმზრუნოთ ახალი ლიტერატურით ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შევსებაზე, პერიოდიკით მის უზრუნველყოფაზე, გექნიკური საშუალებების დანერგვაზე.



რასაც ვაკეთებთ, ყოველივე ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ ვგრძნობთ, რომ დღევანდელ დღეს ეს საკმარისი არ არის, ისევე, როგორც არ კმარა ის ინფორმაცია და მეთოდიკური დახმარება, რომელსაც ჩვენ ვეძებულობთ. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს სასოფლო ბიბლიოთეკების თანამშრომელთა პროფესიული დაოსტაგების საქმეს, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალი გექნოლოგიების გაცნობას.



ალექსანდრე ლორია
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

კითხვის მართვა, როგორც გემოქმედების პედაგოგიური საშუალება

(გამოკვლევა)

კითხვის ზეგავლენა, უპირველეს ყოვლისა, აღმზრდაში პოვნებს გამოვლენას, რაც ყოველთვის იყო საზოგადოების ზრუნვის საგანი. იმის მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივი ურთიერთობანი არის დამყარებული ქვეყნად, ეს ზრუნვა სხვადასხვაგვარად ხორციელდება.

აღამიანი, როგორც კი კონტაქტში შევაა წიგნთან, გვინდა თუ არა, წიგნი თავისთავად აღმზრდელის როლს ასრულებს, მაგრამ რაკი აღმზრდა შეიძლება სავსებით საპირისპირო მიმართულებით წარიმართოს, საზოგადოებას თავისი კლასობრივი თუ მორალურ-ზნეობრივი ინტერესები აიძულებს, „ჩაერიოს“ კითხვის საქმეში და იმგვარად მოახდინოს მისი ორგანიზება, როგორც ეს მისთვის ხელსაყრელია. სწორედ ამან განაპირობა უძველეს დროიდანვე კითხვის მართვის აუცილებლობა გარკვეული ხერხებითა და საშუალებებით. მართვის მექანიზმის შექმნის ერთ-ერთი გამოკვეთილი მაგალითია ცენზურა. მაგრამ სახელმწიფოებრივ – აღმინისგრაფიული ხერხების გარდა, კითხვის მართვის საქმე წესრიგდება აგრეთვე პედაგოგიზირებული მეთოდებითა და საშუალებებითაც.

აღმზრდა მხოლოდ და მხოლოდ სკოლაში არ ჰპოვებს რეალიზებას. არსებობს ე.წ. „არაწინასწარგანზრახული“ აღმზრდელიობითი ძალებიც, როგორც ამას კ. უმინსკი აღნიშნავდა. მისი აზრით, „... აღმზრდა, ამ სიგყვის ვიწრო მნიშვნელობით, როგორც წინასწარგანზრახული აღმზრდელიობითი მოღვაწეობა – სკოლა, აღმზრდელი და დამრიგებელი ... სრულებით არ არიან აღამიანის ერთადერთი აღმზრდელები... აღამიანის ასევე ძლიერი, და შეიძლება ითქვას, უფრო ძლიერი აღმზრდელები არიან წინასწარგანზრახველი აღმზრდელები: ბუნება, ოჯახი, საზოგადოება, ხალხი, მისი რელიგია და ენა, ერთი სიგყვით, ბუნება და ისტორია ამ ზოგად ცნებათა უზოგადესი გაგებით“.¹

წიგნის აღმზრდელიობით ფუნქციებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი ილიაც, მაგრამ მასაც არანაკლებ მნიშვნელოვან აღმზრდელად მიაჩნდა თვით მთელი ცხოვრება, აღამიანის პრაქტიკული გამოცდილება. ამ ფაქტორს არსებით როლს ანიჭებდა იაკობ გოგებაშვილი, რომელიც თვლიდა, რომ არა მარტო სკოლა, არამედ მთელი ცხოვრებაა

აღამიანის მასწავლებელი და რომ ეს სწავლება მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს.



როგორც ვხედავთ, ე.წ. „წინასწარგანზრახველი აღმზრდელები“ მთელი გარემოა, რომელიც გარს არტყია აღამიანს; ესაა მთელი მისი ცხოვრება – ფიზიკური თუ სოციალური პირობები, და, ცხადია, მათ შორის წიგნი, რომელსაც უდიდესი ადგილი უჭირავს აღამიანის ყოფით საქმიანობაში.

აღამიანის აღმზრდა და პიროვნებად ჩამოყალიბება სკოლასთან ერთად სულაც არ მთავრდება. იგი უწყვეტი პროცესია და ამ პროცესში კითხვა უზარმაზარ როლს თამაშობს, იგი მართულია, რასაც საზოგადოება სპეციალური საშუალებებით ახდენს, როგორც აღმინისგრაფიული, ისე პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით.

პედაგოგიური ხერხებით კითხვის ზეგავლენის რეგულირებას ყველა დაწესებულება თუ ორგანიზაცია მიმართავს, რომელსაც საქმე აღამიანის აღმზრდა-განვითარებასა თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასთან აქვს. ესენია, მაგალითად, საზოგადოებები, კლუბები, გამომცემლობები, პერიოდული ორგანოები, მუზეუმები, კინოები თუ თეატრები, რადიო-ტელევიზია, მაგრამ განსაკუთრებით ეს სასწავლო დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებზე ითქმის. ისინი ყველანი სპეციფიკურ ხერხებსა და მეთოდებს იყენებენ; ამ მხრივ გამორჩეულად დგას ბიბლიოთეკა. იგი თავის მომხმარებელთან მუშაობის დროს პედაგოგიურად დასაბუთებული, პრაქტიკულად აპრობირებული, გრადიციულად დამკვიდრებული მეთოდებითა და ფორმებით მოქმედებს. სამწუხაროდ, არ არსებობს ერთიანი, საყოველთაო მეცნიერული სისტემა, რომელიც ყველასათვის დასაყრდენ თეორიულ ბაზად გამოდგება. ამიტომაც ყველა მიმართულება თავისებური გზით მიდის თავისი მიზნების მისაღწევად და სპეციფიკურ თეორიულ მიგნებებს იყენებს. ისინი სხვადასხვა მეცნიერებასთან ინტეგრაციით წარმართავენ თავიანთ საქმიანობას. იგივე ითქმის ბიბლიოთეკაზეც, რომელიც კითხვის კვლევისა და მართვის სფეროში არა მარტო საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობა, არა მარტო ბიბლიოთეკათმცოდნეობის მონაპოვარს უწევს

222 96

საქართველოს
ბიბლიოთეკა



ანგარიშს, არამედ სხვა მეცნიერებათა თეორიულ მონაპოვრებსაც. იმდენად, რამდენადაც ბიბლიოთეკაში კითხვის მართვა პედაგოგიზებული ხერხებითა და საშუალებებით ხორციელდება, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგიურ მონაპოვართა განზოგადებას როგორც ბიბლიოთეკათმცოდნეობაში, ისე საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. ეს თავისთავად ნიშნავს ფსიქოლოგიის საფუძვლების გამოყენებასაც, რის გარეშეც აღზრდის ორგანიზებული მართვის პროცესი წარმოუდგენელია.

კითხვის საქმის კვლევა არ წარმოადგენს რაიმე ერთი მეცნიერული სისგემის კომპენენციას, რაც ხელს უშლის ამ მოვლენის შესწავლასა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას. სწორედ ამიტომაცაა საჭირო ლექტოლოგიის – კითხვის შესახებ მეცნიერული სისგემის – ჩამოყალიბება და მისი საყოველთაო აღიარება.²



როგორ უნდა გავიგოთ კითხვის მართვა, ვინ და როგორ აწარმოებს მას?

კითხვა, თუ კი საზოგადოებრივი მოვლენაა, ხოლო მისი მეშვეობით პიროვნებასა და მასაზე აქტიური ზემოქმედება ხორციელდება, რაც ადამიანის პიროვნულ ჩამოყალიბებაში, მის აღზრდაში პოვნებს გამოხატულებას, ცხადია, ასეთი რამ არ შეიძლება საზოგადოების ყურადღების გარეშე დარჩეს და აქ ძირითადი ფენების ინტერესები არ მოვიდეს მოძრაობაში, მით უფრო, რომ ამას ობიექტური კანონზომიერების ხასიათი აქვს და ის გარდაუვალია. ესაა სწორედ იმის საფუძველი, რომ საზოგადოება სხვადასხვა გზითა და საშუალებებით მიმართავს კითხვის მართვას. კითხვის მართვა შეიძლება რეაქციონერულ ხასიათს აგარებდეს და პროგრესულსაც. როდესაც კითხვის მართვა მიმართულია საზოგადოების აზრის შეზღუდვისაკენ, იდეოლოგიზირებისათვის, მასების გონებაზე იძულებითი ზემოქმედებისათვის, საყოველთაოდ მიღებული ჰუმანური თვისებების საწინააღმდეგოდ, ცხადია, იგი რეაქციონერული ბუნებისაა და დამრთველ მოვლენას წარმოადგენს. ხოლო როდესაც მართვა ძირითადად გულისხმობს მკითხველის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ხელშეწყობას, დახმარებას მისი მკითხველური ჰორიზონტის გაფართოებისათვის, პროფესიული სრულყოფისათვის, თუკი ის იძლევა საშუალებას ფართო ინფორმირებისა, ქმნის პირობებს ყოველგვარი შეზღუდვებისა და კეთილგანწყობილების აგმოსფეროსათვის, მისაღები და მისასაღმებელია. არ უნდა

შეგვაცდინოს კითხვის საქმეში ჩაურევლობის საყოველთაო ცნობილმა პრინციპმა, რომლის თანახმადაც ადამიანი თავისუფალია საკითხავი მასალის არჩევაში, რომ წიგნის მუშაკები წიგნის საქმეში ობიექტურობის დაცვის მიხედვით უნდა მოქმედებდნენ და არავითარ ზეგავლენას არ უნდა ახდენდნენ მკითხველზე. თავისთავად ყოველივე ეს მისაღებია, მაგრამ ამას არავითარი საერთო არა აქვს კითხვის მართვასთან.

პროგრესულ საზოგადოებაში, დემოკრატიისა და თავისუფლების პირობებში კითხვის მართვა არ უნდა იქნეს გაგებული როგორც კითხვის ხელმძღვანელობა, როგორადაც ეს თავის დროს საბჭოთა კავშირში მიაჩნდათ. მაშინ ძირითად პრინციპად კომუნისტურ აღზრდას აღიარებდნენ, თუმცა ეს საქმე არ იყო სწორად ინტერპირებული. მართვა პედაგოგიურ საფუძვლებს უნდა ეყრდნობოდეს და მის ჭეშმარიტ დასკვნებს იზიარებდეს. აქედან გამომდინარე, მართვა, უპირველეს ყოვლისა, დახმარებას, კითხვის პროცესის რეგულირებას, საუკეთესო მასალის გამოვლენას, მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, ოპერატიულობას უნდა ემსახურებოდეს. მისი ამოცანაა, ხელი შეუწყოს პიროვნებასა და მასას, იკითხოს მაღალკულტურულად, მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია, საფუძველიანად დაეუფლონ ინტელექტუალურ ფასეულობებს. მისი მოვალეობაა, ადამიანს დაუხვეწოს გემოვნება, აღზარდოს მასში ესთეტიკური გრძნობები, გაუფართოვოს მას ინტერესთა სფერო, იზრუნოს მის შემოქმედებით განვითარებაზე, დაამკვიდროს საზოგადოებაში ჰუმანიზმი და კეთილგონიერება, აამაღლოს ადამიანთა ზნეობა და მორალი. ამასთან, გამორიცხულია ყოველგვარი იძულება, ძალდატანება, პირდაპირი აკრძალვა, დისკრიმინაცია. მართვა მიმდინარეობს ინტერესის აღძვრის, მკითხველის ცნობაში მოყვანის, მოთხოვნილებათა აღქვავურად დაკმაყოფილების გზით.

ამ ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად ცივილიზებულ ქვეყნებში წიგნისა და კითხვის პროცესების წასამართავად სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავენ. ამის გარეშე შეუძლებელია. მაგალითად, დაუშვებს თუ არა საზოგადოება, მისი მომავალი თაობის კითხვის საქმე თვითდინებაზე მიაგდოს? სკოლა თუ უმაღლესი სასწავლებელი ქმნიან ათასგვარ პროგრამებს, შესასწავლადსავეციალურად არჩევენ საუკეთესოთა შორის საუკეთესო მასალას, იძლევიან რეკომენდაციებს, რჩევა-დარიგებებს,



კონსულტაციებს, ცდილობენ მოსწავლეებს მიაწოდონ ისეთი ლიტერატურა, რომელიც მათ სარგებლობას მოუტანს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს რაიმე შეზღუდვას შერჩევასა თუ მასალის ათვისებაში. ამ მხრივ ყველა თავისუფალია, მაგრამ ხდება ერთგვარი რეგულირება, დახმარება, ხელშეწყობა. ზოგ შემთხვევაში იძულებასაც მიმართავენ, როდესაც ეს მოსწავლეთა სწავლებასთან და პროფესიული განათლების მიღებასთანაა დაკავშირებული. მაგრამ ეს სრულებითაც არ გულისხმობს შეზღუდვას, არამედ წარმოადგენს პირობას, რომლის შესრულების გარეშე შეუძლებელია სასწავლო მიზნების მიღწევა და რომელიც წინასწარაა ნებაყოფლობით შეთანხმებული.

რაც შეეხება ბიბლიოთეკებს, მათი მოვალეობაა, ხელი შეუწყონ მომხმარებლებს კულტურულ – საგანმანათლებლო, მეცნიერული თუ საწარმოო მიზნების მიღწევაში, მოთხოვნილებათა და ინტერესების დაკმაყოფილებაში. აქედან გამომდინარე, ისინი ისე აგებენ თავიანთ საქმიანობას, რომ ლიტერატურა უზრუნველყოფდეს მოცემული საზოგადოების შეხედულებისამებრ მისაღებ იდეათა

განხორციელებას, არ მოდიოდეს საყოველთაოდ მიღებულ ადამიანურ ნორმებსა და კანონებთან შეუთანხმებლობაში. აი, ამაში გამოიხატება საზოგადოების კითხვაში „ჩარევა“ ანუ კითხვის მართვა. ამგვარი „ჩარევა“ შესაბამისი მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით ხდება, რაც თანამედროვე ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და საბიბლიოთეკო პრაქტიკაში სავსებით შესწავლილი და აპრობირებულია. მაგრამ, პერიოდულად ხდება მათი მოდერნიზება, განახლება და განვითარება, სიახლეთა დანერგვა. ყოველივე ეს მხოლოდ მოწინავე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლების მაქსიმალურად გათვალისწინების შედეგად არის შესაძლებელი.

1. ციტირებულია წიგნიდან: Общие основы педагогики. – М., 1967. – с. 685.
2. ამის შესახებ დაწერილებით გვაქვს ლაპარაკი წიგნში: ლორია ა., კითხვა როგორც კვლევის საგანი. – თბ.: მეცნიერება, 1993.

მოსაზრებები საბავშვო ლიტერატურასა და კრიტიკაზე



იყო დრო, ლიტერატურულ წრეებში დაობდნენ იმაზე, არსებობს თუ არა საბავშვო ლიტერატურა. ეს იმან გამოიწვია, რომ ბევრს მიაჩნია, რაკი საბავშვო ლიტერატურა განუყოფელი ნაწილია საერთო ლიტერატურისა, მისი გამოცალკევება მიზანშეწონილი არ არის. მართალია, ეს ერთგვარად ამაღლებდა საბავშვო ლიტერატურის პრესტიჟს, მაგრამ საბავშვო მხატვრულ ლიტერატურას, როგორც დამოუკიდებელ ჟანრს, ფაქტობრივად, უგულებელყოფდა. ეს კი არ შეესაბამებოდა რეალობას. ამ არაფრისმომცემ დაზავს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სრულყოფილად არ გვაქვს გააზრებული, თუ როგორ უნდა გავიგოთ საბავშვო ლიტერატურა და ბავშვი

ნატო მჭედლიშვილი

მეცნ. აკად. ცენგრ. სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

მკითხველი. ჩვენ არ ვეხებით აქ „ბავშვის“ ყოფით გაგებას, როცა ბავშვად 17-20 წლის ახალგაზრდებსაც კი მოიხსენიებენ. საქმე იმაშია, რომ რატომღაც საბავშვო ლიტერატურისა და ბავშვ მკითხველთა გაგება მკვეთრად არ არის დიფერენცირებული. ამას ისიც ემატება, რომ ზოგჯერ უზუსტობასაც იჩენენ, როდესაც თვლიან, რომ რაკი ბავშვებისათვის სავალდებულოა საერთო ლიტერატურის გარკვეული ნაწილის ცოდნა, არ შეიძლება ცალკე გამოიყოს საბავშვო ლიტერატურა. მართალია, არც „თორნიკე ერისთავი“ და არც „კაცია ადამიანი“ ბავშვებისათვის არ დაწერილა, მაგრამ სკოლაში მათ საკმაოდ ადრე გადიან. უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება ამ თვალსაზრისით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქ „საბავშვო ლიტერატურა“, როგორც ჟანრი,

გაიგივებულია ბავშვებისათვის გათვალისწინებულ ლიტერატურასთან.

ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ჩვენს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში, სადაც მკვეთრად გამოჰყოფენ „საბავშვო ფონდს“ და სრულებითაც არ აიგივებენ მას „საბავშვო ლიტერატურასთან“. საბავშვო ფონდში, ჩვეულებრივ, შედის: 1. საკუთრივ საბავშვო ლიტერატურა (წიგნები სპეციალურად ბავშვებისათვის დაწერილი, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით); 2. საერთო ლიტერატურიდან ბავშვებისათვის გადმოკეთებული გამოცემები; 3. ის ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელთა გაცნობა ბავშვებისათვის საჭიროა შემეცნებითი თუ ესთეტიკური თვალსაზრისით. აი, ის სამი საწყისი, რაზედაც აიგება საბავშვო ფონდი ანუ ბავშვების საკითხავად განკუთვნილი ლიტერატურა. თავისთავად ცხადია, მასში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი საკუთრივ ბავშვებისათვის შექმნილ ნაწარმოებებს უჭირავს.

ამგვარად დაზუსტებას მოითხოვს საბავშვო ლიტერატურის გაგებაც.

რას ვუწოდებთ „საბავშვო ლიტერატურას“? ზოგ შემთხვევაში მას განმამოგადებელი გაგება აქვს, როცა გულისხმობენ ყველაფერს, რაც კი შექმნილა სკოლამდელი, უმცროსი, საშუალო თუ უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებისათვის. ზოგ შემთხვევაში ამ ცნებას იყენებენ მხოლოდ და მხოლოდ სკოლამდელი და დაწყებითი სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის.

განკუთვნილი ლიტერატურის მიმართ, ხოლო უფრო მოზრდილი მოსწავლეებისათვის

გამოცემულ ლიტერატურას ცალკე გამოჰყოფენ და

საყმაწვილო ლიტერატურას უწოდებენ. ვხვდებით აგრეთვე „საყმაწვილო ლიტერატურის“ იმგვარ გაგებას, როდესაც იგი მთლიანად „საბავშვო ლიტერატურის“ იდენტურია. ამ შემთხვევაში მას განმამოგადებელი ცნების მნიშვნელობით იყენებენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც „საყმაწვილო“ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად გაიგება. „ყმაწვილი“ ზოგჯერ პატარა ბავშვს ნიშნავს (სქესის განურჩევლად), ზოგჯერ – ახალგაზრდას (ასევე სქესის განურჩევლად) და ზოგჯერ კი ახალგაზრდა ვაჟს. ამიგომაც, ჩვენს შემთხვევაში ამ ცნების გამოყენება საკმაოდ პირობითად თუ შეიძლება. საჭირო კია, რომ მკვეთრად განისაზღვროს, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ეს ტერმინი.

რაკი „საყმაწვილო“ და „საბავშვო“ იდენტურ ცნებებად არის მიჩნეული, თითქმის შეუძლებელია მათი გამოყენებით განვასხვავოთ ერთმანეთისაგან პატარა მკითხველებისათვის შექმნილი ლიტერატურა შედარებით მოზრდილთათვის განკუთვნილი

ლიტერატურისაგან. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს სავერდებულთა. როგორც ცნობილია, თავისი სპეციფიკით, თავისებურებებითა და დანიშნულებით, უაღრესად დიდი განსხვავებაა უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის არსებულ ლიტერატურასა და 14-16 წლის მოსწავლეთათვის განკუთვნილ ლიტერატურას შორის. ამჟამად ჩვენში რუსული პრაქტიკის გავლენით, ფხვს იკიდებს „მოზარდის“ (პოდროსტოკ) ცნების გამოყენება სწორედ იმ ასაკის ბავშვების მიმართ, რომელთაც უმეტესწილად ყმაწვილებს ვუწოდებთ. რამდენად ადექვატურია ეს, ჯერ კიდევ დასადგენია, რადგანაც „მოზარდის“ მრავალგვარი გაგება არსებობს და იგი უფრო მეტად საგნის თვისებას გამოხატავს, ვიდრე თვით საგანს.

ისმის კითხვა: ხომ არ დადგა დრო, მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის მსგავსად, ჩვენც ვიხმართ გამოთქმა: „ლიტერატურა ბავშვებისა და მოზარდებისათვის“?

საერთოდ, საბავშვო ლიტერატურის თეორიაში ბევრია სადავო და საკამათო. შეიძლება კვლავ ვიკამათოთ – არსებობს თუ არ არსებობს საბავშვო ლიტერატურა, მაგრამ ბავშვები რომ არსებობენ და მათ კითხვა სჭირდება, საკამათო არ არის. არც ის უნდა იყოს საკამათო, თუ როდენ დიდი, ერისათვის ა დ ა მ ჭ რ ე ლ ი ნიშვნელობა აქვს წიგნით ბავშვთა ემრუნველყოფასა და კითხვის ორგანიზებულად მართვას.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ?

აქ ორი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ საკითხი: ერთი – რა იქმნება ბავშვებისათვის, როგორია არსებული ლიტერატურული პროდუქცია, მისი ხარისხი, და მეორე – რა პირობებია ამ პროდუქციის შექმნისა და გავრცელებისათვის.

პირველი მიმართულების გარკვევა შედარებით ძნელია, რადგანაც ის საუშუპელიან, ყოვლისმომცველ ანალიზსა და განხილვას მოითხოვს (თუ მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით არ შემოვიფარგლეთ). რაც შეეხება არსებული პროდუქციის კრიტიკულ ანალიზს, ვეჭვობ, ვინმემ გადაჭრით იცოდეს, რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს.

ერთის თქმა უცილობლად შეიძლება: ქართულ საბავშვო ლიტერატურაში ჭარბობს გამოცემები დამწყები, ვიდრე საშუალო სასკოლო ასაკის მკითხველებისათვის. ხარისხობრივი თვალსაზრისით, თემატურად, შემოქმედებითი თვალსაზრისით ისინი გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე წიგნები უფროსკლასელთათვის.

როგორც ცნობილია, უფროსი სასკოლო ასაკიც (14-16 წლები) ბავშვ მკითხველის ასაკად მიიჩნევა. ადამიანისათვის ამ ყველაზე რთულ ხანაში

რას ვუწოდებთ „საბავშვო ლიტერატურას“? ზოგ შემთხვევაში მას განმამოგადებელი გაგება აქვს, როცა გულისხმობენ ყველაფერს, რაც კი შექმნილა სკოლამდელი, უმცროსი, საშუალო თუ უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებისათვის.

მოსწავლეები უკვე სავსებით ჩამოყალიბებული მკითხველები არიან. ბიბლიოთეკართა დაკვირვებით, სწორედ ამ ასაკის მომხმარებლები არიან ყველაზე აქტიური მკითხველები. ისინი უკვე მონდომებით ეწაფებიან საყოველთაო ლიგერატურას, თუმცა მათთვის განკუთვნილ და შედარებით უფრო მცირე ასაკის მოსწავლეთათვის გამოცემულ წიგნებსაც სიამოვნებით კითხულობენ. განსაკუთრებით კი თანაგოლთა ცხოვრება იზიდავთ, უმეტესად ე.წ. „ახალგაზრდულ ლიგერატურას“ ეტანებიან. მაგრამ ყოველივე ეს უმარტივესი დაკვირვების შედეგად არის შემჩნეული, თორემ ღრმა მეცნიერული ანალიზი ამ საკითხის გამოსარკვევად არავის უწარმოებია. კაცმა რომ თქვას, ვიცით კი, რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ სადღესოდ? ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი 5-6 წელი: ვიცით, რა ფასეულობანი შეიქმნა საბავშვო ლიგერატურაში, რა მიმართულებები განვითარდა, რას მიექცა მთავარი ყურადღება, რა სიღრმით გაშუქდა ჩვენი ცხოვრება, რა თვისებრივი ცვლილება განიცადა საბავშვო ლიგერატურამ, როგორ ამაღლდა მისი ღონე და სხვ. ?

ლიგერატურის ისტორია მკითხველის ისტორიაა. შეგვიძლია კი მივიღოთ პასუხი, თუ როგორ შეიცვალა ჩვენი მკითხველი თაობა ?

როგორია დღეს მისი დამოკიდებულება იმ პროდუქციის მიმართ, რასაც ვთავაზობთ საბავშვო ლიგერატურის სახით, რას მოითხოვენ ისინი, რა აინტერესებთ? ფრიადსამწუხაროდ ლიგერატურულ კრიტიკაში არსად ვხვდებით ლიგერატურის გავრცელების სოციოლოგიური კვლევის შედეგებს. იშვიათია კრიტიკოსის ნაშრომი, რომელშიც თუნდაც პაგარა ცდა მაინც იქნება ავტორის მკითხველებთან ურთიერთმიმართებაში განხილვისა. საერთოდ, ჩვეულებრივი ამბავია, რომ უმეტესწილად კრიტიკოსი თავისი სუბიექტური მოსაზრების გავრცელებას ახდენს და, ფაქტობრივად, არავითარ ანგარიშს არ უწევს მკითხველს, არც იცნობს მის დამოკიდებულებას საანალიზო ნაწარმოებისადმი. ეს თუ ერთგვარად დასაშვებია ნაცად მკითხველების მიმართ, მოუთმენელია მოზარდი თაობის მიმართ. მათი ზრახვების, მისწრაფებების, მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობის გათვალისწინების გარეშე, საერთოდ, ძნელია ვილაპარაკოთ საბავშვო ნაწარმოებზე.

ამ თვალსაზრისით, მდგომარეობის შესწავლა და შედეგების განზოგადება, ჩვენი ღრმა რწმენით, თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

საქციალიზტი მსჯელობს, გვთავაზობს

ბიბლიოთეკის მართვა – როგორ გავიგოთ მისი არსი

გულნარა სტურუა

ბიბლიოთეკა ერთ-ერთი ისეთი დაწესებულებათაგანია, რომლის მუშაობისა და საქმიანობის ხარისხიანობა და პროდუქტიულობა დიდად არის დამოკიდებული მართვაზე. მართვა კი თავისთავად კვლევის ისეთი საგანია, რომელიც ჩვენში დღემდე უყურადღებოდ არის მიგოვებული. მმართველად ან ამა თუ იმ საქმის, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელად მოგჯერ ისეთი პირი ინიშნება, რომელიც უკვე პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ამკლავნებს წინამძღოლის, ლიდერის უნარ-ჩვევებს. ეს, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ მრავალ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მორალურად არცთუ გამართლებული „პრინციპებით“, ისეთ პირს ირჩევენ, რომელსაც ეს თვისებები არ გააჩნია. არადა, მართვა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას გულისხმობს და მას შესწავლა და პრაქტიკულად დაუფლებაც ესაჭიროება. მართვის დაუფლება და ამ საქმეში დახელოვნება ყველას როდი ხელეწიფება. ისიც სათქმელია, რომ მართვის მეცნიერულად შესწავლითაც ყოველთვის ვერ მივიღებთ მაღალი რანგის ხელმძღვანელ მუშაკს.

ბიბლიოთეკის მართვა – ეს არის ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ერთობლივი, მაგრამ

დიფერენცირებული შრომა, რაც მისი სოციალური ფუნქციის განმსაზღვრელია. მართვის მეშვეობით უნდა უზრუნველვყოთ ბიბლიოთეკის, როგორც სოციოკულტურული კომპლექსის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის ჰარმონიული განვითარება. მართვა მრავალგვარ ცოდნას საჭიროებს. მაგრამ, მაინც, რაში მდგომარეობს მისი არსი, მიზანი და პრინციპები, ვინაა მისი სუბიექტი და ობიექტი?

მართვის სუბიექტი არის იერარქიულად განსაზღვრული შემადგენლობა, რომელიც ბიბლიოთეკის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. მასში შედიან ბიბლიოთეკის კანონმდებლები, აგრეთვე ყველა შემდგომი და შიდა სტრუქტურები. რაც შეეხება ობიექტს – მათთან ერთად იგულისხმება მთელი ბიბლიოთეკის გარემო, რაც მართვას ექვემდებარება. საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში ბიბლიოთეკების მართვაში დიდი უფლებები აქვს მოსახლეობას – მოქალაქეებს – მკითხველთა საბჭოებს, ყველას, ვინც იხდის იმ საღაზღვეო გადასახადებს, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის არის განკუთვნილი. სწორედ ისინი ითვლებიან საჯარო ბიბლიოთეკების ნამდვილ პატრონებად. დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში

მოსახლეობა ბიბლიოთეკების პრობლემებისადმი შედარებით გულგრილია. ბიბლიოთეკებზე ზედამხედველობა მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოებს ევალება. მათ მოსახლეობისაგან დამოუკიდებლად, მათი კონტროლის გარეშე შეუძლიათ გასწიონ თავიანთი სამსახური ისე, რომ არც კი ფლობდნენ მართვისათვის ოპტიმალურად საჭირო ჩვევებს.

მართვისათან პირდაპირ არის დაკავშირებული ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის პრობლემა. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, თუ რა დონის მართვა ლაპარაკი. როგორც ვიცით, ბიბლიოთეკის მართვა გულისხმობს როგორც უმაღლესი ინსტანციების დონეს, ისე საშუალო ინსტანციების დონესა და ნაწილობრივ თვით ბიბლიოთეკის დონესაც. მართვა დეცენტრალიზებულია მაშინ, როდესაც მართვის დიდი ნაწილი საკუთარ ძალებზე დაყრდნობით სორციელდება.

ბიბლიოთეკის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, განისაზღვროს ბიბლიოთეკის მოღვაწეობის ძირითადი და მნიშვნელოვანი მიზნები, მათი მიღწევის საშუალებები, გზები და ფორმები. მმართველობის სისტემა ფუნქციონალურადაა დანაწევრებული. ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგები მმართველობის ფუნქციებს შემდეგვარად ანაწევრებენ: ბიბლიოთეკის მუშაობის სტრატეგიული დაგეგმვა, აღრიცხვა, რეგულირება და კოორდინაცია, შრომითი რესურსების მობილიზება, დაფინანსება, კონტროლი, ანალიზი, პერსპექტიული დაგეგმვა და ა.შ.

მართვა თავისებური მეთოდებით სორციელდება. საყოველთაოდ მიღებულია მართვის შემდეგი მეთოდები: აღმინისგრაფიული, ეკონომიკური, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, ინფორმაციული. თითოეული მეთოდი მეტ-ნაკლები დონებით გამოიყენება მართვის პროცესში.

საქართველოს ბიბლიოთეკათმცოდნეთათვის უთუოდ საინტერესოა ზოგიერთი რუსი სპეციალისტის (კერძოდ, ა.ნ. ვანევეის) მიერ შემოთავაზებული ბიბლიოთეკის მართვის საშუალებები :

- 1) სახელმწიფოებრივი მართვა, რომელშიც შედის საკანონმდებლო ორგანოების უფლებრივი ჩართვა;
- 2) საზოგადოებრივი თვითმმართველობა (მკითხველთა საბჭოები, ქველმოქმედებითი საბჭოები);
- 3) პროფესიული თვითმმართველობა (საბიბლიოთეკო ყრილობები, საზოგადოებები და ასოციაციები).

დღევანდელ რთულ ეკონომიკურ პირობებში, ვფიქრობთ, რომ ეს თეორია პრაქტიკულ განხორციელებას ვერ ჰპოვებს, მაგრამ სამომავლოდ ბიბლიოთეკებს სათავეში უნდა ჩაუდგინდნენ საზოგადოებები, ასოციაციები. მათ უნდა განახორციელონ ბიბლიოთეკების მაგერიალურ – გექნიკური უზრუნველყოფა, მაგრამ ბიბლიოთეკები ასეთ შემთხვევაშიც კი მაინც უნდა იყოს სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ. თუმცა, ჩვენში კვლავ დომინირებს აზრი ბიბლიოთეკების მართვაზე სახელმწიფოს უფლებების ხელშეუხებლობისა. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკა რჩება სახელმწიფოს

წყალობის მომლოდინე, სახელმწიფო აძლევს მას სახელმწიფოებრივ შეკვეთას, რომლის ჩარჩოებშიც ბიბლიოთეკა თვით ირჩევს მუშაობის კონკრეტულ ფორმებს.

დღეს საქართველოს ბიბლიოთეკებს არ გააჩნიათ არც საკმარისი მაგერიალურ-გექნიკური და არც იურიდიული საყრდენი, რათა დამოუკიდებლად შეინარჩუნონ სტრუქტურა და მართონ ისე, რომ დღევანდელ ეკონომიკურ სივრცეში მოიპოვონ თავისი ადგილი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართული საბიბლიოთეკო საქმის მესვეურები გულხელდაკრეფილები სხედან და გულგრილი მაყურებლის თვალთ შესცქერიან მიმდინარე მოვლენებს. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, მისმა დირექტორმა ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა დღის წესრიგში პირველ რიგში დააყენა საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის გადართვა ახალ, დემოკრატიულ რელსებზე.

საკოორდინაციო საბჭო, რომელიც თვეში ერთხელ რეგულარულად იკრიბება პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, იქ დასმული საკითხები და წამოჭრილი პრობლემები, საბჭოს წევრთა აქტიური და ფხიზელი დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი გვაძლევს იმედს, რომ ბევრი რამ შეიცვლება საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის სასარგებლოდ.

საკოორდინაციო საბჭო საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის მართვის ერთ-ერთი სახეობაა. მისი მიზანია, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, შეავსოს ის ინფორმაციული ვაკუუმი, რომელშიც საქართველოს ბიბლიოთეკები აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ახალი ფორმაციის, ახალი სოციალური წყობისა და ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების პროცესში ქართულმა ბიბლიოთეკამაც უნდა მონახოს განვითარების, მსოფლიოს ბიბლიოთეკებთან ურთიერთობისა და ინტეგრაციის ახალი გზა. უნდა ჩამოაყალიბოს თავისი ახალი სტრატეგია, მუშაობის ახალი პოლიტიკა. ეს მიზანი ჰქონდათ ბიბლიოთეკის მესვეურებს, როდესაც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია შექმნეს. „ასოციაცია ნებაყოფლობით აერთიანებს საქართველოს ბიბლიოთეკებს, არქივებს, მუზეუმებს, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიულ ცენტრებს, ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს ან კერძო პირებს“ (ასოციაციის წესდებაში).

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების უახლეს ისტორიაში ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის 2 001 წლის იანვრის სხდომა, რომლის ოქმში აღნიშნულია საქართველოს სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ და რომელმაც მიმდინარე წლის 1 ივლისამდე უნდა „შეიმუშაოს და წარმოადგინოს საქართველოში საბიბლიოთეკო სისტემის შენარჩუნებისა და განვითარების მრავალწლიანი პროგრამა“ (საქ. მთავრობის სხდომის ოქმი 2 001 წ. 11.01).

როდესაც ბიბლიოთეკის მართვაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ განვითარებული ქვეყნების



ბიბლიოთეკების მართვის პრაქტიკაში ფართოდ დანერგილ გერმინს – „მენეჯმენტი“. მოგს მიაჩნია, რომ ბიბლიოთეკაში მენეჯმენტს განსაკუთრებული პირი უნდა აწარმოებდეს, კერძოდ – „მენეჯერი“. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი თავად არის მენეჯერი, მაგრამ ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც ახალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე მართავს ბიბლიოთეკას და საქმიანობაში თამამად იყენებს ახალ ეკონომიკურ მეთოდებს.

საბიბლიოთეკო პრაქტიკამ ბევრი ახალი რამ მოიგანა მართვის სისტემის სტრუქტურებში. წარმოჩნდნენ ახალი განყოფილებები, საბიბლიოთეკო მარკეტინგი, რეკლამები, ფასიანი მომსახურება. სამწუხაროდ, ასეთი სიახლეები საქართველოს ბიბლიოთეკებში ნაკლებად ინერგება და მას მაშგაბური ხასიათი არა აქვს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თბილისის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბაზაზე განმრავლდა ახალი, თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკის გამართვა. იდეა და მოდერნიზაციის ინიციატივა თავად ბიბლიოთეკის დირექციიდან წამოვიდა (ბიბლიოთეკის დირექტორი – ომარ შოთაშვილი). სახსრების უქონლობის გამო კულტურის სამინისტროს დაფინანსებიდან ბიბლიოთეკა თბილისის მერიის დაფინანსებაზე გადავიდა. ეს კი ჩანაფიქრის განხორციელების პერსპექტივობაზეც მეტყველებს.

როგორც ვთქვით, საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის განყოფილებები მოითხოვს ცვლილებებს, მაგრამ ამ ცვლილებებს არ უნდა შეეწიროს მეთოდური დახმარების და კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილებები, სანამ ამის აუცილებლობას თავად პრაქტიკა არ დაგვანახებს.

ბიბლიოთეკის მართვის ერთ-ერთი ძირითადი გასაღები სტრატეგიული გეგმაა. მასში ბიბლიოთეკის საბოლოო მიზანი იგულისხმება. მართვის განმახორციელებელმა უნდა იცოდეს, რა მიმართულებით ვითარდება ბიბლიოთეკა. უნდა იცოს დარწმუნებული, რომ ოპტიმალურად იქნება გამოყენებული არსებული რესურსები: ფონდები, შტაგები, შენობა, მოწყობილობა.

დღეს საჭიროა ხელმძღვანელმა მუსტად იცოდეს, თუ რაზე შეუძლია უარის თქმა, როცა მას შტაგების შემცირება მოელის, როცა არ ყოფნის სათანადო საშუალებები და სხვა. მაგრამ ყოველგვარი გეგმა რეალური სოციალურ-პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით უნდა შედგეს. სტრატეგიული გეგმა უ.პ.ყ. საჭიროა იმ ორგანიზაციისთვის, რომლის დაქვემდებარებაშიც ბიბლიოთეკა იმყოფება, რათა აქ დარწმუნდნენ, რამდენად მკაფიოდ არის დასახული სამომავლო სამუშაოების გეგმა. იმ დროს, როდესაც ინფორმაციულ-ტექნიკური რევოლუციის პროცესი მიმდინარეობს, მართვის ხელოვნების სრულყოფილად წარმოდგენა ძალიან რთულია. ბიბლიოთეკები დინამიკურ თუ

რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. საჭირო გახდა ავტომატიზაციის ქსელის გაფართოვება და ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, რომელიც ნორმალურ და შემოქმედებით საქმიანობას უზრუნველყოფს. ამ მიზნით, დგება სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც იღვწის თანამედროვე ბიბლიოთეკების განვითარებისათვის და ცდილობს სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით მიაღწიოს აუცილებელ ფინანსურ მხარდაჭერას შემუშავებული პროექტის განხორციელებისათვის.

პროექტით ხელმძღვანელობა თანამედროვე ბიბლიოთეკის მართვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

სპეციალისტები ბიბლიოთეკის მართვაში ერთ-ერთ მთავარ როლს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს აკისრებენ. მასზე მოდის მმართველობითი საქმიანობის უდიდესი პროცენტი, მორალური და ფსიქოლოგიური დატვირთვა. ამიტომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს პროფესიული ცოდნის, ორგანიზაციული ნიჭის და პასუხისმგებლობის გრძნობასთან ერთად, თანამედროვეობის გაგება და კომუნიკაბელურობა, კომპრომისული ხასიათი და მოთმინება მოეთხოვება. მაგრამ ბიბლიოთეკის მართვას გემოთ აღწერილი თვისებების მქონე ხელმძღვანელი მხოლოდ მაშინ გაართმევს თავს, თუ მართვა დეცენტრალიზებულია, ე.ი. მართვა ხდება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით.


ამჟამად საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა მძიმე მდგომარეობაშია. მან კიდევაც რომ მოიპოვოს საკუთარ ძალებზე დაყრდნობით არსებობის უფლება, ეს ვერ უშველის, რადგანაც მომთხოვნელობა ამ სფეროსადმი უმნიშვნელოა.

ჩამოუყალიბებული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, გულგრილია ქისლამი როგორც მმართველი ორგანოები, ისე ხალხი. სახელმწიფო გამოსავალს ბიბლიოთეკებისა და მისი კადრების მაქსიმალურ შემცირებაში ხედავს.

უნდა ვთქვათ, რომ დღეს ჩვენი ბიბლიოთეკები ისეთივეა, როგორც ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი ორგანოები. ჩვენ გვინდა შევექმნათ ბიბლიოთეკები თანამედროვე ევროსტანდარტების მიხედვით, მაგრამ ძნელია გაუსწრო დროს, მოვლენებს; წარმოუდგენელია წინასწარ შექმნა ის, რის საჭიროებაც დღეს არ არის. საზოგადოებას უნდა სწყუროდეს ინფორმაციის მიღება, ახასიათებდეს მომთხოვნელობა და ფართო ინტერესები. საზოგადოება და სახელმწიფო ერთობლივად უნდა ისწრაფოდნენ პროგრესისაკენ, და არა მხოლოდ ბიბლიოთეკის მუშაკები ...

არ შეიძლება არ ითქვას, რომ საქართველოს ბიბლიოთეკის მართვაში უამრავი ხარვეზი გვაქვს. ამ ხარვეზებში უპირველესი საბიბლიოთეკო საქმის მოძველებული სისტემაა, რომლის მოგვარებაც გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ახალი ფორმაციის, ახალი სოციალური წყობისა და ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების პროცესში ქართულმა ბიბლიოთეკამაც უნდა მონახოს განვითარების, მსოფლიოს ბიბლიოთეკებთან ურთიერთობისა და ინტეგრაციის ახალი გზა.



თანამედროვე საბიბლიოთეკო პრობლემები, კონცეფციის შექმნის აუცილებლობა



XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საბიბლიოთეკო საქმის სრული გარდატეხა მოხდა.

მთლიანად შეიცვალა წარმოდგენები ბიბლიოთეკაზე, გაიზარდა მისი ფუნქციები, დანიშნულება და ამოცანები. იქმნება ახალი კონცეფციები, ბიბლიოთეკები ახალი მეთოდოლოგიებითა და ტექნოლოგიებით აღიჭურვა.

იუნესკომ თავის დეკლარაციაში განაცხადა, რომ ყველა მასობრივი ბიბლიოთეკა ინფორმაციის ცენტრს წარმოადგენს და ბიბლიოთეკის ხარისხობრივ მაჩვენებლად ის კი არ უნდა მივიჩნიოთ, რამდენი წიგნი გააჩნია ბიბლიოთეკას, არამედ ის, თუ როგორაა დაყენებული მკითხველთა ინფორმაციული უზრუნველყოფა.¹ საბიბლიოთეკო საქმე შეენიჭება თანამედროვე ტექნიკას და თანდათანობით იხვეწება საბიბლიოთეკო პროცესიც.

ავტომატიზაცია ინტერნეტის სისტემის გათვალისწინებით, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების კოლოსალურ საშუალებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ისეთი მასალის მიღების საშუალება იქმნება, რომელიც მოცემულ ბიბლიოთეკაში არ არსებობს. ამგვარად ჩნდება ე.წ. „ვირტუალური ბიბლიოთეკები“. ასეთ ბიბლიოთეკაში წიგნები შეიძლება ცოცხალი იყოს, მაგრამ შექმნილია ინფორმაციის განუსაზღვრელად მიღების საშუალებები და სხვადასხვა კომუნიკაციური გზით (ინტერნეტი, ელექტრო ფოსტა) შესაძლებელია ყოველგვარი მასალის მიღება წიგნის ფოტოასლის, მაგნიტური ჩანაწერების, დისკეტებისა თუ სხვათა სახით. ნებისმიერ ქვეყანაში იქმნება ისეთი უამრავი დოკუმენტი, რომელთაც გამოქვეყნება არ ხდება და ბიბლიოთეკებსაც ვერ მიეწოდება. მაგრამ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ამ დოკუმენტის შესახებ და ვიზუალურადაც გაეცნონ მას.

სწორედ ამ ტექნიკის გამოყენებით არის შესაძლებელი ბიბლიოთეკებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარება მსოფლიო მასშტაბით: შესაძლებელია შექმნას საერთაშორისო საბიბლიოთეკო შეერთებული კატალოგი და ინფორმაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღოს.

იმდენად დიდ ადგილს იჭერს უკვე კომპიუტერული ტექნიკა საბიბლიოთეკო საქმიანობაში, რომ განჩნდა ახალი ტერმინი „იბერთეკა“ – ნაცვლად ბიბლიოთეკისა.

საბიბლიოთეკო საქმე სამოგადოების ყველა სფეროშია წარმოდგენილი – მეცნიერება, ტექნიკა, წარმოება, განათლება, კულტურა და სხვა. საინფორმაციო – საბიბლიოთეკო სამსახურის გარეშე დღეს ნორმალური არსებობა თითქმის

წარმოუდგენელია. ამ საქმიანობით ყველა სფეროა დაინტერესებული, მაგრამ ყოველივე ეს ეხება იმ ქვეყნებს, სადაც ამის სასარგებლოდ უკვე მომართულია საზოგადოებრივი აზრი.

თავისუფლება, კეთილდღეობა და განვითარება – საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნებების ძირითადი საკაცობრიო ფასეულობანია. მათი მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კარგად ინფორმირებული მოქალაქეების მიერ თავიანთი დემოკრატიული უფლებების გამოყენებით და საზოგადოებაში აქტიური როლის შესრულებით. ბიბლიოთეკა, როგორც ცოდნის შექმნის ადგილობრივი კერა, უზრუნველყოფს ინდივიდისა და სოციალური ჯგუფების კულტურის დონის ამაღლების, ცოდნის მუდმივი განახლებისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების ძირითად პირობას.

იუნესკო ხელს უწყობს და ურჩევს ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფალთ, დახმარება გაუწიონ და აქტიურად ჩაერთონ საჯარო ბიბლიოთეკების განვითარებაში, რადგან საჯარო ბიბლიოთეკა არის ინფორმაციის ადგილობრივი ცენტრი, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის მკითხველისათვის ყველა სახის ინფორმაციასა და ცოდნას. აქ ყველა ასაკობრივმა ჯგუფმა უნდა შეძლოს თავისთვის საჭირო მასალის მოპოვება. თანამედროვე ტექნოლოგია საბიბლიოთეკო პროცესების გარდაქმნას, სიახლეთა წარმოშობასა და მეთოდების ცვლილებებს ითხოვს. ბიბლიოთეკაში მაღალი ხარისხი და ადგილობრივი პირობების გათვალისწინება მომსახურების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ბიბლიოთეკები არ უნდა წარმოადგენდნენ იდეოლოგიური, პოლიტიკური თუ რელიგიური სახის ცენზურის საგანს.

არსებულმა სოციალურ – პოლიტიკურმა და საგანმანათლებლო – კულტურულმა ძვრებმა საბიბლიოთეკო საქმე ახალი პრობლემების წინაშე დააყენა.

თუ ნაკლი არ აღმოვაჩინეთ და არ გავაანალიზეთ, საიდან ან რაგომ განჩნდა ის, ვერც პრობლემებს ჩამოვყალიბებთ, ხოლო პრობლემების დაუნახავობის შემთხვევაში არაფრის გარდაქმნა არ მოხერხდება.

პრობლემები საქართველოს საბიბლიოთეკო საქმიანობაში ძალიან ბევრია, მაგრამ არის ძირითადი და პირველ რიგში გადასაწყვეტი. უპირველეს ყოვლისა, დასაძლევია სტერეოტიპული მოსაზრება ბიბლიოთეკებზე, მათ დანიშნულებაზე, ამოცანებსა და ფუნქციებზე. ყოველგვარი ხერხითა და საშუალებით უნდა მოხდეს საბიბლიოთეკო საქმისა და ინფორმაციული სამსახურის გაერთიანება ორგანულ სისტემად, თავიანთი ფუნქციების შენარჩუნებით. აუცილებლად უნდა იქმნებოდეს საბიბლიოთეკო სისტემის განვითარების გეგმები უცხოელი



საეციალისტების დახმარებით.

დაბალ დონეზე კოორდინაცია და ერთობა პრობლემების დაძლევისა და დარგის განვითარებისათვის, თანაც ბიბლიოთეკების პოპულარობა კლებულობს, ხშირია ბიბლიოთეკების გაუქმება, არ არსებობს ეროვნული სტანდარტები, სუსტია კოორდინაცია ბიბლიოთეკასა და ინფორმაციის ორგანოებს შორის.

გადაუდებელია ახალი მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, რისთვისაც საჭიროა შესატყვისი ლიგნაგურის გამოცემა და გავრცელება, ქართული დოკუმენტების შეტანა საინფორმაციო საშუალებებში.

დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი საბიბლიოთეკო საქმის ახლებურად აგებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის (თანამედროვე ტექნოლოგია ვერ ეთვისება მოძველებულ მეთოდებს), რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბიბლიოთეკო კონცეფციების შექმნას.

დღესდღეობით საქართველოში თითქმის მთლიანად მოშლილია დაკომპლექტების სისტემა, დაკარგულია კავშირები ბიბლიოთეკებს შორის. ამიგომ საჭიროა შეიქმნას

ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ
და კ ო მ პ ლ ე ქ ტ ე ბ ის
სისტემის ახლებურ
ვარიანტი და
გაუმჯობესდეს მსხვილი
ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო

ბიბლიოთეკებს დღესაც იმგვარად აფასებენ, როგორც ადრინდელი არის დამკვიდრებული. თუ საზოგადოებრივი აზრი სწორად არ ჩამოყალიბდა და ყოველმომცველ შეხედულებად არ იქცევა, არასოდეს სიახლე არ დაინერგება, არაფერი არ გარდაიქმნება.

ბიბლიოთეკების სავალდებულო ცალეებით უზრუნველყოფის საქმე, რათა პრობლემას აღარ წარმოადგენდეს ბიბლიოთეკებს შორის წიგნისა და ინფორმაციის გაცვლა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საბიბლიოთეკო საქმის განვითარება და მისთვის ფინანსური მხარდაჭერა, კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნება, ფონდების გამდიდრება, ინფორმაციული სრულყოფა, დადგენილი ნუსხის მიხედვით ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი უფასო სავალდებულო ცალეების მიღება, რაც ნათლად არის ჩამოყალიბებული საბიბლიოთეკო კანონის I თავში, საქართველოში ყოველივე ეს რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ ხორციელდება. სამწუხაროდ ბევრ შემთხვევაში კარგად მოფიქრებული სახელმწიფოებრივი დოკუმენტი ვერ მოდის მოქმედებაში ან მისი იგნორირება ხდება. ამიგომ ძნელად გადასატყვისი პრობლემაა ბიბლიოთეკების მაგერიალურ – ტექნიკური ბაზის თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ჩვენს ბიბლიოთეკებს ძალიან ძნელ პირობებში უხდებათ მუშაობა : უსახსრობა, ელექტროენერჯის

დეფიციტი, ტემპერატურისა და ტენიანობის შეუფერებლობა და სხვ., მაგრამ ყველაზე სამწუხარო მაინც ისაა, რომ მუშაობა მოძველებული მეთოდებით მიმდინარეობს.

თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა საქართველოში გამოცემული ბეჭდური ნაწარმის სრული კატალოგის შექმნა და შეძლებისდაგვარად ბეჭდური პროდუქციის გადატანა კომპაქტ – დისკებზე, ელექტრონულ მაგარებლებზე და სერვერებზე. განსაკუთრებით სწრაფად უნდა იქნეს გადატანილი იშვიათი გამოცემები და ძველი პერიოდიკა. უფრო სწრაფად შეიძლება კატალოგიზირებული იქნეს ახლადგამოცემული წიგნები და მიმდინარე პერიოდიკა.

დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სტანდარტიზაციის პრობლემებზე აქტიურად მუშაობენ წამყვანი საეციალისტები და დაწესებულებები: ამ მხრივ გადაუდებელ პრობლემად რჩება ეროვნული ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სტანდარტის შექმნა.

საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის განვითარების კონცეფციაში უნდა აისახოს ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნა და ამავე დროს, ელექტრონული რესურსების გაერთო გამოყენებისათვის მათი ელექტრონული ბიბლიოთეკების ქსელის სისტემურულში მოყვანა, რაც ტელისხმობს ყოველი ბიბლიოთეკის მკითხველის ადგილზე მომსახურებას გაერთიანებული ელექტრონული რესურსებით, ინტერნეტით, საკუთარ მონაცემთა ბაზებით, კონსულტაციებითა და სწავლებით, სამღვარგარეთის ელექტრონული მიწოდების სხვადასხვა საშაბურებით.

ყოველივე ამის სისტემურულში მოსაყვანად აუცილებელია საბიბლიოთეკო თეორიის დონის ამაღლება. ბიბლიოთეკებში შეიმჩნევა კადრების კვალიფიკაციის დაბალი დონე, ახალგაზრდა საეციალისტების სიმცირე. იშვიათია კომპიუტერისა და უცხო ენის ცოდნა. დასაჩქარებელია კვალიფიკაციის ასამაღლებელი და გადასამზადებელი კურსების ორგანიზება. მეტად პრობლემატურია კადრების მომზადების საკითხი, რადგან სუსტადაა განვითარებული სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობა, ხოლო ბიბლიოთეკარების სტაჟირება სამღვარგარეთ თითქმის არ ხდება.

სამომავლო პროექტში საჭიროა აისახოს ბიბლიოთეკებში აუდიოვიზუალური კაბინეტების მოწყობა და შესაბამისი ფონდების შექმნა.

საბიბლიოთეკო საქმის გარდაქმნისა და მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად



სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში უკვე ხუთი წელია, რაც შემოღებულია საქციალითა - ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია უცხო ენის საქციალიზაციით, სადაც სწავლება ახლებური და გაუმჯობესებული მეთოდებით მიმდინარეობს. სასწავლო პრაქტიკები წარმოებს საქართველოს უდიდეს ბიბლიოთეკებში. იყო შემთხვევები სტუდენტთა საზღვარგარეთ სტაჟირებისა. პრაქტიკაში დაინერგა უცხოელი საქციალისტების მიერ ლექციების წაკითხვა, რაც საზღვარგარეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარების საწინდარია. კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში კი - ბიბლიოთეკათმცოდნეობა - ბიბლიოგრაფიის სწავლება კომპიუტერული საქციალიზაციით მიმდინარეობს. აქ პირველი კურსი უკვე ახალი სასწავლო გეგმით მიდის - წიგნმცოდნეობა და ბიბლიოთეკათმცოდნეობა.

მიუხედავად საბიბლიოთეკო საქმეში შესამჩნევი ძვრებისა, რაც უკეთეს მომავალზე მეტყველებს, საქართველოში საბიბლიოთეკო საქმე მაინც ბევრად ჩამორჩება ევროპის, ამერიკისა და ზოგიერთი მაღალგანვითარებული ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმიანობას. ნაწილობრივ ამის მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ ბიბლიოთეკებს დღესაც იმგვარად აფასებენ, როგორც ადრიდანვე არის დამკვიდრებული. საერთოდ, თუ საზოგადოებრივი აზრი სწორად არ ჩამოყალიბდება და ყოველსმომცველ შეხედულებად არ იქცევა, არასოდეს სიახლე არ დაინერგება, არაფერი არ გარდაიქმნება, არა და, ახალი საბიბლიოთეკო კონცეფციის შექმნა და სისრულეში მოყვანა აუცილებელია.

ახლებურად აზროვნებას ყველაზე მტკიცე საძირკველი ნორჩ თაობასთან მუშაობის დროს ექმნება. სამწუხაროდ, ჩვენი სკოლები და ბიბლიოთეკები ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. საბიბლიოთეკო ასპექტით აქ აბსოლუტურ უბადრუკობას ვაწყდებით - არავითარი სიახლე არ შეიმჩნევა, კადრების შემცირებას სკოლებში ბიბლიოთეკარების შემცირებით იწყებენ, ხშირად სულაც აუქმებენ ბიბლიოთეკას, უფრო რთულ პირობებში იმყოფება რაიონისა და ქალაქის პატარა ბიბლიოთეკები.

მაღლობა ღმერთს, რომ ჩვენი საქციალისტები გულხელდაკრეფილნი არ სხედან; რაც მთავარია, ისინი არსებულ სინამდვილეს რეალისტურად აფასებენ და სწორად აანალიზებენ. ბოლო პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენებს წარმოადგენს „საქართველოს

საბიბლიოთეკო კანონის“, „პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კანონისა“ და „სასკოლო ბიბლიოთეკების გიპიური ღებულების“ მიღება, ასევე ძალაში შევიდა „შმაღლესი სკოლების ბიბლიოთეკების ღებულებაც“. მიმდინარეობს მუშაობა ბიბლიოთეკების კატეგორიების შექმნაზე, უკვე არსებობს საქართველოს ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციის კონცეფცია, ამოქმედდა საბიბლიოთეკო ასოციაცია, ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია, დაარსდა პროფესიული ჟურნალი; დიდი მუშაობაა ჩატარებული ბიბლიოთეკებში ფონდების წმენდისა და აღრიცხვის მოწესრიგებისათვის, ინერგება ინტერნეტის სისტემები. მთელ რიგ ბიბლიოთეკებში შექმნილია კომპიუტერები, უმჯობესდება კომუნიკაციის საშუალებები. ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის კომპიუტერულ კლასში ბიბლიოთეკარები ინტერნეტთან მუშაობას სწავლობენ, საქმიანი კონტაქტებია დამყარებული უცხოელ საქციალისტებთან. ამ მხრივ გამოირჩევა საქართველოს პარლამენტის ეროვნული, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები. მათ აქვთ კომპიუტერული სისტემები, ჩართულნი არიან ინტერნეტის ქსელში, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მოკრძალებულ ნაბიჯებად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა მაინც იმედის მომცემ ნაბიჯებად.

საჭიროდ მიგვაჩნია, საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო საინფორმაციო სისტემის კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ბიბლიოთეკებს შორის ახალი სისტემის შექმნას, ბიბლიოთეკების ფუნქციებისა და შესაძლებლობების სრულ გამოყენებას, გარდაქმნის ეტაპების განსაზღვრას, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას, შემსრულებელთა სათანადო მომზადებას.

ყოველივე ეს, მართალია, იმედის მომცემი ფაქტებია და უკეთეს მომავალს გვიწინასწარმეტყველებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რათა დაძლეულ იქნეს ის პრობლემები, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმეში არსებობს. ამას მეტი ზრუნვა და აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა ესაჭიროება.

¹ იხ.: იუნესკო . საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი . - თბ., 1995 . - გვ. 9

ბიბლიოთეკა არის ინფორმაციის ადგილობრივი ცენტრი, რომელიც ხელმისაწვდომს ხლის მკითხველისათვის ყველა სახის ინფორმაციას

ეთერ ფარუხელაშვილი
ბიბლიოთეკათმცოდნეობის საქციალისტი ასპირანტი



გურამ თაყნიაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის უფროსი

მემკვიდრეობა, გამოცდილება და თანამედროვეობა .

ახლებური მიდგომის ცდა

(საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის მეთოდური სამსახური

1990 – იანი წლების შემდეგ)

1. მეთოდური სამსახურის სათავეებთან

საბიბლიოთეკო საქმის მეთოდურ სამსახურს საქართველოში მეტად საინტერესო გზა აქვს განვლილი. ასეთი სამსახური სათავეს იღებს გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან. საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის რაციონალური ორგანიზების პრობლემების კვლევას 1923-1929 წწ აწარმოებდა თბილისის სკოლისგარეშე განათლების სახლთან არსებული საბიბლიოთეკო და საბიბლიოგრაფიო კაბინეტი. ბიბლიოთეკებში შრომის ნორმირების, დაგეგმვისა და აღრიცხვის საკითხებს ქრონომეტრაჟული დაკვირვების წესით სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასთან არსებული ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტი, რომელიც აქ 1931 წელს გაიხსნა. მეთოდური მუშაობა იმთავითვე ორი მიმართულებით წარიმართა: საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზაციის მეთოდურ-ინსტრუქციული უზრუნველყოფა და ბიბლიოთეკების მუშაობის დაგეგმვისა და, საერთოდ, საბიბლიოთეკო შრომის ორგანიზაციის მეცნიერული და მეთოდური საკითხების დამუშავება. მეთოდური სამსახურის შინაარსს ამ პერიოდში შეადგენდა კერძო ბიბლიოთეკათმცოდნეობის პრობლემების კვლევა და მეთოდური უზრუნველყოფა. 1953 წლიდან, როდესაც სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება შეიქმნა, ყოველწლიურად 8-10 დასახელების მეთოდურ-ინსტრუქციული ხასიათის მასალა იბეჭდებოდა. სერიული ხასიათი მიეცა ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილების განმაზოგადებელი ნაშრომების გამოცემებს; ცალკეული ბიბლიოთეკების მუშაობას მონოგრაფიული ნაშრომები ეძღვნებოდა. წლების მანძილზე ასე იქმნებოდა მეთოდური ლიტერატურა, წარმოებდა საბიბლიოთეკო პრაქტიკის კვლევა, რამაც საფუძველი ჩაუყარა მდიდარ მეთოდურ მემკვიდრეობას, რომლის სათავეებთან იდგნენ ისეთი ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნეები და ბიბლიოგრაფები, როგორებიც იყვნენ: ი.ციციშვილი, ნ.ლორთქიფანიძე, გ.ბაქრაძე, გ.გიორგიძე,

შ.დოლაქიძე, გ.ბერულავა, დ.მარკვეიჩი, ფ.ყურაშვილი. მეთოდური მუშაობა საბიბლიოთეკო პრაქტიკის მოთხოვნილებათა შესაბამისად ახალ სიმაღლეზე აიყვანეს შემდგომი თაობის სპეციალისტებმა: გ.კიპაროიძემ, ს.პულუბაშვილმა, ლ.კვირიკაშვილმა, მ.პაპიძემ, ო.ოსაძემ, ა.ლორიაშვილმა და სხვებმა; საქართველოს საბიბლიოთეკო პრაქტიკა მუდამ ქმნიდა ნაყოფიერ ნიადაგს სიახლეთა გამოვლენის, შესწავლისა და განზოგადებისათვის. 1990-იან წლებამდე საქართველოში გარდებოდა საკავშირო მასშტაბის დონისძიებები. საბიბლიოთეკო თეორიისათვის არსებობდა როგორც კვლევის მეცნიერული და მეთოდური ბაზა, ასევე სპეციალისტთა გამოცდილება და პროფესიული დონე. საბიბლიოთეკო საქმის მეთოდური სამსახური თავისი არსით მეცნიერული და მეთოდური ხასიათისა იყო, ხოლო ფორმით ღრმად პოლიტიზირებული.

სამეცნიერო – მეთოდური ლიტერატურა დაახლოებით 8 ათეული წლის მანძილზე კვლევისა და დაკვირვების, საბიბლიოთეკო პრაქტიკის ღრმა ცოდნისა და განზოგადების შედეგად იქმნებოდა. ამ ფონდს ემატებოდა უცხოური ორიგინალური თუ თარგმნილი გამოცემები; ეს ფონდი დღეისათვის ივსებოდა და იზრდებოდა. მისი მეშვეობით ქართველი სპეციალისტები ეცნობოდნენ და ეცნობიან უცხოურ საბიბლიოთეკო გამოცდილებას, ამუშავებენ მეცნიერულ და მეთოდური ხასიათის რეკომენდაციებს. ამჟამად სამეცნიერო – მეთოდური ხასიათის დოკუმენტების ფონდი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ცალკეა ორგანიზებული და 14 000 – მდე ეგზემპლარს ითვლის. ფონდის დიდ ნაწილს შეადგენს რუსულენოვანი წიგნები და სხვა სახის დოკუმენტები წიგნმცოდნეობის, წიგნისა და ბიბლიოთეკების ისტორიის, ბიბლიოგრაფიის შესახებ. ამ ფონდში დაცულია უნიკალური გამოცემები: ლექსიკონები, ცნობარები წიგნისა და ბიბლიოთეკების ისტორიის შესახებ ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ და სხვ. ენებზე. ასევე მდიდარია ამ ფონდებში დაცული პროფესიული პერიოდიკა. აღნიშნული ფონდი, როგორც სპეციალური ფაკულტეტის სტუდენტთა სასწავლო ბაზა, ბოლო დროს გადახალისდა, გადაისინჯა და



განივირთა ზედმეტი და მოძველებული გამოცემებისაგან.

დასანანი, მაგრამ ფაქტია, რომ წიგნმცოდნეობითი და ბიბლიოთეკათმცოდნეობითი დოკუმენტების კარგად შერჩეული ეს ფონდი უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არასისტემატურად, ერთეული გამოცემებით თუ იყება.

2 პირისპირ რეალობასთან. მკვეთრი შემობრუნების აუცილებლობა.

სსრ კავშირის დაშლამ სამეცნიერო – მეთოდურ სამსახურს პირველ რიგში პოლიტიკური სამოსელი ჩამოაყალბა. ამასთან შეიცვალა ამ სამსახურის მართვის არსებული მოდელი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეთოდური სამსახური ბიბლიოთეკების პირისპირ დარჩა. გარდამავალმა პერიოდმა ბევრი არსებითი პრობლემა და კითხვა წარმოშვა, რომელზედაც პასუხის გაცემა არც თუ ადვილი აღმოჩნდა. რეალური ვითარება საბიბლიოთეკო ქსელის მკვეთრ შემცირებაში აისახა. ბიბლიოთეკების დაფინანსების ადგილობრივი თვითმმართველობის კომპენგეციაში გადატანამ ბიბლიოთეკების რაოდენობის შემცირება განაპირობა. რაზედაც ჯერ კიდევ არ არსებობს საკანონმდებლო აქტი, იურიდიული საფუძველი. საბიბლიოთეკო ქსელების დამფუძნებელთა წინაშე მთელი სიცხადით დაისვა ერთი კითხვა:

რამდენი ბიბლიოთეკა არის საჭირო საქართველოს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველსაყოფად?

ამ კითხვაზე პასუხს, ცხადია, მეთოდური სამსახური ვერ გასცემდა. არსებული ვითარება ითხოვდა

საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების დამუშავებას, მოწინავე, დემოკრატიულ სახელმწიფოთა გამოცდილების შესწავლას, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებას. ბიბლიოთეკების რაოდენობის შემცირება, პირველ რიგში, ეკონომიკური ფაქტორით იყო განპირობებული. 1991 – 1992 წლებში არსებული 8000 – ზე მეტი ბიბლიოთეკა სწრაფი ტემპით მცირდებოდა. ბიბლიოთეკები უქმდებოდა, მსხვილდებოდა.

ამ პერიოდში და შემდეგშიც, საუკუნის მიწურულამდე, მიმდინარეობდა ბიბლიოთეკების დახურვა, გამსხვილება. ზოგიერთ რეგიონში ეს პროცესი ნაჩქარევად, ხელის ერთი დაკვრით ხდებოდა, ცალკეულ რეგიონებში უფრო ფრთხილი პოზიცია აირჩიეს და შეეცადნენ მინიმალური რაოდენობით მაინც შეენარჩუნებინათ არსებული ქსელი. ყველაზე მეტად დაზარალდა კულტურის სამინისტროს საბიბლიოთეკო ქსელი; ბიბლიოთეკების რაოდენობა 4 200 – იდან 2 300 – მდე შემცირდა. საგრძნობლად შეიკვეცა განათლების სამინისტროს სისტემის საბიბლიოთეკო ქსელი; ბევრი სკოლა ბიბლიოთეკისა და, მაშასადამე, წიგნის გარეშე დარჩა. აქ მეორე, ასევე ბუნებრივი კითხვა გაჩნდა: ამდენი ბიბლიოთეკა საჭირო იყო საქართველოში? ამ კითხვაზე სპეციალისტები და ბიბლიოთეკების დამფუძნებელნი ახლაც ეძებენ დასაბუთებულ პასუხს.

საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებასა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვა – მოწესრიგების საქმეში ერთგვარი შემობრუნების ნიშანსვევად იქცა 1996 წლის 1 აპრილის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული რესპუბლიკური თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკების დირექტორები და რაიონული კულტურის განყოფილებების გამგეები.

თათბირმა დასაბამი მისცა კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკო დოკუმენტაციის რეინვენტარიზაციის, გადაფასებისა და რეკლასიფიკაციის სამუშაოებს. ეს სამუშაოები იმთავითვე საჭიროებდა მეთოდურ უზრუნველყოფას.

საამისოდ კულტურის სამინისტროსა და ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო – მეთოდური სამსახურის კოორდინირებული მუშაობით შეიქმნა ნორმატიული დოკუმენტაცია, განისაზღვრა ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკების სტრუქტურა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციასთან შესაბამისობაში. ფონდების დაცვის, აღრიცხვისა და რეკლასიფიკაციის სამუშაოები შემდგომში განათლების სამინისტროს სასკოლო ბიბლიოთეკებში გაგრძელდა. ორივე უწყების ბიბლიოთეკებისათვის პარლამენტის ეროვნული

ქართული სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურა დაახლოებით რვა ათეული წელს იქმნებოდა. ამ საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი ამკამად ცალკეა დაცული ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მისი მოცულობა 14 000 ეგზს აჭარბებს.



ბიბლიოთეკის მეთოდური სამსახურის ძალებით სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობები გარდებოდა, როგორც თბილისში, ასევე ცალკეულ რაიონებში გასვლის წესით.

მასობრივ, სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციისა და საცნობარო აპარატის ორგანიზების საკითხებს მიეძღვნა ორი ნაშრომი, რომელთაგან ალწერილობის პრაქტიკული სახელმძღვანელო დამუშავდა ეროვნული ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის ერთობლივი ძალებით.

ასეთი მასშტაბური ღონისძიებების გატარება, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა ბიბლიოთეკებისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების შენარჩუნებას. ფონდების დეპოლიტიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო პოლიტიკურად აქტუალობადაკარგული გამოცემების ჩამოწერას; ფონდების წმენდამ უფრო მოქნილი და მობილური გახადა საბიბლიოთეკო დოკუმენტების კრებული. ამ ეტაპზე მთავარ ამოცანად ისახება ამ ფონდების შევსება და მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3. სამეცნიერო – მეთოდური სამსახურის იურიდიული საფუძვლები

1995 – 1996 წლებში სამეცნიერო – მეთოდური სამსახურის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების დამუშავება იქცა. საქართველოში ეროვნული ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების ბაზაზე მოღვაწეობდა საბიბლიოთეკო საქმის შესახებ კანონპროექტის შემუშავებელი ჯგუფი. 1996 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მიჩნეულია „ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორად და მეთოდურ ცენტრად“ (თავი 4, მუხლი 17); იგივე აზრია გატარებული კანონში „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“. ამ კანონის თანახმად, (თავი 1, მუხლი 1), ეროვნული ბიბლიოთეკა არის ეროვნული ბიბლიოგრაფიის, ინფორმაციის, სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების, ბიბლიოთეკების მეთოდური საქმიანობის და კულტურის ცენტრი, აგრეთვე ამ საქმიანობის კოორდინატორი კულტურის სამინისტროსთან ერთად. ორივე კანონის მიღებიდან გასულია ოთხ წელზე მეტი. რა თქმა უნდა, ისინი საჭიროებენ ცვლილებებსა და დამატებებს. მეთოდურმა

სამსახურმა უნდა დააჩქაროს ცვლილებების პროექტის მომზადება სხვა დაინტერესებულ ბიბლიოთეკებთან და სპეციალისტებთან კოორდინაციული მუშაობის გზით.

კანონის სრულყოფილი ამოქმედებისა და რეალიზაციის მიზნით, პირველ რიგში საჭიროა შემუშავებულ იქნეს კანონქვემდებარე აქტები. ასეთი დოკუმენტაციის საჭიროება იგრძნობა მთელ საბიბლიოთეკო ქსელში. სამეცნიერო – მეთოდურმა სამსახურმა კულტურის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან ერთად, ოპერატიულად უნდა შეიმუშაოს ფონდების დაცვის, ჩამოწერის, აღრიცხვის და სხვ. სახის კანონქვემდებარე დოკუმენტაცია.

როდესაც მეთოდური სამსახურის იურიდიული საფუძვლების შესახებ ვმსჯელობთ, ორ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: პირველი, როცა თვითონ მეთოდური სამსახური ქმნის ან აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ასეთი საფუძვლების ფორმირებასა და რეალიზაციაში, და მეორე, როდესაც სახელმწიფო იურიდიულ ვალდებულებას ღებულობს სამეცნიერო – მეთოდური სამსახურის ეკონომიკური თუ მორალური მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით. ერთი ფაქტია უდავო და უალტერნატივო – მეთოდური სამსახური საბიბლიოთეკო საქმეს აუცილებლად ესაჭიროება. ეს სამსახური, რა სახელწოდებასაც არ უნდა ატარებდეს, ის მეტ ხელშეწყობას, გარდაქმნასა და ინოვაციურ მიდგომას საჭიროებს. მეთოდური სამსახური შემთხვევით არ განიხილება როგორც საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ორგანული ნაწილი.

4 ახალი მიმართულების დამკვიდრების ცდა სამეცნიერო – მეთოდურ სამსახურში

საბაზრო ეკონომიკამ ჩვენს ქვეყანაში მკვეთრი ცვლილებები გამოიწვია. საბიბლიოთეკო საქმის მენეჯმენტი ობიექტურად აუცილებელ მოვლენად იქცა. ამან მსოფლიო საბიბლიოთეკო პრაქტიკასთან ინტეგრაციის აუცილებლობაც წარმოშვა. ასეთ ვითარებაში სამეცნიერო – მეთოდური სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დარგის პროფესიული ინფორმაციით უზრუნველყოფა იქცა. ბოლო ორი წლის მანძილზე სამეცნიერო – მეთოდურ განყოფილებას საშუალება მიეცა საბიბლიოთეკო დარგში ინფორმაცია არსებული ინოვაციური პროცესების შესახებ არა მარტო ჩვეულებრივი, გრადიციული ფორმით, არამედ კომპიუტერული ტექნიკისა და საერთაშორისო ინფორმაციული არხების გამოყენებითაც მოეპოვებინა.



განყოფილებას შესაძლებლობა აქვს ქართულად გადმოიღოს უცხო ენაზე არსებული ნორმატიული – იურიდიული დოკუმენტები. სისგემად ჩამოყალიბდა საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მასალების ანალიტიკური დამუშავება და შესწავლა. ეს სიახლენი შეუფერხებლად მიეწოდება თბილისის ყველა უწყების მეთოდურ სამსახურებს; ეროვნულ ბიბლიოთეკაში მეთოდისგთა თათბირ-სემინარებს სისგემატური ხასიათი მიეცა.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მეთოდური სამსახური ჯეროვან ყურადღებას უთმობდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შესწავლის საკითხს. განყოფილებაში მეთოდური წერილების სახით დამუშავდა თემები: ინვალიდთა საბიბლიოთეკო მომსახურება საქართველოში, მსჯავრდებულთა საბიბლიოთეკო მომსახურება, ბიბლიოთეკა და რელიგიური განათლება, ბიბლიოთეკები სამოქალაქო საზოგადოებაში, ბიბლიოთეკები და ეკოლოგიური განათლება და სხვ. მეთოდურ დამუშავებასა და შესწავლას საჭიროებს

ბიბლიოთეკების ურთიერთობის პრობლემა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიბლიოთეკების ფუნქციონირება მრავალეროვანი რეგიონის პირობებში და სხვ. ამ საკითხების სათანადო დონეზე დამუშავების შემდეგ მასალები გამოქვეყნდება როგორც პროფესიულ ჟურნალში, ასევე ცალკე გამოცემების სახით.

მეთოდური სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად იქცა საბიბლიოთეკო სტაგისტიკის დამუშავება. რაიონებიდან მიღებული სტაგისტიკური მონაცემების შესწავლა- დამუშავება საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად ჩავიხედოთ დარგის საქმიანობაში, დავეუფლოთ საბიბლიოთეკო სიტუაციას ქვეყანაში. მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება რეალურ სურათს შეგვიქმნის საქართველოს რეგიონების საბიბლიოთეკო ცხოვრებაზე.

მეთოდური სამსახურის ერთ-ერთი მიმართულება უკანასკნელი 2 წლის მანძილზე არის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაცია. განყოფილების ინიციატივით ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა და აქტიურ მუშაობას ეწევა საკოორდინაციო საბჭო. წელიწად-ნახევრის პერიოდში საკოორდინაციო საბჭომ ნაყოფიერი


მუშაობა გასწია თბილისის მსხვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკების ურთიერთგაცნობის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის შექმნის, პროფესიული ჟურნალის დაარსებისა და ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის ავტომატიზაციის ძირითადი მიმართულების განსაზღვრის თვალსაზრისით. ასეთი მიდგომით მეთოდური სამსახური სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებს საბიბლიოთეკო საქმეში არსებული ინტელექტუალური ძალებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზაციაში. სამეცნიერო – მეთოდურ მუშაობას საქართველოში ეწევიან მსხვილი სამეცნიერო და რესპუბლიკური ბიბლიოთეკები. დარგის სპეციალისტებისათვის ცნობილია საქართველოს ლ.ასათიანის სახელობის რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკისა და მ.გელოვანის სახელობის საქართველოს ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიერ შემუშავებული მეთოდური რეკომენდაციები. ამ ბიბლიოთეკების მეთოდური სამსახური თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკურ სტიმულირებას საჭიროებს.

მეთოდური სამსახურის ერთ-ერთი მიმართულება უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არის საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაცია. ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულმა საკოორდინაციო საბჭომ ბოლო 2 წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის შექმნის, პროფესიული ჟურნალის დაარსებისა და ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის ავტომატიზაციის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის თვალსაზრისით

დღეს, როდესაც ბიბლიოთეკების საქმიანობა განიხილება რეგიონალური მმართველობის კონტექსტში, მეთოდური სამსახურისათვის ახალი იმპულსის მიცემა პირდაპირაა დამოკიდებული საბიბლიოთეკო პრაქტიკასთან მის ორგანულ კავშირზე. თანამედროვე საბიბლიოთეკო პრაქტიკა ნამდვილად ხასიათდება სიახლეებით; ეს სიახლეები მარტო მმართველობის სისგემას არ ეხება. ის ბიბლიოთეკები, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი არსებობის საჭიროება და ცხოველმყოფელობა, მკითხველთა გაზრდილი საინფორმაციო მოთხოვნილებების პირობებში ფუნქციონირებენ. მკითხველებთან მუშაობის ბევრი ძველი ფორმა გამიღივდა ახალი შინაარსით, მათ გვერდით გაჩნდა ახალი ფორმები. მათი შესწავლა – გამოვლენა და განზოგადება მეთოდური მუშაობის ერთი უძირითადესი ამოცანათაგანია.

საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის მეთოდურ სამსახურს არსებითი ნაკლოვანებები გააჩნია; ამათგან შეიძლება გამოვყოთ მთავარი:

1) ამ სამსახურის ეკონომიკური მხარდაჭერის უქონლობა. მეთოდისგები ნაკლებად ან სრულებით ვერ გადაიან რაიონებში, რაც ამ სამსახურის მოწყვეტას იწვევს საბიბლიოთეკო პრაქტიკისაგან. თანამედროვე ეტაპზე მეთოდური სამსახურის ერთ-



ერთი პრინციპთაგანია მისი ინდივიდუალიზაცია და სარგებლიანობა. ამ პრინციპის რეალიზაცია ნიშნავს, პასუხი გაეცეს კითხვას: რას ღებულობს მეთოდური სამსახური საბიბლიოთეკო პრაქტიკისაგან და რას აძლევს იგი ?

2) მეთოდური სამსახურის პროფესიული ინფორმაციით უზრუნველყოფის დაბალი დონე. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად საბიბლიოთეკო საქმის ცალკეული პრობლემების დამუშავება შეუძლებელია საერთაშორისო საბიბლიოთეკო პრაქტიკისა და თეორიის მიღწევათა გათვალისწინების გარეშე. საბიბლიოთეკო საქმე და, მაშასადამე, მეთოდური სამსახურიც შინაგანად საჭიროებს სიახლეთა დანახვასა და გადაამუშავებას. წერილობითი ინფორმაციები საზღვარგარეთული საბიბლიოთეკო გამოცდილების შესახებ ეპიზოდურად, შერჩევით შემოდის; მათი თარგმნა და მიზნობრივი გამოყენება მეთოდური სამსახურის განახლების ერთ-ერთი წინაპირობათაგანია.

3) მეთოდური სამსახურის თანამშრომელთა შედარებით დაბალი კვალიფიკაცია, საბიბლიოთეკო პრაქტიკისაგან მოწყვეტა და მათი შრომის დაბალი ანაზღაურება, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მეთოდური სამსახურის საბოლოო შედეგზე.

მეთოდისგან განუწყვეტელი სწავლება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება ყოველთვის საზრდოობდა ცოცხალი საბიბლიოთეკო პრაქტიკით. დღევანდელი აგმოსფერო ყოველივე ამის გარდა, მოითხოვს ენთუზიაზმს, მაღალ მორალურ თვისებებს, ცოდნის განახლების წყურვილს.

თანამედროვე ეტაპზე მეთოდური სამსახურის ერთ-ერთ ძირითად მიზნად უნდა იქცეს სიახლეთა მიგნება, გამოვლენა, შესწავლა და განზოგადება, რაც თითოეული მეთოდისგისაგან ანალიტიკური აზროვნების უნარს მოითხოვს.

საბიბლიოთეკო პრაქტიკის ანალიზს, განზოგადებასა და რეკომენდაციების შემუშავებას მხოლოდ მეთოდური სამსახური აწარმოებს. ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს ასეთი სამსახურის შენარჩუნების აუცილებლობას. ის ბიბლიოთეკები, რომლებსაც კანონით თუ კანონქვემდებარე აქტით ევალება მეთოდური სამსახურის წარმოება, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ცდილობდნენ ამ სამსახურის მხარდაჭერასა და წახალისებას.

ჩვენი ქურნალის მკითხველებს ვთავაზობთ საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ 1990 წლის შემდეგ გამოცემული მნიშვნელოვანი ნაშრომების ჩამონათვალს:

1. ბიბლიოთეკათმცოდნეობა / ა. ლორიას რედ . - თბ., 1992 . - 375 გვ.
2. დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის / ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია . - თბ., 2000 . - 265 გვ.
3. დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერა : დამხმარე-პრაქტიკული სახელმძღვანელო მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის / შემდგ. გ.თაყნიაშვილი, ო.ოსაძე . - თბ., 1997 . - 78 გვ.
4. თაყნიაშვილი გ. წიგნობრივი ფონდის სისტემატიზაცია სასკოლო ბიბლიოთეკებში // მეთოდისტი . - 1998 . - № 7 . - გვ. 211-227
5. ინტერნეტი ქურნალისტებისათვის / სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრი . - თბ. : ცისნამი , 1998 . - 122 გვ.
6. კასრაძე ო. ნარკვევები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან . - თბ. : ხელოვნება, 1997 . - 404 გვ.
7. ლორია ა. კითხვა როგორც კვლევის საგანი . - თბ.: მეცნიერება , 1993 . - 152 გვ.
8. ლორია ა. , გურგენიძე ნ. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია : ნ. 2 . - თბ., 1996 . - 94 გვ.
9. ლორია ა. სასკოლო ბიბლიოთეკების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე // მეთოდისტი . - 1998 . - № 7 . - გვ. 227 - 233
10. ოსაძე ო. საბიბლიოთეკო კატალოგები : სახელმძღვანელო . - თბ. : ქალღა, 1995 . - 160 გვ.
11. საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილები : მასობრივი, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის / შემდგ. გ.თაყნიაშვილი . - თბ., 1998 . - 118 გვ.
12. ფილაური ი. საბიბლიოთეკო ფონდები : სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო . - თბ. : მეცნიერება , 1997 . - 212 გვ.
13. ფოფხაძე ქ. , ოთაროვა ა. ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაცია ბიბლიოთეკებში . - თბ., 1996 . - 104 გვ.
14. ყურაშვილი ფ., გურგენიძე ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის საფუძვლები . - თბ., 1996 . - 161 გვ.
15. ჩხენკელი ნ., ჩხენკელი თ. ინტერნეტი : ინფორმაციის ძიება „მსოფლიო აბლაბუდაში” ; დამხმ. სახელმძღვანელო . - თბ., 1999 . - 128 გვ.
16. Интернет для журналистов /Под общ. Ред. Л. Бердзенишвили . - ТБ., 2000. -145с.
17. Лория А. Чтение как предмет исследования // ამერბაიჯან-ევროპის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის ცენტრის გამოცემა. : კრებული . - ბაქო , 2000. - გვ. 9-12
18. Такниашвили Г . Грузинское библиотековедение в течение века // библиотека . - 2000 . - № 12 . - с. 53-57



ლილი იოსელიანი

ი.გოგებაშვილის სახ.

პედაგოგიური ბიბლიოთეკის

ღირექტორი



თბილისის ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ბიბლიოთეკის ისტორიიდან

თბილისში, რუსთაველის მეგრის თავზე, ერთი ღამეა ეზოა. ოცდაათიან წლებში ამ ეზოში ბინა დაიღო იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურმა ბიბლიოთეკამ. ამ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო ქსენია იოსელიანი.

ბიბლიოთეკის შექმნის პერიოდში ქსენია იოსელიანი განათლების სამინისტროში მუშაობდა ბიბლიოთეკის გამგედ. თვითონ ამ პერიოდს ასე იგონებს : „მასხოვს, ვ.პახგაძე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ღირექტორი იყო მაშინ. მოვიდა ჩემთან და მითხრა : – დახელოვნების ინსტიტუტს სჭირდება ბიბლიოთეკა. ჩაუღეი ამ საქმეს სათავეში, ეგება რამე გამოვიდესო. არ ვიცოდი, როგორ ვუხელმძღვანელებდი ამ საქმეს; ცოტა ხანი ასეთ ყოყმანში ვაგებარე. შემდეგ მოვიწვიე საბჭო, რომელსაც დაესწრნენ განათლების მუშაკები; მათაც მოითხოვეს ამ შესანიშნავ საქმეს ჩავღვომოდი სათავეში და შემეკრიბა ის პედაგოგიური მემკვიდრეობა, რომელიც თავმოყრილია ამ ბიბლიოთეკაში.

დავიწყე მუშაობა და თანდათან ვგრძნობდი, ეს მკვდარი საქმე როგორ ცოცხლდებოდა და ძლიერდებოდა. სულ რაღაც 200 წიგნიანი კარადა, რომლისთვისაც უხერხულიც კი იყო „ბიბლიოთეკა“ გეწოდებინა, მალე იქცა სოლიდურ ფონდად“.

„ბიბლიოთეკას თავიდანვე მიეცე პედაგო-გიური პროფილი“, – უკრე-ვია მისთვის ცნობილ მეცნიერს, საქართველოში ფსიქოლოგიური სკოლის დამაარსებელს დიმიტრი უშნაძეს. მანვე ბიბლიოთეკას დაუთმო 80 კვ.მეტრი ოთახი სამკითხველო ღარბაშისათვის.

წიგნადი ფონდი დღითიდღე იზრდებოდა. ერთ დღეს ქ-ნი ქსენიასთან მისულა პროფესორი გიორგი თავიშვილი და უთქვამს, რომ გორში უპატრონოდ ყრია სასულიერო სემინარიის წიგნები და საარქივო მასალები, როგორმე მიეპატრონე და ჩამოიტანეო. ბიბლიოთეკას ძალიან უჭირდა ყოველნაირად – დაწყებული ფართობით, დამთავრებული მაგერიალური სახსრებით. წიგნების ჩამოტანას თანხა სჭირდებოდა, ჩამოტანის ფართობი. ჩამოტანით ჩამოვიტან, მაგრამ სად წავიდო? უკითხავს შეწუხებულ ქ-ნი ქსენიას. შენ ჩამოიტანე, ეს წიგნები თვითონ იპოვიან გმასო, – მიუგო თურმე ბ-მა გიორგიმ. ამ სიტყვებით გამხსნევეული, ქ-ნი ქსენია მარტო წავიდა გორში. იქ აუარებული წიგნი დახვდა უპატრონოდ დაყრილი. უნიკალურ წიგნებს აშკარა დაღუპვა ელოდა. ქსენია იოსელიანმა განადგურებას გადაარჩინა და საკუთარი ძხრებით მიდა გორში არსებული იშვიათი წიგნები. აქ იყო კავკასიის სასწავლო ოლქის ლოკუმენტების მთლიანი კომპლექტები: ცირკულარები და ანგარიშები, კავკასიის სასწავლო ოლქის განკარგულებათა კრებულები, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, რელიგიის დარგის წიგნები და სხვა მრავალი ძალზე საყურადღებო მასალა. „მაშინ მუშები გორში ძალიან ძნელი სამოვნიელი იყო. ამ წიგნებს სამი კვირა ვათრევდით ბურგით სემინარიიდან სადგურამდე“, – იგონებდა ქ-ნი

ქსენია. ჩამოტანით კი ჩამოიტანეს წიგნები, მაგრამ სად წავიდო? მიუხედავად სივიწროვისა, ქსენია ამ წიგნებს წლების მანძილზე საკუთარ ბინაში ინახავდა. როცა შეწუხებულმა, განათლების კომისარს მიმართა, ასეთი პასუხი მიიღო : „საიდანაც ჩამოიტანე, ისევ იქ წავიდო“. ძნელი შეიქნა ასეთი წვალებით ჩამოტანილი წიგნების შენახვა. ისედაც მცირეფართობიან ბიბლიოთეკაში მათი განთავსება შეუძლებელი იყო. სადაც კი პატარა კუთხე-კუნჭული გამოჩნდებოდა, ქსენია მაშინვე შეიტანდა წიგნებს, ოთახს ბოქლომს დააღებდა და დაწერდა – „ბიბლიოთეკა“. ამავე ერთხელ ინსტიტუტის ღირექტორმა იხუმრა კიდევ : „კაბინეტიდან გამოსვლა ვერ გამოიხდებოდა, მეშინია, ქსენიამ წიგნები არ შემოიტანოს და „ბიბლიოთეკა“ არ დაწეროს კარებსო“.

ასეთ შემთხვევასაც იგონებენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები : სარდაფში, სადაც ამჟამად ბიბლიოთეკის საცავია, ერთ ნახევარში მარტოხელა კაცი, ვინმე მაისურაძე ცხოვრობდა, მეორე ნახევარი კი პედაგოგიის ინსტიტუტს ეკუთვნოდა. როდესაც მაისურაძე გარდაიცვალა, მისი ფართობი ბიბლიოთეკას გადასცეს. მეორე ნახევარში კი ინსტიტუტის მაშინდელი ღირექტორი დავით ლორთქიფანიძე სტამბის მოწყობას ვარაუდობდა, მაგრამ ქ-ნი ქსენიამ დაასწრო, შეიღოა წიგნები და რისხვის თავიდან ასაცილებლად ეშმაკობასაც მიმართა : გაბეთში ცნობა გამოაქვეყნა, რომ თითქოს დავით ლორთქიფანიძემ დიდი ქველმოქმედება გამოიჩინა და ბიბლიოთეკას საცავისათვის სარდაფი დაუთმო, რისთვისაც ბიბლიოთეკა დიდ მადლობას უხდოდა მას. რაღა გზა იყო, დავით ლორთქიფანიძემ უკან დაიხია.

ქ. იოსელიანი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ფონდის სისუფთავეს. დამკვერილი წიგნების დასაწმენდად ხშირად სანიტარულ დღეს დანიშნავდა ხოლმე. იცოდა : „წიგნები ვეღარ სუნთქავენო“, ჩაუძღვებოდა თანამშრომლებს სარდაფში და საკუთარი ხელით ასუფთავებდა ფონდს. ვიდაცას უთქვამს ერთხელ : „ბიუჯეტში არ გიბით წიგნების დასუფთავების თანხაო“. „ბიუჯეტში არა და გულში კი მიბისო“, – ჩეუელი იუმორით მიუგია ქ-ნი ქსენიას.

ბიბლიოთეკას ხშირად ჰქონია მიძიმე დღეები. 1940 წელს (ბიბლიოთეკა მაშინ პედაგოგიის ინსტიტუტს ეკუთვნოდა) ინსტიტუტის ღირექტორმა შოთა სიხარულიძემ კატეგორიულად გამოაცხადა : „მე მხოლოდ პედაგოგიური წიგნები მჭირდება, მხატვრული ლიტერატურა სხვა ბიბლიოთეკას გადაეცითო“. სასოწარკვეთილებამ ჩავარდა ქ-ნი ქსენია და განათლების მინისტრს რ. კიკნაძეს მიმართა. მინისტრმა ბრძანებით გამოყო კომისია წიგნადი ფონდის შესასწავლად. ბიბლიოთეკა იხსნა იმან, რომ ამ ამბავს დაემთხვა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკა გამოეყო პედაგოგიის ინსტიტუტს და ცალკე სამეცნიერო დაწესებულების სტატუსი მიიღო და იაკობ გოგებაშვილის სახელი მიენიჭა.

წიგნადი ფონდი თანდათან იზრდებოდა ; მისი შევსება



სხვადასხვა გზით ხდებოდა. ერთ- ერთ წყაროს ინტორპორაცია წარმოადგენდა. ასეთი იყო, მაგალითად, საქართველოს ცენტრალური არქივის ფონდი. როცა საჭირო შეიქნა ზედმეტი ეგზემპლარებისაგან არქივის ფონდის განგვირთვა, მისი მაშინდელი მმართველის მ. გაბრიჩიძის განკარგულებით, ზედმეტი ცალები ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკას გადაეცა.

დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებდა ქ-ნი ქსენია კერძო პირთა შემოწირულებებს: ნინო ბოცვაძემ ბიბლიოთეკას თავისი მეუღლის, ცნობილი მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის პირადი ბიბლიოთეკა გადასცა, ეკატერინე ბურჯანაძემ – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიშები, ნინო ნაკაშიძემ – ჟურნალების „ნაკადულისა“ და „ჯეჯიკის“ სრული კომპლექტები, ჟურნალი „განათლება“ ბიბლიოთეკას კათალიკოსმა პალისტრაგე ცინცაძემ გადასცა.

თვითონ ქსენია ხშირად ეშმაკობასაც მიმართავდა – თავის მეგობარ მეცნიერებს ეუბნებოდა: „რევიზია მომივიდა, წიგნები მაკლია და დამეხმარეთო“. მათაც უშურველად მოჰქონდათ შინიდან საკუთარი წიგნები. შეხვედრისას კი თავისებურად ეხუმრებოდა: „ხომ დაგცინცლეთ კარგი წიგნებით“.

ქ-ნი ქსენია იგონებს: „1930 წელი იქნებოდა, დამიბარა განათლების მინისტრმა მარიამ ორახელაშვილმა და მთხოვა მომეწესრიგებინა მისი ბიბლიოთეკა. წავიყვანე ფაფალა გარდაფხაძე (პედაგოგი). გადავარჩიეთ წიგნები, გადავაწყვეთ ზედმეტი ცალები, დავალაგეთ თემატურად, ჯილდოდ კი ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნები მივიღეთ. ეს დიდი შენამაგია იყო ბიბლიოთეკისათვისო.“

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქსენიას ბიბლიოთეკის დაკომპლექტებისათვის ხელფასის დანამაგი – 25 % ეძლეოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს დიდად არ ულხინდა, ეს თანხა არასდროს არ აუღია – ბიბლიოთეკისათვის ყიდულობდა წიგნებს.

ერთ მეგალ საინტერესო ამბავს იგონებს ქ-ნი ქსენია: „ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ბუკინისტი სოსიკო მერკვილაძე რომ გარდაიცვალა, მისმა შვილმა მომიგანა წიგნებით სახსე ერთი ყუთი და მითხრა: ამ ყუთში ძვირფასი წიგნებია, მომეცით 300 მანეთი და იყიდეთო, ოღონდ გაუხსნელადო. სასწრაფოდ ვიშოვე ფული და მივეცი. მართლაც, შესანიშნავი ლიტერატურა აღმოჩნდა. მათ შორის ეელიჩკოს „უდავი“. ეს წიგნი შავრამშელეების მიერ ქართველებისა და სომხების გადაკიდების მიზნით გამოიცა. აგორი აქვს ქართველებს და აძაგებს სომხებს. ვიდაც მდიდარ სომხებს ამ წიგნების მთელი გირაკი შეუძენია და მდინარე ნევაში გადაუყრია, მაგრამ ქართველ სკულენგებს რაღაც ნაწილის შოვნა მოუხერხებიათ და საქართველოში გამოუგზავნიანო. ერთი ცალი ხელში ჩავარდნია მერკვილაძეს და სწორედ იგი აღმოჩნდა ჩემს მიერ შეძენილ ყუთშიო“. ცნობილი მეცნიერი, რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ვიქტორ ნობაძე, რომელთანაც ქ-ნი ქსენიას პირადი მეგობრობა აკავშირებდა ჯერ კიდევ ქუთაისის პერიოდდან, სისგმატურად უგზავნიდა შ რ ო მ ე ბ ს „ვეფხისტყაოსანზე“ (ხუთი ტომი) და ჟურნალ



„კავკასიონს“. მანვე გამოუგზავნა 1931 წელს პარიზში გამოცემული იაკობ გოგებაშვილის „ლედა ენა“. ეს წიგნები დღეს ბიბლიოთეკის საცავში ინახება.

„კავკასიონს“. მანვე გამოუგზავნა 1931 წელს პარიზში გამოცემული იაკობ გოგებაშვილის „ლედა ენა“. ეს წიგნები დღეს ბიბლიოთეკის საცავში ინახება.

ასე დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე ქსენია იოსელიანის თაოსნობითა და მისი ერთგული თანამშრომლების თანადგომით, მუხლჩაუხრელი შრომით ბიბლიოთეკაში თავი მოიყარა 1 300 000 – მა წიგნმა და ჟურნალმა.

ეს იშვიათი პედაგოგიური პროფილით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკა ქართველ საზოგადო მოღვაწეებისა და პედაგოგების სურვილითა და სიყვარულით აღმოცენდა.

ასე შეიქმნა უნიკალური ფონდი. ძალიან ნაყოფიერი იყო ბიბლიოთეკის მოღვაწეობა ბიბლიოგრაფიული ნაშრომების გამოცემის თვალსაზრისით. მაშინ ამ საქმეს უძღვებოდნენ: გიორგი გიორგიძე, ლევან ხუნდაძე, ქრისტინე შარაშიძე, გასიკო ნიჟარაძე, მარიამ აბრამია, თამარ ბებურიშვილი, ქსენია იოსელიანი, დოლო მემარნიშვილი (რომელიც დღესაც მუშაობს ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგედ), ნათელა ბერძენიშვილი და სხვები.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს რედაქტორობდნენ და კონსულტაციებს უწევდნენ პედაგოგიკის დარგის გამოჩენილი მეცნიერები: გ.თავშიშვილი, ვ.ქაჯაია, ქრ.შარაშიძე, დ.ლორთქიფანიძე, გ.გიორგიძე, მ.თალაკვაძე.

ბიბლიოთეკა არსებობის 70 წლის მანძილზე პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიკის მომიჯნავე დარგების ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს საცავად ითვლებოდა. ბიბლიოთეკის ფონდი სისგმატურად ივსებოდა ახალი ლიტერატურით.


დღეს ბიბლიოთეკა ყოველივე ამას მოკლებულია. ოთხი წელია აღარ იძენს წიგნებს, ჟურნალ-გამეთებს. შეწყვეტილი აქვს ელექტრონული მიწოდება უსასსრობის გამო. თანამშრომლები თვეობით ვერ იღებენ ისედაც მცირე ხელფასებს. ყოველ წელიწადს შაგრენის გყავივით მცირდება ბიუჯეტი და სამშაგო ერთეული. 64 სამშაგო ერთეულიდან 33-ღა დარჩა.

ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ბიბლიოთეკა გაუქმების პირს მივიდა. იგი ქალაქის მერიისადმი პრემიდენგის შუამდგომლობამ იხსნა, რისთვისაც ბიბლიოთეკის მთელი პერსონალი მადლობას უხდის პრემიდენგს და ქალაქის მერს – ვანო მოდელავას, რომელმაც თავს იღო ბიბლიოთეკის დაფინანსება.

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სამამულო ომის წლებში, როდესაც ჰიტლერი კავკასიას უახლოვდებოდა, ამ ძნელბედობის ეამს, არ შეწყვეტილა ბიბლიოთეკის დაკომპლექტება, იყო შუქი და გათბობა (შეშით).

მართალია, სახელმწიფოს უჭირს საბიუჯეტო ორგანიზაციების შენახვა, მაგრამ ბიბლიოთეკების გაუქმებით ჩვენივე თავს გაგანაღვრებთ. ნუ დაუპარგავთ მომავალ თაობებს იმ სიმდიდრეს, რაც წლების მანძილზე დავვიგროვებთ, რაც უშურველად შემოუწირავს ჩვენს მოწინავე ინტელიგენციას. მომავალი თაობა არ გვაპატიებს ამ ფასდაუღებელი განძის განიავებას.

ჩვენი, ყველას ვაღია ვუპატრონოთ ბიბლიოთეკებს. საჭიროა გამოინახოს გზები ბიბლიოთეკების გადასარჩენად. თუნდაც ბიბლიოთეკების ფასიან მომსახურებაზე გადაყვანიოთ. რაც შეიძლება მალე უნდა გამოიყვანოთ ნორმატიული აქტები, რომელშიც დამუშავებული იქნება ბიბლიოთეკების ფასიანი მომსახურების მექანიზმი.



ძველ პერიოდულ ორგანოებში არაერთი ცნობაა შემონახული საქართველოში საპატრიარქოს ბიბლიოთეკების შესახებ. ცნობილია, რომ 1880 წელს ივანე ლომოთურის ინიციატივით მეტეხის ციხეში გახსნილა პატარა ბიბლიოთეკა, რომელიც „დროების“ რედაქციის მიერ შეგროვებული წიგნებისაგან შედგებოდა. პატრიარქი მადლიერების გრძნობით ეხმარებოდა ამ მოვლენას. თავდაპირველად აქ დიდი რაოდენობით ყოფილა წიგნები ქართულ ენაზე, მაგრამ 900-იანი წლებისათვის ვერც ერთ ცალს ვერ იპოვიდით. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად უზრუნველ იოსებ მაჭავარიანს, რომელსაც ფულთან ერთად ორმოციოდე ქართული წიგნი შეუწირავს ციხის ბიბლიოთეკისათვის.

სატუსალოებში ბიბლიოთეკების გახსნა სხვა ქალაქების პატრიარქოს მოუთხოვიათ. 1885 წ. „დროებას“ საკითხი დაუსვამს ქუთაისის ციხეში სამკითხველოს გახსნის შესახებ. 1888 წ. ტერ-საკოვის ინიციატივით სამკითხველო გორის საპატრიარქოშიც გახსნილა. 90-იანი წლებისათვის სამკითხველო თელავის სატუსალოშიც ყოფილა. აქაურ პატრიარქოს პრესაში საყვედურიც კი გამოუთქვამთ წიგნების ნაკლებობაზე. ქართველ პატრიარქოს 90-იანი წლებში ქ.პეტროვსკის ციხეშიც კი მოუთხოვიათ წიგნსაცავის დაარსება. 1905 წელს სოხუმელ ტუსალებს გაფიცვა მოუწყვიათ. სხვა მოთხოვნებთან ერთად, ისინი ბიბლიოთეკის დაარსებასაც მოითხოვდნენ, რაზედაც თანხმობა მიუღიათ.

ყოველივე ეს გამოქვეყნებული მასალებიდან ცნობილია, მაგრამ რამდენი რამ ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია, ძნელი დასადგენია. სამწუხაროდ, შემდეგში, და არც საბჭოთა წყობილების დროს, რაიმე მონაცემები საპატრიარქოს ბიბლიოთეკების შესახებ ფართო საზოგადოების თვალისათვის არ იბეჭდებოდა.

დღეს ჩვენი საზოგადოება კვლავ ინტერესდება ამ მტკივნეული საკითხით, რის დადასტურებაცაა წინამდებარე სტატია, რომელიც მოკლედ გვაცნობს არსებულ მდგომარეობას.

მარინა ჩიქავა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის მეთოდისტი

შევიხედოთ საქართველოს ციხის ბიბლიოთეკებში.


დღეს საქართველოს ციხეებში მრავალი ადამიანი იხდის სასჯელს. მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიღუბნისა, პატიმრების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მაინც იღვწიან სამთავრობო დონეზე. ეს პროცესი ნელა და ეტაპობრივად მიმდინარეობს. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია, მიზანი ერთია: პატიმართა ყოფა შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს ნორმალური ცხოვრების პირობებს. თავისუფლების აღკვეთა უკვე თავისთავად დიდი სასჯელია. ამიგომ ციხის პირობები არ უნდა გადაიქცეს სასჯელის დამატებით ფორმად. პატიმარს აქვს უფლება ადამიანურად იცხოვროს და განვითარდეს.

დაპატიმრებული ან დაკავებული ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართალში განსაზღვრულია რიგი კონვენციებით და შეთანხმებებით, რომლებსაც მინიჭებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსი. ის ქვეყნები, რომლებმაც მოახდინეს მათი

რაგიფიკაცია, კისრულობენ დოკუმენტში ჩადებული პირობების შესრულებაზე ვალდებულებებს. მათ შორის არის საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი. ამ დოკუმენტის დებულებები ასახულია “პატიმრებთან მოპყრობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტულ წესებში”-(მსწ).¹ ეს არის პატიმრებთან დამოკიდებულების შესახებ უძველესი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელსაც მოპოვებული აქვს ფართო აღიარება.

ციხის ბიბლიოთეკა განსაკუთრებულია, რადგან ის ემსახურება მსჯავრდადებულებს, რომელთა შორის მოზარდები, ქალები და მოხუცები არიან. პატიმართა მომავალი ბევრად არის დამოკიდებული იმ ადამიანებზე, რომლებიც მეურვეობას უწევენ მათ. ამიგომ მეურვეთა საქმიანობა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ პატიმარს გაუადვილდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ პირობებთან





შეგება. ვფიქრობ, მეურვეთა მრუნვის გვერდით, ამ ფრიად მნიშვნელოვან მისიას უნდა ემსახურებოდეს ბიბლიოთეკა, რადგან სწორედ წიგნი, ჟურნალი თუ გაზეთი რჩება მსჯავრდადებულთათვის ვისოსებს მიღმა დარჩენილ სამყაროსთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ გზად. სამოგადოებასთან კავშირი ბიბლიოთეკების მეშვეობით უნდა გაუმჯობესდეს. ამიგომ ყველა ციხეს უნდა ჰქონდეს მსჯავრდადებულთათვის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა.

ციხის ბიბლიოთეკა, მისი ფონდი და მომხმარებელი ისეთი რთული თემაა, რომ განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. პაგიმარი-მკითხველის დამახასიათებელი თვისებები და მოთხოვნები დღეისათვის არ არის გაანალიზებული. ნაკლები ყურადღება ექცევა იმასაც, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტება უნდა შეესაბამებოდეს და უახლოვებოდეს მსჯავრდადებულთა განათლებას, სქესს, ასაკს და დანაშაულის ხასიათს. ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს ინფორმაციის მიწოდება იმ ენებზე, რომლებსაც პაგიმარი ფლობს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ციხეებსა და კოლონიებში მიახლოებით 9 ათასი პაგიმარი იხდის სასჯელს. ხოლო მათ ბიბლიოთეკებში დღეისათვის სულ 7659 ეგზ. წიგნია. ე. ი. თითოეულ პაგიმარზე თითო წიგნიც არ მოდის! და ეს წიგნებიც სავალალო მდგომარეობაშია. დაგროვდა შინაარსობრივად მოძველებული, დამიანებული წიგნების დიდი რაოდენობა. წიგნების უმეტესი ნაწილი პოლიტიკურად აქტუალობა დაკარგულია. არადა მკაცრობის მიხედვით აგრეთვე მაგერილურ-გექნიკური ბაზა. ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი ზოგი ოთახი მცირე ზომისაა, ავარიულიც. ბიბლიოთეკებში არასაკმარისადაა მაგიდები, სკამები, თაროები, საკატალოგო ყუთები. ამდენად, იქაურობა არ ქმნის პაგიმარ-მკითხველისათვის შესაფერის გარემოს.

ციხეებსა და კოლონიებში საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესებისათვის საჭიროა წიგნადი ფონდის ძირეული განახლება და სათანადო პირობების შექმნა ამ ფონდების შესანახად. წიგნების შემადგენლობა უნდა აკმაყოფილებდეს ყველა კატეგორიის პაგიმარ-მკითხველთა ინტერესებს და ითვალისწინებდეს მათ განათლებას, ეროვნულობას, რელიგიურობას და კულტურულ დონეს. ამ მიზნით, ციხეებში უნდა ჩატარდეს კითხვის სოციოლოგიური გამოკვლევა, რათა გაუმჯობესდეს მსჯავრდადებულთა საჭირო ლიგერაგურით მომსახურება. შესწავლილი უნდა იქნეს თითოეული ციხის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. ამავე დროს შედგენილ იქნეს მოკლე აღწერილობა, დადგინდეს ხარვეზები, მედმეგი ეგზემპლარები და არაპროფილური ლიგერაგურა სხვა ციხის ბიბლიოთეკებისათვის გადასაცემად. პარალელურად საჭიროა წიგნადი ფონდის გაწმენდა შინაარსობრივად მოძველებული

ლიგერაგურისაგან. თითოეულ პაგიმარს ხელი უნდა შეეუწყოს, რომ გამოიყენოს ბიბლიოთეკა და მოიძიოს იქ მისთვის სასურველი როგორც გასართობი, ასევე შემეცნებითი ხასიათის ლიგერაგურა, გაზეთები და სხვა პერიოდული სახის გამოცემები. პაგიმარებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ რეგულარულად გაიციონ ახალი ამბები გაზეთების, სპეციალური საუწყებო პუბლიკაციების საშუალებებით, რომლებიც ნებადართულია აღმინისგრაფიის მიერ. გამონაკლისები შეიძლება შეიზღუდოს ციხის უსაფრთხოების შენარჩუნების მოგივით ანუ აიკრძალოს მხოლოდ ისეთი მასალების გავრცელება, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს საპაგიმროდან გაქცევას ან მღელვარებას ციხეში.

ბიბლიოთეკები უნდა ფლობდნენ ციხის წესებსა და პაგიმარების უფლებების შესახებ ძირითად მასალებს, მათ შორის მსწ-საც. აქვე უნდა იყოს ეროვნული კანონები და ციხის უწყებრივი დებულებები.

ამჟამად ციხის ბიბლიოთეკებს ბიბლიოთეკარის სამტაგო ერთეული არ გააჩნია. ამ მოვალეობას შედარებით წიგნიერი პაგიმარები ასრულებენ. ციხეებში ასეთ მიდგომას ანუ ადამიანური რესურსების გამოყენებას, დადებითი მნიშვნელობა აქვს პაგიმარებისა და ციხის პერსონალს შორის გრადიციული მიდგომის დაძლევისათვის. მაგრამ, საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტების თვალსაზრისით, თუ ციხის ბიბლიოთეკებში იმუშავენ პროფესიონალები, გაცილებით გაუმჯობესდება მდგომარეობა. ბიბლიოთეკარები უფრო კვალიფიციურად დაეხმარებიან პაგიმარ-მკითხველებს საჭირო ლიგერაგურის შერჩევაში, მოძებნაში, განმარტებისა და რჩევის მიღებაში, როგორც მითითებულია მსწ-ში.

როგორც ვიცი, იუსტიციის სამინისტროს მიერ პენიტენციურ სისტემაში დაწყებული რეფორმების გეგმაში ციხის ბიბლიოთეკებიც მოიაზრება. სამინისტროს მოწოდებას მრავალი უწყების ბიბლიოთეკა და ოჯახი გამოეხმარა. იუსტიციის სამინისტროს ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში ყოველ დღე გროვდება საპაგიმარებისათვის შემოწირული წიგნები.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია შეეხმანა იუსტიციის მინისტრს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც აღუთქვა შეძლებისდაგვარი დახმარება ციხის ბიბლიოთეკების საკადრო თუ მეთოდურ საქმიანობაში. იუსტიციის სამინისტროსა და სამოგადოების ერთობლივი ზრუნვა პაგიმართა ბიბლიოთეკების მოწესრიგებისათვის დღევანდელ საქართველოს ცხოვრებაში ერთ-ერთი დადებითი მოვლენაა.

1. იხ.: პაგიმარობის საერთაშორისო სტანდარტები / ინგლ. თარგმნა ანა ქვანიამ . - თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა , 2000 . - 205 გვ.





ლევან ბუკია

თბილისის სასულიერო აკადემიისა
და სემინარიის ბიბლიოთეკის გამგე

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკა

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია ათეულ წელზე მეტს ითვლის, რაც დედაქალაქში ფუნქციონირებს. 1988 წლის 1 ოქტომბერს მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დიდი ძალისხმევითა და მონღოებით თბილისში სასულიერო აკადემია დაფუძნდა. აკადემიის გახსნისას მისმა უწმინდესობამ საგანგებოდ ბრძანა: „უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, რომ არ მოეწყდეთ ჩვენს ფესვებს და ამავე დროს გავითვალისწინოთ ის მოთხოვნა, რასაც გვიყენებს თანამედროვეობა. როცა წარსულზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ იმ გრადიციებს, ჩვენს ძველ უმაღლეს სასწავლებლებში რომ არსებობდა. თბილისის აკადემია უნდა იყოს გელათის, გრემის, იყალთოს აკადემიითა გრადიციების ღირსეული გამგრძელებელი“.


ქრისტიანობა მწიგნობრული რელიგიაა და ამიტომაც იყო, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებთან ბიბლიოთეკების დაარსებას, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ღირსეული მემკვიდრეობის შექმნა. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია ცდილობენ, არ მოსწყდნენ იმ ფესვებს, რომლებზეც დაფუძნებული იყო გელათის, იყალთოს, გრემის სასულიერო აკადემიები. 1755 წელს თბილისში ანჩისხაგის გაძრის ეზოში გახსნილი სემინარია, 1817 წელს თბილისში დაარსებული სასულიერო სემინარია, რომელმაც მუსკად ასი წელი იარსება, თუ ბოლოს – 1963 წელს მცხეთაში დაარსებული სასულიერო სემინარია, რომელმაც 1988 წელს სასულიერო აკადემიასთან ერთად თბილისში დაიღო ბინა, ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ თავიანთი წიგნსაცავების საქმიანობას. დღეს თბილისის სასულიერო აკადემია არ ღალატობს ამ გრადიციებს. აკადემიაში სრულფასოვანი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი იყო წიგნადი ფონდის შექმნა, რაც განხორციელდა კიდევ მცხეთის სემინარიის ბიბლიოთეკისა და საპატრიარქოს ბიბლიოთეკიდან გადმოცემული წიგნადი ფონდის ბაზაზე. ამჟამად თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკა 4 000-მდე წიგნად ერთეულს ითვლის. ბიბლიოთეკა თემატურია და ძირითადად საღვთისმეტყველო წიგნებს უყრის თავს. აქ არის, უპირველეს ყოვლისა, წმინდა წერილის გამოცემები, გარდა ქართულისა, ინგლისურ, რუსულ, ძველ და ახალ ბერძნულ, ფრანგულ, გერმანულ, ლათინურ ენებზე. გვაქვს ძველი და ახალი აღთქმის ეგზეგეტიკა, საეკლესიო დოგმატიკის, ლიტურგიკის, ძირითადი და შედარებითი ღვთისმეტყველების, მნეობითი ღვთისმეტყველების, პატროლოგიის, საეკლესიო სამართლის, ეკლესიის ზოგადი და საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ქართული ლიტურგიკის ისტორიის, ფილოსოფიის, საქართველოს ისტორიის, ჰომილეტიკის წიგნები. ყველაზე უძველესი

წიგნი, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკაში ინახება, არის ლიტურგიკული დანიშნულების „გრიოდონი მაგიკი“, რომელიც 1893 წლით თარიღდება. გვაქვს წმინდა მამათა ცხოვრებები და მათი თხზულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით პირად შემოწირულებებს, შევსებას აღარ ღებულობს, არადა, ამ ბოლო ხანებში უნიკალური საღვთისმეტყველო წიგნები გამოიცა როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე, რომელთა დაცვა ჩვენი გიჟის ბიბლიოთეკისათვის არა თუ სასურველი, არამედ აუცილებელია. უნდა გაიზარდოს აგრეთვე არსებული წიგნთა რაოდენობა, რადგანაც არის წიგნები, რომელთა მხოლოდ თითო ეგზემპლარი გაგვარჩნია და წიგნით სარგებლობა, ფაქტიურად, მოსწრებაზეა.

აკადემიის ბიბლიოთეკა ძირითადად შიდა მომსახურებისაა, მაგრამ მისით სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც სარგებლობენ. ამ ბოლო ხანებში აკადემიისა და სემინარიის რექტორის, ჭიათურის მიგროპოლიტ – აბრაამის ძალისხმევით გამოიყო გარკვეული ფინანსები, რომლითაც შეძენილ იქნა აუცილებლად საჭირო წიგნები. მიუხედავად ჩვენი წიგნადი ფონდის სიმწირისა, ჩვენ შევძელით გარკვეული დახმარება გაგვეწია ახლადგახსნილი საჩხერის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკისათვის. ასევე შევძელით მეტად მწირი გაცვლითი ფონდიდან გაგვეცვალა წიგნები საპატრიარქოს ბიბლიოთეკის გაცვლით ფონდში არსებულ წიგნებზე.

გვაქვს პერიოდიკის განყოფილება, სადაც გარდა ჩვენი აკადემიისა და სემინარიის გაზეთისა, სისტემატურად ვღებულობთ საპატრიარქოს გამოცემლობის გაზეთ „მადლს“ და საპატრიარქოს პრესცენტრის ყოველკვირეულ გაზეთს „საპატრიარქოს უწყებანი“. რაც შეეხება ახალ ქართულ ჟურნალებს, გარდა „რელიგიისა“ და საისტორიო ჟურნალ „არგანუჯისა“, არაფერს არ ვღებულობთ. პერიოდიკის ფონდში მოგვეპოვება გაზეთები: „მოამბე“ და „მწყემსი“, ჟურნალი „უდაბნო“, ჟურნალი „მოსკოვის საპატრიარქო“, „ჯვარი ვამისა“, ცალკეულ ეპარქიათა გამოცემები. საკმაოდ კარგად ვღებულობთ უცხოურ პერიოდიკას. მათ შორის აღსანიშნავია საბერძნეთის ეკლესიის ყოველთვიური გამოცემა; პერიოდულად ვღებულობთ ჟურნალებს საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, კვიპროსიდან.

ბიბლიოთეკას არ აქვს საკმაო ფართობი, რის გამოც წიგნების ნორმალურად შენახვა გაძნელებულია. კარგი იქნება, თუ გამოჩნდება ვინმე მეცენატი, რომელიც ფინანსურად შეეწეოდა აკადემიის ბიბლიოთეკას წიგნადი ფონდის შევსებისათვის, ეს საწინდარი იქნებოდა იმ გრადიციების აღდგენისა, რაც საქართველოს უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში არსებობდა



... და მაინც წიგნი !

XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი გენიალური მონაპოვარი კომპიუტერია, რომელიც საშუალებას იძლევა, შინიდან გაუსვლელად, თანხების მინიმალური დანახარჯით სხვადასხვა ქვეყნის საზღვარი გადალახო, მონიახულო ამ ქვეყნების ბიბლიოთეკები, ინტერნეტის საშუალებით შეაბიჯო მათ ფონდებში, მოისმინო შენთვის საჭირო ინფორმაცია, მიიღო სასურველი მასალა, მაგრამ ის, რაც შეუძლია უბრალო წიგნს, რომელიც ხელთ გაიყრია, შეუცვლელია. როგორც მკითხველი, დარწმუნებული ვარ, სტამბაში გამოცემულ წიგნს ვერასოდეს ვერ შეცვლის ვერაფერი, და არა იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი წიგნი ხელოვნების ნიმუშია, ზოგიც – ანტიკვარული ნივთი, არამედ იმიტომ, რომ წიგნის მოყვარულისათვის წიგნთან სიახლოვე, მასთან ურთიერთობა განუმეორებელი სიახლოვნებაა. მისი გარეგნობა, ფერი, ფორმა, ფურცლების შრიალი, შინაარსში ჩაღრმავება გამოუცნობ და იღუმალ, ამაღლებულ გრძნობებს აღვიძებს ადამიანში. კარგი მეგობარივით უახლოვდება მას, სათუთად უვლი და უფრთხილდება. კომპიუტერი წიგნს ვერ შეცვლის ისევე, როგორც რობოტი ადამიანს.

განვითარებული ტექნიკური საშუალებები თითქოს სულ უფრო და უფრო ავიწროვებს წიგნს. კითხვის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას თანამედროვე საზოგადოებაში და, ამდენად, ძალიან საინტერესოა მეცნიერულად იქნეს გააზრებული, რა ურთიერთმიმართებაა დღეს წიგნსა და ტექნიკურ საშუალებათა შორის, რა დღეშია წიგნი და რა მოელის მას. მეცნიერებამ უნდა გააკეთოს ამის პროგნოზი. ღმერთმა ნუ ქნას, წიგნმა დაკარგოს თავისი ფუნქციები. საინტერესოა ამ საკითხებზე მეცნიერთა კომპენგენტური აზრების გაგება.

როგორც არ უნდა იყოს, კარგი წიგნი ყოველთვის იყო და არის საჭირო. ამიტომ აუცილებელია არსებობდეს კარგი წიგნებით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკები. სამწუხაროდ, უამრავია ისეთი წიგნი, რომელშიც ან არაფერი, ან ძალიან მცირე რამ თუ არის სასარგებლო. მასსოვს, რამდენ არაფრისმოძვემ წიგნს ვკითხულობდი ბავშობაში ...

ამ ბოლო დროს ხშირად გვსმენია ქველმოქმედების მიზნით შორეულ სოფლის

სკოლებში გაგზავნილი წიგნების შესახებ. წიგნებს უგზავნიან საპატიმროებსაც ... ასეთ შემთხვევაში მკითხველთა კატეგორია თუ არ იქნა გათვალისწინებული და ამის მიხედვით არ იქნა წიგნები შერჩეული, ქველმოქმედებას აზრი ეკარგება. მართალია, მკითხველი თავისით უნდა ირჩევდეს თაროზე წიგნს, მაგრამ იქ მას მისთვის საჭირო წიგნები უნდა ხედებოდეს და არა ისეთი, რომელიც ვიღაცისთვის მდარედ მიჩნეული, ჩამოწერილი ფონდიდანაა ამოღებული.

კითხვა ჩემთვის თვითმიზანი არ არის. წიგნი უმეტესად მჭირდება ჩემი პროფესიის სრულყოფისათვის ან სულიერი, ესთეტიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

დიდი ბედნიერებაა, როცა ისეთი წიგნი მხვდება, რომელიც ჩემს მოთხოვნილებასა და ინტერესებს შეესაბამება. მაშინ წიგნს სულმოუთქმელად ვკითხულობ, ვგრძნობ, როგორ ვითარდება ავტორის ნააზრევები, როგორ ღრმავდება ჩემი ცოდნა, როგორ ვმალდები სულიერად. მაგრამ წიგნის კითხვისას მაღალი ფასეულობანი რომ მიიღო, ამისათვის საჭიროა გარკვეული გზა განვლო, საჭიროა გონების წვრთვნა, კითხვის კულტურის დონის ამაღლება.

სამწუხაროდ, თანადროული, ახალი წიგნების მოპოვება ჩვენს ბიბლიოთეკებში გაძნელებულია. გაღარიბდა ჩვენი ბიბლიოთეკები. სწორედ ამ დროსაა ყველაზე ხელსაყრელი ინტერნეტის გამოყენება, მაგრამ იგი უფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ არის.

ერთი სიგყვით, წიგნით, ცოდნით დაინტერესებულთათვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობს. ეს იწვევს მეცნიერული პროდუქციის ხარისხის დაცემას. ჩვენს ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება არამც თუ საზღვარგარეთული, სამამულო ლიგერაგურის უახლესი გამოცემების დიდი ნაწილიც კი, რომელსაც შეუძლია ადამიანს დახმარება აღმოუჩინოს პროფესიული წარმატებების მიღწევაში. მაგრამ არის ჯერჯერობით ერთი დადებითი მოვლენა: ბიბლიოთეკით სარგებლობა უფასოა, რაც ბოლომდე უნდა იქნეს შენარჩუნებული.

თეა საყვარელიძე

ფილოლოგი – აღმოსავლეთმცოდნე
ასპირანტი





თბილისის ი.ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოცენგი

მივებრუნდეთ მეუღრო სავანეს

აღამიანი კულტურის გარეშე არ არსებობს. სამოგალოებისა და პიროვნების საერთო ღონეს მისი კულტურის ღონე განსაზღვრავს. აღამიანი თავად ქმნის კულტურას და ფაქტობრივად იგი თავის თავს ქმნის. ყველაფერი, რაც აღამიანის შემოქმედებითი შრომის ნაყოფია, კულტურას განეკუთვნება, მაგრამ კულტურა, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, წიგნიერებასთან ასოცირდება, როგორც კულტურის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი.

ღღეს კითხვასთან დაკავშირებით მრავალი შეკითხვა გვებადება : ახალი საუკუნის მიჯნაზე, გექნიკური პროგრესის შედეგად, ხომ არ დაკარგა თავი აღამიანმა ? პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და , რაც მთავრია, სულიერი კატაკლიზმების შემდეგ, ხომ არ შეაქცია მან ბურგი იმ მეუღრო, მხოლოდ მისთვის არსებულ სულის ნავსაყუდელს, რომელსაც წიგნის სამყარო ჰქვია, სადაც აღამიანი თავისი თავის უფალი არჩევანშიც და კომუნიკაციაშიც, და სადაც ყველაზე სასურველი დიალოგი ხორციელდება მასსა და შემოქმედს შორის?! კულტურა დიალოგის და კომუნიკაბელურობის ჰუმანიზებული ფორმაა.

მე აქ მახსენდება ოსვალდ შპენგლერი თავისი „ ევროპის მზის ჩასვენებით “, რომელშიც იგი ერთმანეთს კულტურასა და ცივილიზაციას უპირისპირებს : კულტურის ეგაპი ეს სულის სიცოცხლის, მისი განხორციელების ეგაპია. ცივილიზაციის ეგაპი სულის შესაძლებლობათა გამოფიგვისა და ბოლოს, მისი სიკვდილის ეგაპია; კულტურა სულის ბატონობაა, ცივილიზაცია – ინტელექტისა. კულტურა პატრიოტიზმია, ცივილიზაცია კი – პატრიოტიზმის ადგილზე ანონიმურ კოსმოპოლიტიზმს აბატონებს. კულტურა შემოქმედებითობას ნიშნავს, ცივილიზაციის ნიშანი კი – იმპერიალიზმია. ცივილიზაციის პირობებში, – შპენგლერის ვარაუდით, – ხელოვნება და ფილოსოფია ამოწურულია. კულტურის მთავარი ნიშანია სულიერი სიმდიდრე, ცივილიზაციისა – მაგერიალური. ცივილიზაციის საფეხური – ეს „მზის ჩასვენების“ საფეხურია, – ასკენის შპენგლერი.

მოცემული თვალსაზრისით, კულტურა ყოველთვის წინ უსწრებს ცივილიზაციას, ხოლო იმას, რაზეც შპენგლერი მიუთითებს, უნდა ეწოდოს ცალმხრივი განვითარება. მთლიანი კულტურა მისი სხვადასხვა კონკრეტული სახეების ჰარმონიული




მთლიანობაა. მაგრამ დასავლეთის კულტურაში მოხდა ისე, რომ გექნიკამ და გექნოლოგიებმა, როგორც კულტურის სახეობებმა, საგრძნობლად გაუსწრეს კულტურის (განსაკუთრებით მწიგნობის) ღონეს. ესაა კულტურის ცალმხრივი განვითარება, რაც შპენგლერის, და, სხვათა შორის, ჩვენს კანონიერ შემოთქმებასაც იწვევს.

კომპიუტერული სისტემების გამოყენება, რაც ღღეს ჰაერივით ესაჭიროება აღამიანს, ნებისმიერი ინფორმაციის ჭარბი რაოდენობა, ასე იოლად ხელმისაწვდომი ინტერნეტის მეშვეობით, აგრეთვე კომპიუტერული გექნიკის სხვა საშუალებები ჩვენს ღღმა ცოდნას, რასაც წიგნის საშუალებით ვღებულობთ, ნამღვილი ცოდნის სუროგატს, მის მხოლოდ მეღაპირულ ნაწილს ხომ არ გვთავაზობს? მეღმეგად ხომ არ გვანებივრებს ყველაფრის იოლად გაღებით გვინის გარჯის გარეშე ცოდნის მოპოვება და, ამღენად, აღამიანური გაცნობის, მწიგნობის, სიკეთისა და ჰუმანურობის აღღილს ცივი, უღმობელი გონება ხომ არ იღერს ?

ერთი შეხეღვითაც ჩანს, რომ წიგნთან დაბრუნება პრობლემას წარმოაღღენს. ამ პრობლემის სიმწვავე განსაკუთრებით საგრძნობია პეღაგოგებისათვის, რომელთაც ახალგაზრღებთან უწევთ ურთიერთობა. სამწუხაროდ, ახალგაზრღების ერთი ნაწილი არაკომუნიკაბელური, გულგრილი, გრძნობამობლაღვებული და თვითკმაყოფილია. არ აწუხებს ცოდნის უკმარისობის გაცნღა, არანაირი სურვილი არა აქვს თვითღამკვიღრების, პიროვნულობის, ნამღვილ აღამიანად ჩამოყალიბებისა. მათ ურჩევნიათ იყვნენ ფღეღმაგურნი, ეზარებათ შეეწინააღმღეგონ რუხი ცხოვრების იმ წღეს, რაც უცხოური მანქანებით ჯირითში, უამრო გართობებსა და მათგე გაუთავებელ მეურვეობასა და ბრუნვაში გამოიხატება. აქ მწიგნობა, ბუნებრივია, ღეფციგური ხღება და, რაც ყველაზე შემამოთქებელია, ეს მათ არაღვითარ სულიერ ღისკომოტორგს არ უქმნის.

მაღლობა ღმერთს, მცირედ, მაგრამ მაინც გვყავს მათგან სრულიად განსხვავებული ახალგაზრღებიც, უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი პიროვნებები.

ჩემი მცირე სგაგის ბოლოსათვის შემოვინახე სურვილი, გამოეხატო ის ღიღი სიამოვნება, რასაც



ჩემში ასეთი სადღეისო ჟურნალის გამოცემა იწვევს. თანამედროვე საბიბლიოთეკო სისტემის ჩამოყალიბების საქმეში მე სრულიად არ გახლავართ კომპეტენტური (ამ საქმის სპეციალისტები უჩემოდაც შესანიშნავ სტაგიებს გეთავაზობენ ამავე ჟურნალში), მაგრამ ჩვენს ქვეყანაში დღეს არსებული მრავალმხრივი კრიზისის დაძლევისათვის სწორედ რომ კეთილი საქმე წამოიწყეს ჟურნალის დამფუძნებლებმა. იქნებ საერთო ძალისხმევით ჩვენი ახალგაზრდების სულიერებაზე ზრუნვას ამ გამოცემაზე გარკვეულწილად შეუწყოს ხელი.

ჩვენი თაობისათვის ხომ სწორედ საჯარო ბიბლიოთეკა იყო ყველაზე მყუდრო და სასურველი გარემო, რათა უნიკალური გამოცემებისათვის სათუთად შეგვევლო ხელი და დროის შეგრძნების დაკარგვით გაგვემართა დიალოგი სასურველ ავტორებთან.

როცა შემოქმედი თავისთვის ჩაიკეტება და ასე ქმნის ხელოვნების ნიმუშს, ცხადია, მისი ეს განმარტობა მხოლოდ საშუალებაა და არა თვითმიზანი. იგი ამ კარჩაკეტილობაში ახორციელებს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან

კომუნიკაცია-დიალოგს ადრესატთან – მკითხველთან, მსმენელთან, დამთვალიერებელთან ... ამასთანავე, ხელოვანის მიერ განმარტობაში განხორციელებული კომუნიკაცია – დიალოგი გაცილებით უფრო მასშტაბურია, რადგან იგი კავშირს ამყარებს არა მარტო თანამედროვეობასთან, არამედ წარსულისა და მომავლის თაობებთანაც, რომელთაც პოეტიკა შესძახა იმედითა და ნუგეშით: „ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!“

ბოლოს, როდესაც ადამიანს სურს კომუნიკაცია – დიალოგი საკუთარ „ეგოსთან“, ღმერთთან ან შემოქმედ – თვისგომთან, როდესაც მოაზროვნე ადამიანი მისთვის ყველაზე საკრალურს მეორე ადამიანს უზიარებს და უნაწილებს, როდესაც თანაბარუფლებიანი დიალოგი შედეგა შექმნილსა და აღმქმელს, გამცემსა და მომპოვებელს, ღირებულებათა დამამკვიდრებელსა და გამაცნობიერებელს, უბრალოდ, ადამიანსა და ადამიანს შორის, ამისათვის ყველაზე კარგი გარემო მყუდრო სავანე, წიგნთა სამყარო – ბიბლიოთეკაა.

მიუზღრუნდეთ ღმერთს, საკუთარ თავს და ყველაფრის საწყისს – სიტყვას, რომელიც „იყო პირველად“, და სიტყვის პირველწყაროს – წიგნს!



მდიდარი ბიბლიოთეკა – ქვეყნის აყვავების საწინდარი

თორნიკე გურული
სტუდენტი

დღეს საქართველოში ბევრ რამეზე წერენ, მაგრამ ბევრიც მეტად მნიშვნელოვანი რამ ჩრდილიშია მოქცეული. მათ შორის საქართველოს ბიბლიოთეკები.

მე გერმანიაში, ქალაქ მაინის ფრანკფურტში ვსწავლობდი და იქ ნანახისა და განცდილის ფონზე, ჩვენი ბიბლიოთეკების შემხედვარემ, გადავწყვიტე ჩემი ამრი გამომეთქვა. მინდა იქაური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე მოგიხსროთ, რომლის მსგავსსაც ნამდვილად ვინაგრებდი ჩვენი ქალაქისათვის.

წარმოიდგინეთ რამდენიმე სართულიანი თოვლისფერი შენობა, რომლის პირველი სართული გამოუფენებს ეთმობა და დაინტერესებულ კაცს ბევრი რამის ნახვას სთავაზობს. აქ იხილავთ გოეთეს ხელნაწერებს, მარგინ ლუთერის ნაშრომებს, შუა საუკუნეების მრავალ შედევრს, რომლისთვისაც დროის მსახვრად ხელს ვერაფერი დაუკლია. სტუდენტებიც, რომლებიც აქ საქმიანობენ, დაწვრილებით ესაუბრებიან მომსვლელთ ამა თუ იმ წერილობითი ძეგლის მნიშვნელობის შესახებ და მათი წარმომავლობის

ხანგრძლივ და განუმეორებელ ისტორიაზე ლაპარაკობენ.

სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს, რომ დღესდღეობით დედამიწაზე ბიბლიოთეკარის პროფესია ყველაზე მშვიდი პროფესიაა. ეს მართლაც იგრძნობა ფრანკფურტის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს.

ცენტრალურ შესასვლელთან დიდ დარბაზში კატალოგების წყებათაწყება და კომპიუტერების ორი უკიდვანო რიგია. ინგერიერის სუფთა, თეთრი კედლები, სიჩუმე და მყუდრო ატმოსფერო წიგნზე სამუშაოდ და შენთვის საინტერესო ინფორმაციების სამყაროში შესასვლელად განგაწყობს. შესასვლელში კი მუდმივ მომღიმარი ქალბატონი – ინფორმატორი ზის და დიდი ენთუზიაზმით ეხმარება ყველას, ვისაც კი რაიმე შეკითხვა თუ პრობლემა გაუჩნდება.

აქ შესაძლებელია ნებისმიერი ნაშრომი მოიპოვოს ცნობისმოყვარე მკითხველმა კომპიუტერში, რომელთანაც მუდმივი რიგია. ელექტრონულ კატალოგში ბიბლიოთეკაში დაცული ყველა წიგნია შეგანილი და



შინაარსისა და ავტორის გვარის მიხედვით გაწყობილი. საკმარისია აკრიფო მეცნიერების რომელიმე დარგის დასახელება ან კონკრეტული სიტყვა, რომ მათ შესახებ ყოველგვარი ინფორმაცია მიიღო. ყველა წიგნი, ჟურნალი თუ ხელნაწერი გამოიშლება ეკრანზე. შესაძლებელია წიგნის მოკლე შინაარსის გაცნობაც. უცნაურად მეჩვენება, რომ აქ არაფერს არ გიწვევს სიტყვიერი ურთიერთობა. მასალას კომპიუტერით უკვეთავ და წიგნის გამოგანა მხოლოდ საშვის წარდგენით ხდება.

ბიბლიოთეკის სხვადასხვა სართულზე სხვადასხვა ინფორმაცია ინახება. ერთგან ჟურნალ – გაზეთებს გვთავაზობენ, მეორეგან – იურიდიულ თუ ეკონომიურ ლიტერატურას. ასე რომ, ყველაფერი მკითხველის არჩევანზეა დამოკიდებული. ბიბლიოთეკებში ჩანთით ან პალკოთი შესვლა აკრძალულია. სარდაფში უამრავი კარადაა, სადაც საკუთარი ნივთების დაგოვება შეიძლება. თუკი კარადის გასაღები დაკარგე, მუდმივ მომდიმარი ქაღალკონი ასე ღიმილითვე 60 მარკიანი ჯარიმის ქვითარს გამოგიწერს, რომლის გადახდის შემდეგაც შესაძლებელია საკუთარი ნივთების დაბრუნება.

ბიბლიოთეკას ერთი უღამაზესი ოთახი აქვს, რომელსაც ინტერნეტოთახს ეძახიან. აქ მრავალი კომპიუტერი დგას, რომელთა მეშვეობითაც ყოველნაირი ინფორმაციისა და მასალის მოპოვება შეიძლება მსოფლიოს მასშტაბით. ის წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას არ გააჩნია, შესაძლებელია სპეციალური მოთხოვნით მიიღოთ, რაც საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება. მოკლედ, ყველანაირი პირობაა შექმნილი სწავლისა და თვითგანვითარებისათვის.

აღბათ დროა, ვიფიქროთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ერთიანი – ცენტრალიზებული სისტემის შექმნაზე, სადაც ყველაფრის მოპოვება იქნება შესაძლებელი. დღეს სხვადასხვა პაგარ-

პაგარა ბიბლიოთეკები სრულყოფილად ვეღარ უზრუნველყოფენ მკითხველთა ფართო მოთხოვნილებებს.

საქართველოს ბიბლიოთეკების თანამშრომლებს შორის რაგომდაც ძალზე იშვიათად ვხვდებით ახალგაზრდებს, ეს იმ დროს, როცა ევროპის ბიბლიოთეკებში სტუდენტობის დიდი რაოდენობაა დასაქმებული.

ჩემი შვედი მეგობარი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობს. ევროპის ძალიან ბევრ სახელმწიფოში ბიბლიოთეკარობა საუნივერსიტეტო სპეციალობაა. გოგონებთან ერთად ვაქებიც ბლომად არიან ჩართული ამ საქმიანობაში.

უცნაურია, მაგრამ საქართველოში მამაკაცი ბიბლიოთეკარი იშვიათად მინახავს. საინტერესოა, რაგომ ითვლება ჩვენთან ბიბლიოთეკარობა ქალურ პროფესიად? აღნიშნული საკითხი პრობლემურია, მაგრამ უფრო მწვავეა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ახალი ლიტერატურით, ახალი სახელმძღვანელოებით დაკომპლექტების პრობლემა. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ 15-20 წელში ჩვენს ბიბლიოთეკებს დახურვა ელის, რადგანაც ის წიგნები, რომლებიც ჯერჯერობით შემორჩენილა ბიბლიოთეკებში, ისე გაცვდება, რომ მომავალში მისი წაკითხვა შეუძლებელი გახდება. არადა, ბიბლიოთეკების მოშლა – განადგურება, ახალი თაობის უწიგნურობის და განათლების დონის დაცემის სიგნალია.

ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლისა და განათლების საკითხი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ, ახალი ლიტერატურით დაკომპლექტებულ ბიბლიოთეკასთან არის დაკავშირებული. თუ სასწავლებელს ბიბლიოთეკა არ უვარგა, იქ სწავლების დონეც დაბალია.

პროფესია და პროფესიონალები

ბიბლიოთეკარი ხიზაბავრიდან

ძველისძველი მესხური სოფელია ხიზაბავრა. როგორც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ ღვთარშია“ მოხსენებული, იგი ორი პაგარა დასახლებული პუნქტის – „ხიზირისა“ და „ბავარის“ შეერთებით დიდ სოფლად ქცეულა. დღეს იგი ჯავახეთის მეგანის დასაწყისში მთის ლამაზ ფერდობზეა მიფენილი და დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობს.

შემორჩენილი ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ სხვა საარქივო დოკუმენტებში დაცული მასალებით ვგებულობთ, რომ ხიზაბავრელებს მრავალჯერ უსახელებიათ თავი შემოსეული მგრის წინააღმდეგ ბრძოლაში თუ შინააშლილობის მოწესრიგების დროს. სახელოვანი ხიზაბავრელების ფიზიკური თუ გონებრივი დონის, მათი სურვილისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში პირველად სწორედ მესხეთის ამ სოფელში გაჩნდა გეპირსიტყვიერების ნიმუშების, ლოცვებისა და სხვა ტექსტების სგამბური წესით ქალაღმზე გადაგანის მცდელობა. პააგა



გუგუშვილის მონოგრაფიაში ვკითხულობთ : „ცალკე აღნიშვნის დროსა 1840 – იან წლებში ახალციხე – ახალქალაქის რაიონში ქსილოგრაფიულად დაბეჭდილი „ლოცვანი“. იგი , ასე ვთქვათ, გამოცემულია ხიზაბავრელი კათოლიკე მღვდლის იოსებ ხუციშვილის



მიერ, ხის კლიშეებით ნაბეჭდი სურათებით. შეიცავს 110 გვერდს. გექსტი დაწერილია ხალხური სალაპარაკო ენით.

სხვა ქსილოგრაფიული წესით ნაბეჭდი ქართული წიგნი ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვხვედრია”¹.

მესხეთის სოფლებში პირველად 1881 წლის 21 ნოემბერს ხიმბაბერაში სკოლაც გაიხსნა. ასევე დიდი ხნის ისტორია აქვს კულტურულ – საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე არსებობდა ხიმბაბერის სასოფლო კლუბთან. ომის შემდგომ წლებში, როცა სახალხო ეკონომიკა მომძლავრდა, საშუალო სკოლასთანაც შეიქმნა ბიბლიოთეკა, რომელიც ძირითადად მოსწავლე ახალგაზრდობას ემსახურებოდა.

ცხოვრება წინ მიდიოდა, სწავლის თუ კითხვის მსურველთა რიცხვი იზრდებოდა და კიდევ ერთი სასოფლო ბიბლიოთეკა გაიხსნა.

... მაგრამ დღეს სოფელს მხოლოდ ერთი სასოფლო ბიბლიოთეკა – ფილიალი შემორჩა. აბა, როგორი ყოჩაღი, მრავალმხრივი, მონღომებული, ხალისიანი, განათლებული მუშაკი უნდა იყო, რომ „ყოფილების“ – შენიშვნა ან საყვედური არ დაიმსახურო... ბედნიერებაა, რომ სოფელს ჰყავს ასეთი პიროვნება ...

კარგა ხნის ამბავია : ...სოფელ კოთელიაში მოსული ხიმბაბერელი ქალი ისაკაძეების ოჯახში სტუმრობდა, საპატარძლოს ირჩევდა. მახლობლებმა ამ ოჯახზე მიუთითეს და ისიც მოკრძალებით აცეცებს თვალებს, დაეძებს სადღეოფლოდ შეგულიანებულ ქალიშვილს. უთხრეს : კარგოფილს რწყავსო – გაუხარდა : საჩვენო ყოფილაო და ...ეს საქმეც გაიჩარხა;

ქუქჩიშვილების რძალი – ფაგიმა ისაკაძე, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა ა.ს. პუშკინის

სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობით, აგერ უკვე ათი წელია სოფელ ხიმბაბერის მკვიდრი გახდა და აქაურ მოსახლეობას ემსახურება. ფაგიმა თავისი საქმის ღრმად მცოდნე, მუსტად შემსრულებელი და ენერგიული მუშაკია. მისი წყალობით ხიმბაბერის სასოფლო ბიბლიოთეკა – ფილიალი ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. საქმეზე თავდადებული ბიბლიოთეკარი სოფლის მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. პასუხისმგებლობით ეკიდება ყოველგვარი დავალების შესრულებას. მან ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რეინვენტარიზაცია და ათწილად კლასიფიკაციაზე გადაყვანა. წარმატებით გაართვა თავი კატალოგებზე მუშაობას. იგი ამავე დროს კარგი მეუღლე და სამი შვილის დედაა.

ფაგიმა ისაკაძე გამორჩეული შრომითი შედეგებისათვის „ღირსების მედლითაა“ დაჯილდოებული.


ბიბლიოთეკის დღევანდელი მდგომარეობით იგი ფრიად შეწუხებულია, მაგრამ გულს არ იგებს; რწმენითა და მხნეობით აღსავსე, ჩვეული მონღომებით ემსახურება საყვარელ საქმეს.

¹იხ.: გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში: გ. 7. - თბ., 1984.-გვ. 423

ვენერა შეყილაძე
ასპინძის რაიონის ცენტრალიზებული საბიბლიოთეო სისტემის დირექტორი

სულიერი სრულყოფის გრძელი გზა: ავტორიტეტი და აღიარება

*ქალბატონ ლეილა მამბახიძის
შემოქმედებითი პორტრეტისათვის*



ეს გზა იმთავითვე აღსავსე იყო ცოდნის შექმნის დაუოკებელი წყურვილით, სიძნელეებითა და დაბრკოლებებით, სწავლისა და შრომის შედეგად მიღებული სიამოვნებით, რაც არასოდეს გადაზრდობდა თვითკმაყოფილებაში. ქალბატონ ლეილა მამბახიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიწყო, სადაც იგი, როგორც რიგითი ბიბლიოთეკარი, ცოდნის სრულყოფისათვის ლგოლვამ და წიგნის ჭეშმარიტმა გრფილმა მიიყვანა. განათლებით ფილოლოგი, ადვილად შეეგუა წიგნების აგმოსფეროს, რომელსაც ავსებდა და ახალისებდა მკითხველებთან ცოცხალი ურთიერთობა. წიგნთან ურთიერთობა ქნ ლეილას უბრალო ჩვევად როდი ექცა; ამ ურთიერთობაში იგი უფრო ამადლებულ მიზანს ხედავდა. იგი, როგორც ბიბლიოგრაფი, ბევრს კითხულობდა, ეძებდა, აგნებდა, ისევე ეძებდა, ეცნობოდა და აანალიზებდა. ყოველივე ამას აკეთებდა მკითხველისათვის და ეს ერთიორად ახარებდა მას, უფრო სწორად, კი არ აკეთებდა, ქმნიდა.

წიგნზე მუშაობით არ წარმართულა. იგი ისეთი პროფესიონალების გვერდით იღწვოდა, რომელთაც ნათელი კვალი დაგოვეს არა მარტო ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიაში. მათგან პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ თამარ მაჭავარიანი, მერი მელაძე, ლევან ეგორაშვილი, ნიკოლოზ აკერმანი, მარიამ კუპრაძე და სხვები. ასე იწყებოდა ქალბატონ ლეილას სულიერი სრულყოფის გრძელი, მისთვის საინტერესო, მიგმაგებიანი გზა, რომელმაც შემდგომში მას აღიარება და ავტორიტეტი მოუტანა.


ქნ ლეილა მამბახიძის მაღალ წიგნიერ კულტურასა და დახვეწილ ესთეტიკურ გემოვნებაზე მეტყველებს მისი ხელმძღვანელობით 1958 წელს მოწყობილი ქართული წიგნის, გრაფიკისა და პლაკატის გამოფენა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ მოსკოვში.

უფრო მეტი პასუხისმგებლობა და ქართული წიგნის კარგი ცოდნა გამოავლინა ქნმა ლეილამ 1970 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეებთან დაკავშირებულ გამოფენაზე. იგი ამ დროისათვის დირექტორის მოადგილე გახლდათ



სამეცნიერო მუშაობის დარგში. ამ გამოფენას მაღალი შეფასება მისცა იმდროინდელმა ქართულმა და უცხოურმა პრესამ, ხოლო მის ერთ-ერთ შემოქმედს, ქ-ნ ლეილა ზამბახიძეს ქურნალმა „საბჭოთა ხელოვნებამ“ „ლაუზარელი გერმანისტი და მარად თავაზიანი“ უწოდა.

წლების განმავლობაში ქ-ნი ლეილა ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალი ბიბლიოგრაფი. ამ საქმიანობამ იგი მიაჩვია ფხიზელ აზროვნებას, ინტუიციას, ალღოს, შეუცნობელი ფაქტებისა და მოვლენების ახსნისა და წვდომის ისეთ მიდგომას, რომელიც ნიშანდობლივია მხოლოდ ბიბლიოგრაფისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა მის მიერ შედგენილი ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ბიბლიოგრაფია (თბ., 1966). ევრისტიკული მეთოდით შედგენილი ეს ნაშრომი ბიბლიოგრაფიული ძიებისა და გამოვლენილი მასალის სისტემატიზაციის საუკეთესო ნიმუშია. მასში დიდი ქართველი კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებული დოკუმენტები იშვიათი სიმუსკიტაა მიგნებული, დახასიათებული და დაჯგუფებული. ნაშრომით მისმა შემდგენელმა გარკვეულობა და სიცხადე შეიგანა ზაქარია ფალიაშვილის შესახებ არსებულ დოკუმენტურ ცოდნაში. ბიბლიოგრაფიულმა წყარომ სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ასეთივე შესრულების ღონით გამოირჩევა ქ-ნ ლეილა ზამბახიძის მიერ ლია ქვენტან ერთად შედგენილი ანოტირებული ბიბლიოგრაფია კინორეჟისორ ნ. შენგელაიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.



ქ-ნ ლეილას ცნობისმოყვარე გონება არ კმაყოფილდება ბიბლიოგრაფიული ფაქტების მიგნებითა და გამოვლენით. მან წარმატებით მოსინჯა კალამი მხატვრულ თარგმანებში. მის კალამს ეკუთვნის გერმანული ენიდან თარგმნილი მანფრედ გრეგორის რომანი „ხიდი“ (ლ. მამაცაშვილთან ერთად), ერსტ გლეზერის მოთხრობა „ხელშეკრულება“ (ა. ჭეიშვილთან ერთად), ი. გრიგორესკუს „მონგოზუმის განძი“, კეტ შოპენის „დემირეს ბავშვი“ და სხვ. ამ თარგმანებში მკითხველმა უთუოდ შენიშნა მთარგმნელის დახვეწილი მხატვრული გემოვნება და ორივე ენის შესანიშნავი ცოდნა.

ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ნაშრომებიდან აღსანიშნავია მის მიერ რუსული ენიდან გადმოღებული „ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა“ (თბ., 1979), რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს პროფესიული ღირებულება. ქ-ნმა ლეილამ დიდი დრო და ენერჯია შეაღია „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილების“ (ბბკ) რუსული ენიდან თარგმნას, რომელიც არ დაბეჭდილა საქართველოში მისი დანერგვის უპერსპექტივობის გამო.

ქ-ნ ლეილას რედაქტორობით გამოქვეყნდა ბიბლიოგრაფიული საძიებლის „საქართველოს ისტორიული ძეგლების“ სამი ნაკვეთი (1979, 1984, 1989); იგი დღესაც ჩვეული გულმოდგინებით რედაქტორობს ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას, რომლის შედგენა – გამოცემაზე კარგა ხანია მუშაობს ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილება.

ლ. ზამბახიძის ჭეშმარიტი ნება-სურვილი იმთავიდანვე ახლის ძიება იყო. ის უბანი და მიმართულება, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, ობიექტურად მოითხოვდა პროფესიულ სიახლეთა აღქმისა და დანერგვის აუცილებლობას. ქ-ნი ლეილა იყო ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1990-იან წლებამდე საკავშირო სამეცნიერო – მეთოდური საბჭოს წევრი, ამჟამად აქტიურად თანამშრომლობს ბიბლიოთეკასთან მოქმედ საკოორდინაციო საბჭოში.

წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა, რომელიც დღენიადაგ ივსებოდა ახალი ცოდნით, გამოცდილება და ერთუბიანობა ხელს უწყობდა მისი, როგორც პროფესიონალის თვითდამკვიდრებას. ამ ცოდნას იგი გზადაგზა უზიარებდა კოლეგებს, სტუდენტებს, ბიბლიოთეკარებს. ქ-ნი ლეილა დიდხანს კითხულობდა ლექციებს თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც იგი ინფორმაციის კურსს უძღვებოდა. ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე იგი პრაქტიკოს ბიბლიოთეკარებს აცნობდა მსოფლიო საბიბლიოთეკო გამოცდილებებსა და მიღწევებს. პედაგოგიურ სარბიელზე მისი წარმატება განპირობებული იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით, ადამიანთმცოდნეობის თანდაყოლილი უნარით, უშუალოდ და გულწრფელობით.

ქალბატონი ლეილა 1999 წლიდან საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორია. იგი შესანიშნავად იცნობს ადამიანებს, მათ პოტენციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს; ქალბატონი ლეილა თანამედროვე მენეჯერის ყველა თვისებითაა დაჯილდოებული. იგი უბრალოდ არ აღიქვამს ისტორიულ, სოციალურ, თუ კულტურულ – ყოფიერებით ფაქტებს; მათ განიცდის, აფასებს, იღებს მმართველობით გადაწყვეტილებებს. მისი ნაშრომები ჭეშმარიტად თანადროულია, თუმცა ისინი იმავდროულად შორეული მკითხველისათვისაც არის გამიზნული.

ქ-ნი ლეილა საბიბლიოთეკო დარგში არსებულ დღევანდელ სიძნელეებს დროებით მოვლენად მიიჩნევს, რომელიც თანდათანობით დაძლეული უნდა იქნეს. ჭეშმარიტების მაძიებელი ხელმძღვანელი ჩვეული ერთუბიანობით განაწყობს თანამშრომლებს, რომლებთანაც ურთიერთობას ბიბლიოთეკის წინსვლისა და წარმატების ასევე ჭეშმარიტი სურვილი ამოძრავებს.

გურამ თაყნიაშვილი,
საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის
ცენტრის უფროსი



წიგნგაცვლის მნიშვნელობა და მისი როლი

თანამედროვე ვითარებაში წიგნგაცვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ეკონომიკურ, ასევე მეცნიერულ-ტექნიკური თვალსაზრისით. წიგნების გაცვლა ითვლება სახელმწიფოთა შორის მეცნიერებისა და კულტურის დარგის ურთიერთობის, თანამშრომლობის ერთ-ერთ ფორმად, რომელიც ახორციელებს კულტურულ და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებასა და ურთიერთგაგებას, ლიგერატურის გავრცელებას, როგორც საზღვარგარეთის, ასევე ჩვენი სამამულო გამოცემებით.

წიგნგაცვლა მიჩნეულია ფონდის უსასყიდლოდ შევსების და მისი გამდიდრების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. მისი მეშვეობით შეიძლება მიღებულ იქნეს ძნელად საშოვარი, მცირე გირაჟიანი გამოცემები, კონფერენციებისა და სესიების მასალები, უფასო გამოცემები, რომლებიც მაღაზიებში არ იყიდება და სხვა. გარდა ამისა, საერთაშორისო წიგნგაცვლა ვალუტის დიდ შეღავათსაც იძლევა.

ჩვენი მიზანია გავაცნოთ მკითხველებს, თუ როგორ საქმიანობს წიგნგაცვლის განყოფილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას სპეციალურად გააჩნია გაცვლითი ფონდი, რომლითაც იგი ემსახურება როგორც დსთ-ს, ასევე საზღვარგარეთის სხვა წამყვან ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს. ესაა ძირითადად უნივერსიტეტში დაბეჭდილი და გამოცემული წიგნები და პერიოდული გამოცემები.

სამეცნიერო ბიბლიოთეკას კავშირი აქვს დსთ-ს 495 ორგანიზაციასთან, მათ შორის 56 უნივერსიტეტის და 18 მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან. წიგნგაცვლის განყოფილება ასევე აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთის 43 სახელმწიფოს 241 სამეცნიერო ორგანიზაციასა და უნივერსიტეტის წამყვან ბიბლიოთეკებთან. ესენია ისეთი ცნობილი ბიბლიოთეკები, როგორცაა ამერიკის კონგრესის, კალიფორნიის უნივერსიტეტისა ბერკლში, კემბრიჯის უნივერსიტეტის, საფრანგეთში-წიგნის გამავრცელებელი საზოგადოების, საფრანგეთის უნივერსიტეტის, გერმანიაში - ბონის, დიუსელდორფის, საარბრიუკენის, ფინეთში -

ჰელსინკის უნივერსიტეტის, ინგლისში კემბრიჯის უნივერსიტეტის, ლონდონის, ოქსფორდის, ბოლდის ცნობილი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები, საბერძნეთში სალონიკის უნივერსიტეტის, იაპონიაში - გოკიოს უნივერსიტეტის და სხვა ბიბლიოთეკები.

წიგნგაცვლის განყოფილების საშუალებით ხდება აგრეთვე ბიბლიოთეკის შევსება უცხოური ლიგერატურით, რომელიც ძირითადად შედგება ჩამოსული სტუმრების მონაძლენი და უცხოელი მეგობრებისაგან გამოგზავნილი წიგნებისგან. ამერიკიდან მიღებულია 1205 ცალი წიგნი; გერმანიიდან - 1570; საფრანგეთიდან - 780.

განყოფილება შეუობას უწევს უცხოეთში მცხოვრებ ქართველოლოგებს. მათგან აღსანიშნავი არიან: ალისა ჰარისი და დინა ჰელისკი - აშშ; შტეფი იუნგერი, ჰაინც ფერნიხი - გერმანია; დევიდ ლანგი (აწ გარდაცვლილი) - ინგლისი; ლუიჯი მაგაროტი - იტალია; მარგიტ ბირო - უნგრეთი; რენე ლაფონი - საფრანგეთი; ლეა ფლური, რუთ ნოიკომი, ლეა მარშევიდა - შვეიცარია და სხვა.

წიგნგაცვლის განყოფილების საშუალებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში-განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებსა და ცენტრიდან დაცილებულ ადგილებში მოქმედი ბიბლიოთეკების შეფობასაც ეწევა.

საერთაშორისო გაცვლები ამაღლებს სამეცნიერო ბიბლიოთეკის ავტორიტეტს. მიუხედავად ამისა, წიგნგაცვლის განყოფილებას არ გააჩნია სათანადო პირობები, უსახსრობის გამო იგი ვეღარ ახერხებს ლიგერატურის გაგზავნას უცხო ქვეყნებში.



ამ მდგომარეობამ უარყოფითი გავლენა იქონია წიგნგაცვლის საქმის განვითარებაზე, რაც გააუადვილებს მოგვარებას საჭიროებს.

ლამარა მესხიშვილი

ივჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის საერთაშორისო წიგნგაცვლის განყოფილების გამგე

ვენა 2000

ავსტრიის 26-ე საბიბლიოთეკო შეკრება
 „პროდუქციის ფაქტორი ცოდნა“
 („Produktionsfaktor Wissen“)



2 000 წლის 19-23 სექტემბერს ავსტრიაში ჩატარდა მორიგი – 26-ე საბიბლიოთეკო შეკრება. ამჯერად შეხვედრის ადგილი ვენა გახლდათ. ავსტრიის საბიბლიოთეკო გაერთიანების გარდა, აქ თავი მოიყარეს უცხოეთიდან მოწვეულმა სტუმრებმაც. შეკრების მთავარი თემა იყო „პროდუქციის ფაქტორი ცოდნა“. მრავალ მოხსენებასა და სხვადასხვა ფორმის მრავალფეროვან გამოფენებზე წარმოდგენილ იქნა ავსტრიის და სხვა ქვეყნების საბიბლიოთეკო მიღწევები და საერთაშორისო ბიბლიოთეკათმცოდნეობის გამოცდილებები.



საბიბლიოთეკო კონგრესის თავმჯდომარე და ხელმძღვანელი გახლდათ ქალბატონი ზიგრიდ რაინიციერი. შეკრება გაიმართა ვენის უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში. შეკრებილთ მიესალმა ქალბატონი ზიგრიდ რაინიციერი, რის შემდეგაც მან შეკრება გახსნილად გამოაცხადა. შეკრებილთ მიესალმნენ აგრეთვე ვენის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი გეორგ ვინკლერი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი ქალბატონი ილბე დომეილი, ქალაქ ვენის ვიცე-მერი ბატონი ბერნჰარდ გორგი, განათლებისა და კულტურის მინისტრი ბატონი პეტერ ბაიცი, დოქტორი ჰარო ჰაიმი. დიდი საბიბლიოთეკით მოხსენებით გამოვიდა გრაცის კარლ-ფრანცენს უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი ვოლფ რაუხი. სიგყვით გამოსულებმა წარმატება უსურვეს შეკრების მონაწილეებს მათ შემდგომ საქმიანობაში. დასასრულ, ქალაქის მერმა ვენის

რაგჰაუზში საბიბლიოთეკო შეხვედრა მოუწყო მონაწილეებს. იყო ამრთა გაცვლა-გამოცვლა და მსჯელობა სადღეისო პრობლემებზე.


განსაკუთრებით ხაზი მინდა გავუსვა შეხვედრას „მრგვალი მაგიდის“ გარშემო, რომელსაც ძირითადად უცხოელი კოლეგები ესწრებოდნენ; მათ წარმოადგინეს თავიანთი ახალი პროექტები, ისაუბრეს მიღწევებზე, გამოცდილებებზე და პრობლემებზე. ზოგმა მათგანმა დახმარებაც კი აღუთქვა აღმოსავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებს. გამოფენაზე წარმოდგენილმა ფორმებმა მოაწყვეს ახალი საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების დემონსტრირება, გამოფენა. დიდი ბიბლიოთეკების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ ადგილზევე გაეფორმებინათ ხელშეკრულებები.



შეკრების დახურვა ასევე საბიბლიოთეკო შედეგა ვენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში. ქალბატონი ზიგრიდ რაინიციერი კვლავ მიესალმა მონაწილეებს, დადებითად შეაფასა ვენის 26-ე საბიბლიოთეკო შეკრების მუშაობა, წარმატება უსურვა იქ დამსწრეთ მათ შემდგომ საქმიანობაში და შეკრება დახურულად გამოაცხადა.

გარდა ლექცია-სემინარებისა, მე საშუალება მომეცა მომენახულებინა ვენის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომლის ნახვამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბიბლიოთეკის პაპირუსების განყოფილება, რომელიც ერცჰერცოგ რაინერის პირადი კოლექციისაგან





შეიქმნა, 1883 წელს დაარსდა. დღეისათვის ეს კოლექცია 180 000 ეგზემპლარისაგან შედგება. დიდი ნაწილი ძირითადად ეგვიპტურია. აქვე წავაწყდი პლაკატს, რომელიც კავკასიის გაქრისტიანებას ეძღვნება (საქართველო, სასომხეთი, ალბანეთი).



კარგი იქნება, ჩვენს პრაქტიკაში, შეძლებისდაგვარად, დაგვერგოთ უცხოელი კოლეგების გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ბიბლიოთეკებს ცივილიზებული ფორმებით მოემსახურონ მომხმარებელს და ბიბლიოთეკები ცოცხლის კერებად გადააქციონ.

ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელს (ვენა), ბაგონ კარლ შტოკს (გრაცი) და ბაგონ ვილი გრაიხლერს (ბერნი), რომელთაც უბრუნველყვეს ჩემი მიწვევა ვენაში.

დასასრულ, მაღლობა მინდა გადავუხადო ქალბატონებს: ზიგრიდ რაინიციერს, ილონა სლავინსკის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან

თინა ჯაჭვავაძე
თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ.
პედ.უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის
დირექტორი



ქართული ენის სიფინდისათვის

„ენაი შემკული და კურთხეული“

ამ პატარა ფრამატიკული ვაკვეთილით, რომელიც ჩვენი ჟურნალისათვის ახალგაზრდა მეცნიერმანინო ჯორბენაძემ მოგვასწოდა, გვინდა ქართული ენის სიწმინდით დაინტერესებულ მკითხველს დავუგვაროთ. ვეცდებით ასეთი დახმარება დროდადრო აღმოვუჩინოთ ჩვენს მკითხველებს.

ეს ჩვენი ენა ქართული გახლავთ, რომელიც ყოველთვის საჭიროებდა მოვლა-პატრონობას, მით უმეტეს – დღეს!

ვიყენებთ იმ შემთხვევაშიც, თუ სახელი მხოლოდით რიცხვში დგას (ფორმობრივად), მაგრამ მრავლობითს აღნიშნავს. ვამბობთ: ნაგავი გადავყარე (და არა გადავაგდე), ხალხი სიცილით დაიხოცა (და არა მოკვდა), სრეში ყრია (და არა გდია) და ა.შ.

ქართულში (და უამრავ სხვ. ენაშიც) სახელის მრავლობითობა გარკვეული ნიშნებით აისახება მზნაში: ეწერ მე \ ვწერ-თ ჩვენ; ხატავ შენ \ ხატავ-თ თქვენ; ჭამს ის \ ჭამ-ენ ისინი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ უნდა ავყვეთ ბოლოდროინდელ გენდენციას, რომლის მიხედვითაც მხოლოდითი რიცხვის აღმნიშვნელ მზნას იყენებენ ორივე – მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის გადმოსაცემად (ბავშვები შევარდნენ, ხალხი მოკვდა, ჩვენ ვზივართ) და გრადიციისამებრ ამ შემთხვევაში მხოლოდითი რიცხვის აღსანიშნავად ერთი სიტყვა ვიხმაროთ, მრავლობითი რიცხვისათვის კი – მეორე: მე ვზივარ \ ჩვენ ვსხედვართ; ბავშვი ოთახში შევარდა \ ბავშვები ოთახში შეცვივდნენ; კაცი სიცილით მოკვდა \ ხალხი სიცილით დაიხოცა; ქილა გადავადლო \ ნაგავი გადაყარა და ა.შ.

ხანდახან სახელის მრავლობითობა მზნაში არა მარტო დაბოლოებით, არამედ მთელი ფუძითაც გამოიხატება. ამ დროს მხოლოდითი რიცხვის აღსანიშნავად ერთი სიტყვა გამოიყენება, მრავლობითი რიცხვისათვის კი – მეორე. მაგ. “ზის” ფორმა მხოლოდ მხოლოდით რიცხვში იხმარება – ზის ის; მრავლობით რიცხვში კი სულ სხვა ფუძე – “სხედან” უნდა გამოვიყენოთ, - სხედან ისინი. ამავე პრინციპით მონაცვლეობენ ფორმები: შევარდა – შეცვივდნენ; მოკვდა – დაიხოცნენ; გდია – ყრია; ბავშვი ოთახში შევარდა \ ბავშვები ოთახში შეცვივდნენ; კაცი მოკვდა \ ადამიანები დაიხოცნენ; ვაშლი გდია \ ვაშლები ყრია და ა.შ.

ნინო ჯორბენაძე
ენათმეცნიერი



ერთი გამოცემის შესახებ

1962 წლის დასაწყისში მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა პავლე კანდელაკი – დაულაღვი, ენერგიული, მზრუნველი, მკაცრი, მომთხოვნი და, ამასთანავე, ჰუმანური პიროვნება.

იგი მოსვლისთანავე გაეცნო ბიბლიოთეკის საქმიანობას, რომ გაერკვია, რა პრობლემები არ ითმენდა გადადებას. იმეხმად ქართველოლოგიის განყოფილებაში მხოლოდ სამი თანამშრომელი მუშაობდა – გამგე თამარ ღონღუა, მთავარი ბიბლიოთეკარი თამარ მაჭავარიანი და ბიბლიოთეკარი ელენე გოგოძე. თამარ მაჭავარიანმა ჩვეული სიღინჯითა და დამაჯერებლობით განმარტა მათ წინაშე მდგარი ამოცანები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მომზადებისა და გამოცემის საქმეს. აღნიშნა, რომ განყოფილებამ მოამზადა გაზეთ „ივერიის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია და ჯერ კიდევ სამამულო ომამდე „ივერიის“ 1886 – 1892 წლების აღწერილობის 800 გვერდიანი მასალა გამოსაცემად დიდი ხნის გადაცემული ჰქონდა თბილისის პირველ სტამბას. რა თქმა უნდა, ომის დროს სტამბამ შეწყვიტა მუშაობა. შემდეგ კი ველარ მოხერხდა ჩამოვებული მასალის მოძებნა. თამარ მაჭავარიანი დიდი გულისტკივილით ლაპარაკობდა და სთხოვდა დირექტორს, როგორმე მოეგვარებინა ეს საქმე. მაშინ სამეცნიერო – მეთოდურ განყოფილებაში ვმუშაობდი მეთოდისკად და დავალებული მქონდა ბიბლიოთეკის საგამომცემლო საქმის ორგანიზებას.

მეორე დღესვე დამიძახა დირექტორმა და გამომკითხა, თუ რა კეთდებოდა საგამომცემლო მუშაობის მიმართულებით. ბოლოს მითხრა – კი არ გავალებ, რაკი ეს საქმე, ალბათ, ძალზე რთულია და შეუძლებელიც, მაგრამ კაცურად გთხოვ, თუ გინდა, სამსახურში ნუ გამოცხადდები, სტამბაში იარე და იქნებ როგორმე მოძებნო „ივერიის“ ბიბლიოგრაფიის ხელნაწერი. იცოდე, ეს საშვილიშვილო საქმეა.

დირექტორის სიტყვა და დავალება ჩვენთვის კანონის გოლფასი იყო, თანაც კარგად გავიარე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას ქართული მეცნიერებისათვის და როგორ გამოხმაურებას ჰპოვებდა მისი გამოცემა.

მეორე დღესვე წავედი სტამბის დირექტორთან. მას გაეცინა და ხუმრობით მითხრა: – ჩემო ძმაო, ომამდე ჩამოვებულ მასალას კი არა, გუშინდელ მოგანილსაც ძლივს ვაგნებთო. მიუხედავად ამისა, მან მაინც გულთან მიიგანა ეს საქმე, თანაც, როგორც ჩანს, იცოდა პავლე კანდელაკის ხასიათი, რომ არ მოეშვებოდა. საამწყობო სამქროში მუშებს არაფერი ახსოვდათ, თითქმის ყველა მათგანი ომის შემდეგ იყო მიღებული. საუბრის დროს მძიმე ანაწყობით ხელში კოჭლობით შემოვიდა 60 წელს გადაცილებული კაცი, რომელსაც ომამდე ამ სტამბაში ამწყობად უმუშავია. მან გაახსენა, რომ მისთვის

ასაწყობად გადაუციათ ხელნაწერი მასალა. ნაწილი აუწყვია კიდევ, მაგრამ ომის დაწყებამ შეაჩერა ეს სამუშაო. სტამბის მაშინდელი ხელმძღვანელობის განკარგულებით, აუწყობელი ხელნაწერები სასწრაფოდ და უწესრიგოდ ჩაუყრიათ სარდაფში. ყოველივე ამის შესახებ იმავე დღეს ვუამბე ბატონ პავლესა და ქალბატონ თამარს. მათ გაიხარეს, კვალი მიგნებული იყო. ამ დღიდან დაიწყო ჩემი „წამება“, რადგან ვიცოდი, რომ ისინი აღარ მოისვენებდნენ და არც მე მომასვენებდნენ. რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ხელნაწერი სარდაფში უნდა მომეძებნა. ამ ძველი მუშაკის სასახელოდ უნდა ითქვას (საუბედუროდ, გვარი არ მახსოვს), რომ არ დაიბარა და სამუშაო საათების შემდეგ ჩავდიოდი ბნელ და ნესტიან სარდაფში და მთელი კვირის მანძილზე ვმუშაობდი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ დღეს ვნახეთ ჩვენი მასალის ამონაბეჭდი 8 ფორმის ოდენობით. გამხნევებულებმა 2-3 დღეში მთელი მასალა ფურცელ-ფურცელ ამოვიღეთ. მისი საგრძნობი ნაწილი დამიანებული იყო და გადაწერას მოითხოვდა.

ალბათ შეუძლებელია იმის აღწერა, როგორ გაიხარეს ბატონმა პავლემ და ქალბატონმა თამარმა. გაოგნებული ვუყურებდი მათ და ვფიქრობდი, ნუთუ ისეთი საქმე გავაკეთე, რომ ამხელა სიხარული მივანიჭე ამ ადამიანებს?

დაიწყო მეორე ეტაპი. ახლა საჭირო იყო :

- 1 პარგის ცენტრალური კომიტეტის ნებართვა წიგნის გამოცემაზე; (ამის მიღწევა მაშინ დიდ სირთულეს წარმოადგენდა).
- 2 პრესის საშუალებით საზოგადოების გამოხმაურება გამოცემის აუცილებლობის შესახებ, რაც დაგვეხმარებოდა ცეკას მიერ საკითხის დაღებითად გადაწყვეტაში;
- 3 გამომცემლობის მოძებნა, რომელიც იკისრებდა ამ წიგნის დაბეჭდვას და შესაფერისი სასტამბო ბაზის გამოძებნას, რადგანაც გექნიკური მიზეზების გამო, ამ წიგნის აწყობა ლინოტიპზე შეუძლებელი იყო და მთლიანად ხელით უნდა აწყობილიყო;
- 4 საბეჭდი ქალაქის შოვნა. ეს ძალზე ძნელი იყო. მხოლოდ მოსკოვი ანაწილებდა მას. ჩვენი ენგურის ქალაქი მოსკოვში მიჰქონდათ და რესპუბლიკებზე იქნებდა ნაწილდებოდა.

საზოგადოება კორესპონდენციებით გამოხმაურა ამ საქმეს და ბატონ პავლეს აქტიური ცნებლობით ცეკამაც დაბეჭდვის უფლება მოგვცა. გამოიძებნა გამომცემლობა „ცოდნა“ (მაშინ გამომცემლობის დირექტორი იყო შალვა ბუაჩიძე), გამომცემლობამ რედაქტორობა მიანდო პავლე გუნიავას; გამოიძებნა წიგნის პალაგის სტამბა, რომელიც ხელით ააწყობდა ამ წიგნს. დაიწყო დამიანებული ფურცლების გადაწერა და ხელნაწერის მოწესრიგება, ზოგიერთი მასალის გასწორება, რასაც ჩვეული ენერგიით



აკეთებდნენ თამარ მაჭავარიანი და თამარ ღონღუა.

ქალაქის შოვნა საქართველოში არაფრით არ მოხერხდა. სხვა საშუალებები უნდა გამოგვეძებნა. 1962 წელს საქართველოში ჩაგარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბიბლიოთეკების მუშაკთა ღონისძიება. მოსკოვიდან ჩამოსულ ხელმძღვანელ მუშაკთა შორის იყო საკავშირო კულტურის სამინისტროს სახელმწიფო ინსპექტორი ირინა ვიქტორის ასული ბახმუცკაია (დღეს რუსეთის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დირექტორი). იგი სიმპათიით იყო განწყობილი საქართველოს მიმართ, ყოველთვის მხარს გვიჭერდა და გვეხმარებოდა. მას საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა საკავშირო კულტურის სამინისტროში და ალგვითქვა, რომ დაგვეხმარებოდა. ამასთან დაკავშირებით, დირექტორმა მიმავლინა საკავშირო ქალაქმომარაგების სამმართველოში. მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, რომ ჩვენ წლის ბოლოს მოგვემდინე ქალაქის რულონებზე ჩამონაჭრების სახით, რაც არ გვაკმაყოფილებდა, მივაკითხე ბახმუცკაიას და ავეხსენი მდგომარეობა. მას გაეცინა და მითხრა: სერგეი ალექსანდროვიჩი, ამაზე ნუ წუხართ. საბუთებში ჩამონაჭრები ჩაიწერება, რადგან სხვაგვარად უფლება არა გვაქვს, მაგრამ მთელ რულონებს გაგატანთ. ამ იმედით გავაფორმეთ სათანადო საბუთები და დავბრუნდი თბილისში.

მოახლოვდა წლის ბოლოც, ფული ჩავრიცხეთ, ქალაქი თვითონ ჩვენ უნდა ჩამოგვეგანა მოსკოვიდან. დირექტორმა მითხრა: ხომ იცი გამოთქმა: „ძალი ვინც მოკლა, იმან უნდა გადაათრიოს“ და ვითომ გულმოსულმა, ხუმრობანარევი ღიმილით დააყოლა: – შენი ბრალია ყველაფერი, რომ არ მოგეძებნა ის ხელნაწერები, ხომ გადავრჩებოდით ამდენ პრობლემებსა და უსიამოვნებებსო, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა და გულიანად გადაიხარხარა. წავედი მოსკოვში, მაგრამ ქალაქი მოსკოვიდან დიდი მანძილით დაშორებულ სოფ. ღომოდელოვოს საწყობიდან უნდა მიმეღო.

არაერთი დაბრკოლების გადალახვა მომიხდა გვირთის გრანსპორტირების საკითხის მოსაგვარებლად. გამოვაგზავნე ლეკუშა დირექტორთან. ოპერატიულად გადმორიცხეს ფული გრანსპორტირებისათვის. მეორე დღესვე წავედით ღომოდელოვოში, მაგრამ ღმობლობის გამო მანქანამ საწყობამდე მხოლოდ ასი მეტრის დაშორებით შეძლო მისვლა. საწყობის გამგე იყო ქალი. ვსთხოვე მას, რათა მომხმარებოდნენ და სამაგიეროდ გასამრჯელოს მიეცემდი, თან არყითაც გაუმასპინძლებოდი. კაცები სოფელში არ აღმოჩნდნენ, ქალებმა დააწყვეს ფიცრები თოვლზე და ასე ნელ-ნელა ჩავგვირთეთ მანქანაში 17 რულონი ქალაქი. მანქანა გამოვისტუმრე, მე კი მაგარებით წამოვედი.

სამწუხაროდ, მანქანის ჩამოსვლა დაგვიანდა. პავლე გრგვინავდა და დღეში ხუთჯერ მაინც მეკითხებოდა: სად არის მანქანაო. ბოლოს, 10 დღის შემდეგ ჩვენი მოლოდინი დასრულდა და ქალაქი ჩავიბარეთ.

წიგნის საერთო რედაქტორი თვით პავლე კანდელაკი იყო, პრაქტიკული გამოცემის ორგანიზაცია და კორექტორობა მე დამევალა. ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა მქონდა ქალბატონ თამარ მაჭავარიანთან. მასთან მუშაობა ჩემთვის დიდი სკოლა იყო. ვაკეთებდი მცირე მოცულობის ანაწყობების კორექტურას და გადავცემდი ქ-ნ თამარს, ის გულდასმით კითხულობდა და

საჭიროების შემთხვევაში ასწორებდა მას.

ქალბატონი თამარი მოთმინებით ეკიდებოდა სტამბისა თუ ზოგჯერ ჩემ მიერ დაშვებულ შეცდომებს. წიგნი ხელით იწყობოდა. დიდი რაოდენობით იყო საჭირო გეხილი ფრჩხილების გამოყენება, მაგრამ შესაგყვისი ლიგურები სტამბას არ ჰქონდა და მის მაგიერ მრგვალი ფრჩხილები ჩასვეს. ქალბატონი თამარი ამაზე ძალიან აღშფოთდა: – ნუთუ სტამბაში არ იციან, რომ გეხილ ფრჩხილებს სულ სხვა მნიშვნელობა აქვსო.

იგი უკმაყოფილო იყო იმიტაც, რომ წიგნი სამნაირ სხვადასხვა ხარისხის ქალაქში იბეჭდებოდა (ამ გომის სამყოფი ერთნაირი ქალაქი არ გვექონდა), მაგრამ ოღონდ წიგნი გამოცემულიყო და ამ ნაკლს შეურიგდა. თამარს გამოცემის ყოველი წერილმანი აინგურესებდა: შრიფტი, ყდა, ფორმატი, მუყაო და სხვა.

ასეთი წვალების, ბრძოლისა და დაძაბული შრომის შედეგად გამოიცა ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მესამე გომის პირველი ნაწილი, 500-მდე გვერდის მოცულობით, რომელიც შეიცავს 1886-92 წლების გაზეთ „ივერიას“, 1887 წლის გაზეთ „ცისკარს“ და 1890 წლის გაზეთ „თეატრს“.


აკინძვა ჯერ არ იყო დაწყებული, რომ დამიძახა დირექტორმა და დამავალა, ერთ კვირაში მიმეგანა მისთვის გამოცემის ერთი ცალი. ეს შეუძლებლად მეჩვენა: შეკვრებიდან უნდა გამოეღოთ თითო ფურცელი, გაეკეთებინათ ყდისათვის ფოლგის ანაბეჭდები, დაემზადებინათ ყდა და სხვა. მაგრამ ვიცოდი, რომ პავლე კანდელაკი თავის სიგყვას უკან არ წაიღებდა. დანაღვლიანებული წავედი სტამბაში, გავაცანი ჩემი მდგომარეობა სტამბის დირექტორს – ვანო კობიძეს, მას გაეცინა და მითხრა, ძალიან ცუდ დღეში ხარ და გულით მეცოდებო. მოუყარა თავი თანამშრომლებს, გააცნო მდგომარეობა და უთხრა, სერგოს უნდა დავეხმაროთო.

მართლაც, ერთი კვირის თავზე მომცეს გამზადებული ეგზემპლარი. შევეკანე დირექტორს, აიღო და ცივად მითხრა: – წადიო. გამიკვირდა, გულდაწყვეტილი ავედი ჩემს განყოფილებაში. 10 წუთში მირეკავს ბატონი პავლე და მეუბნება: ჩამობრძანდი ჩემთანო. სიგყვა „ჩამობრძანდი“ ისეთი გონით იყო ნათქვამი, დავრწმუნდი, ნაუცბათევად აკინძულ წიგნში რაღაც შეცდომა ნახა და ვაი ჩემი ბრალი – მეთქი.

შევედი დირექტორთან, მის მოღუშული, ვხედავ, წიგნი გვერდით უდევს მაგიდაზე. მეუბნება: – აიღეო, – ავიღე. – გადაშალე ! გადავშალე და ვკითხულობ: „ამს. პულუბაშვილს, თქვენი აქტიური დახმარებით გამოიცა ეს ნაშრომი, რისთვისაც გმადლობთ“. ხელს აწერს პავლე კანდელაკი. თვალებს არ დავუჯერე, შევხედე მას, სავარძელში გადაწოლილიყო და იცინოდა. მითხრა: – აბა, როგორ გეგონა, ხომ დაგაჯინე ცეცხლზეო. გამხნევებულმა შევეკადრე: ბატონო პავლე, რისთვის მომკალით, მეგონა, ცეკას მდივნისათვის გინდობათ წიგნის პირველი ეგზემპლარი – მეთქი. გაიციანა და მითხრა: – ვინც ამ წიგნის გამოცემაში ყველაზე დიდი როლი შეასრულა, პირველი ცალიც მას ეკუთვნისო.

35 წელი გავიდა. ამ წიგნს როგორც რელიქვიას, ისე ვინახავ, რადგანაც მასზე აღბეჭდილია ჩემი მუშაობის დამფასებელი ისეთი ორი პიროვნების სიგყვები, როგორებიც იყვნენ ქალბატონი თამარ მაჭავარიანი და პავლე კანდელაკი.

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები



- 11 იანვარს გაიმართა საქართველოს მთავრობის სხდომა. სხვა საკითხების გარდა, განხილულ იქნა საკითხი საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თ. ისაკაძისა და კულტურის მინისტრის ს. გოგიბერიძის მოხსენებებში გაანალიზებული იყო ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმის თანამედროვე მდგომარეობა. მთავრობის წევრთა საერთო აზრით, მდგომარეობა შეიძლება დახასიათდეს როგორც ძალიან მძიმე. სხდომაზე შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალია მიმდინარე წლის 1-ლ ივლისამდე შეიმუშაოს საქართველოში საბიბლიოთეკო სისტემის შენარჩუნებისა და განვითარების მრავალწლიანი პროგრამა.

- თებერვლის ბოლოს იუსტიციის მინისტრმა მ.სააკაშვილმა პრესკონფერენცია გამართა პატიმართა საბიბლიოთეკო მომსახურების საკითხებზე. მან მადლობა გადაუხადა ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, რომლებმაც წიგნები შესწირეს ციხეების ბიბლიოთეკებს. მით უფრო საგულისხმოა ეს, რომ აღნიშნული ბიბლიოთეკები მწვავედ განიცდიან ახალი წიგნების ნაკლებობას.

- 6 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ მოაწყო თბილისში მოქმედი უცხოური ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო ცენტრების წარმომადგენლებთან შეხვედრა – თათბირი, რომლის მიზანი იყო, საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობა გასცნობოდა უცხოელი კოლეგების საქმიანობას. შეხვედრა – თათბირზე მოწვეულნი იყვნენ: საფრანგეთის ალ. დიუმას სახელობის კულტურის ცენტრის, გოეთეს ინსტიტუტის, დიდი ბრიტანეთის საინფორმაციო ცენტრის, IREX – ის, ავსტრიული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ევროსაბჭოს საინფორმაციო ცენტრის, თბილისის საკრებულოს, სხვადასხვა უწყებათა ბიბლიოთეკების პასუხისმგებელი პირები და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციის შემადგენლობა. შეხვედრა – თათბირზე განსაკუთრებულად გაესვა ხაზი იმას, რომ უცხოური ბიბლიოთეკები და საინფორმაციო ცენტრები უმთავრესად საქართველოს მოსახლეობას ემსახურებიან და მათი მოღვაწეობის შესწავლა საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს.

- 7 მარტს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია შეხვედა ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებს. განხილულ იქნა ურთიერთკონტაქტების, პროფესიული დაოსტაგების, უცხოური გამოცდილების გაზიარებისათვის ხელშეწყობისა და სხვა საჭირობო საკითხები.

- საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური თვითშემოქმედებისა და კულტურულ – საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს ჩამოერთვა კულტურის სამინისტროს უწყების ბიბლიოთეკებზე მედამხედველობის ფუნქციები, რომელიც გადაეცა ახლად ჩამოყალიბებულ წიგნისა და ბიბლიოთეკების დეპარტამენტს.

(გამოფენა ცისფერ გალერეაში)

„ცანი უთხრობენ დიდებსა ღმერთისასა და ქმნულთა ხელთა მისთა“

ფსალმუნი 18

მიუხედავად მეტად რთული ეკონომიკური პირობებისა, ქალაქი მაინც სისხლსავსე და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს. სხვა თუ არაფრის, დაინტერესებულ კაცს აქ სულიერების საზრდოს მიგნება მართლაც რომ არ გაუჭირდება.




სწორედ ამ იმედით იყო, რომ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ვეწვიე „ცისფერ გალერეას“ და დაავთვალაიერე ახალგაზრდა მხატვრის ელენე გამგონიძის პირველი პერსონალური გამოფენა (წარმოდგენილი იყო 70-მდე ნამუშევარი)

მხატვრის პროფესიონალიზმმა ჩემი ყურადღება მიიპყრო და მისი პიროვნებით დამაინტერესა. აღმოჩნდა, რომ ელენეში მხატვრობის ნიჭმა ბავშობიდან, კერძოდ 3 წლის ასაკიდან იწყო წარმოჩენა, შემდეგ 11-დან 16 წლამდე იგი ცნობილი მხატვარ-პედაგოგის გია გუგუშვილის სამხატვრო სკულაში სწავლობდა. ამ პერიოდს მხატვარი დიდი სითრთოი იხსენებს. შემდგომ – იაკობ ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელი, სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი და იქვე ასპირანტურა. აი, ის გზა, რომელიც გაიარა მხატვარმა თავისი ნიჭისა და უნარის დასახვეწად, რის შემდეგაც წარდგა იგი საზოგადოების წინაშე.

გულდასმით ვათვალიერებ მხატვარ – შემოქმედის გილოებს და ვგრძნობ, როგორ შემოდის ჩემში მხატვრის საყვარელი ყვითელი ფერი, რომელსაც ის სიცოცხლის, განახლებისა და ამბავების სიმბოლოდ თვლის. საინტერესოა აგრეთვე ზოგიერთ სურათში მომეგებულად გამოყენებული თეთრი – სისპეგაკის (სულიწმინდის სახე) და შავი ფერები, რომლებიც ამბავებს სიუჟეტის გამომსახველობას. მხატვარი იყენებს აგრეთვე ისამინის ფერს – „საოცრად უყვარს დედას, ამიტომაც ავირჩიე ეს ფერი ყვავილების ხაგვის დროსო“, – ამბობს მხატვარი.

ელენე გამგონიძის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს (მხატვრის ფუნჯის დახვეწილობასთან ერთად) რელიგიური ელფერი დაჰკრავს, ამას ის ყოველგვარი დაგეგმვის გარეშე აკეთებს. რელიგიური თემები „თავისთავად შემოდის ჩემში და ეს აუხსენელიაო“. აღბათ ეს ღვთის მადლია, ხელოვანის არსში გამუდმებით სულიწმინდა გრიალებს. თუ ეს ასე არ არის, თუ ხელოვანს ღმერთი და მისი ძალა არ აქმნენიებს შედეგს, მაშინ ის ქმნილება წარმავალია.

რელიგიურ თემასთან არის დაკავშირებული ქმნილებები: „გრაალის თასი“, „საიდუმლო სერობა“, „ქამი ნგრევისა“, „ქამი შემეცნებისა“, „ქამი შენებისა“



გამგონიძის სადიპლომო ნამუშევარია. სურათი ჯვარცმის კომპოზიციით და ხელების მტკვენებით არის გადაწყვეტილი, რითაც ეს ეპიზოდი ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. სწორედ ამ ეპიზოდს უძღვნა მხატვარმა ეს სურათი. აქვეა ნაჩვენები ჯვარცმა, როცა იესოსთან ახლოს ვხვდებით მარიამ მაგდალინელს და ღვთისმშობელს. თვით ნახაგში განფენილია ყვითელი ფერი, როგორც განახლების, ღვთაებრივის მიმანიშნებელი, და შავი, როგორც გრაგიზმის სიმბოლო.

რელიგიური თემაა წარმოჩენილი სურათების კომპლექსში : „ქამი ნგრევისა“, „ქამი შემეცნებისა“ და „ქამი შენებისა“.

„ქამი ნგრევისა“ – ეს სურათიც ხელების კომპოზიციით გადმოგვცემს

და სხვ. ამავე დროს საინტერესო სანახავია თავისუფალ თემაზე შექმნილი მისი გილოები. „ყოველ თემაზე შემოიღია მუშაობა“, – ამბობს მხატვარი და გამოფენაც ამას აღასტურებს. იგი მნახველს ერთ ჟანრს არ ახვევს თავს, მისი შემოქმედება მრავალფეროვანია, თუმცა არ შეიძლება მნახველს თვალში არ მოხვდეს მხატვრის აქცენტირება ხელის მტკვენებსა და მზერაზე. ამ ხერხით

სათქმელს: ვხვდებით ადამიანებს, რომელთაც სძენა დახშობიათ. აღარ ესმით ხმა მოყვასისა. ასევე ფიგურირებს ნახაგში ადამის ვაშლი, რომლისგანაც მომდინარეობს უდიდესი ცოდვა. სურათში ჩანს დახურული წიგნი, რომელსაც წამკითხველი დაჰკარგვია, მაგრამ მაინც ელის გადამშლელს. ნაჩვენებია დაშრეტილი ღვთიური სანთელი, რომელსაც სიწმინდე სჭირდება, რომ კვლავ აინთოს და ბოროტ ძალთა მიერ დაშრეტილი უკუნი გაანათოს. სურათი ყვითელ ფერშია გადაწყვეტილი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადამიანებს ვერ შეუცვნიათ საკუთარი ცოდვები. ისინი არსებობენ, მაგრამ ვერ ახერხებენ ცხოვრებას.

სურათში „ქამი შემეცნებისა“ წიგნი უკვე გადაშლილია, ადამიანებს გონების თვალი ახილვიათ, შეუცვნიათ ცოდვები და ღმერთს შენდობას სთხოვენ, ღვთიური სანთელიც ანთებულია. აქ ამკარადაა სიმბოლიზებული წიგნიერების ძალა. ფერებიც მუქდება სურათზე, ე.ი. რაც უფრო მეტად შეიცნობ საკუთარ თავს, მით უფრო მუქი ფიქრებით იმოსები, მით უფრო ცდილობ დაიბრუნო ღვთის მიერ შექმნილი პირვანდელი სახე.

მესამე სურათში – „ქამი შემეცნებისა“ – ამკარად ჩანს გზა ხსნისა, გზა ღმერთთან მიახლებისა. შემოქმედმა ის ცოდვის ვაშლი დაუბრუნა უფალს და გვიხსნა საგანჯველისაგან. აქ უკვე მხატვარი უხვად იყენებს ნათელ ფერებს.



აღბათ ყველაზე უფრო წარმოჩნდება შემოქმედის სათქმელი, სულიერება და პიროვნება. ხელების კომპოზიციით შექმნილია სურათები: „გზა შემეცნებისა“, „საიდუმლო სერობა“ და სხვ. „საიდუმლო სერობა“ – ეს სურათი ელენე

მარიგა კეკელიძე

კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ლიტერატურული დაოსტატების 1-ლი კურსის სტუდენტი



ორი მნიშვნელოვანი ფაქტი ერთდროულად

ქართულ საბიბლიოთეკო აზროვნებას ბოლო 5-6 წლის მანძილზე აშკარა მოძრაობა და გამოცოცხლება დაეცყო. ამის დადასტურება იყო მიმდინარე წლის 6 აპრილს გამართული პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში.

პირველი ქართული პროფესიული ჟურნალის „საქართველოს ბიბლიოთეკისა“ და პროფესიული გაერთიანების „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის“ პრეზენტაციას დაესწრნენ საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამ დარგისა და ქართული კულტურის გადარჩენითა და განვითარებით დაინტერესებული პირები, საკოორდინაციო საბჭოს წევრები, უცხოეთის საელჩოების წარმომადგენლები.

პრეზენტაცია გახსნა და დამსწრეთ ეს მოვლენა მიულოცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა.



ჟურნალის დაარსების სიძნელეებსა და მის დანიშნულებაზე ილაპარაკა და ჟურნალის თანამდგომთ მადლობა გადაუხადა „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარმა რედაქტორმა ალექსანდრე ლორიამ.

საბიბლიოთეკო დარგის პროფესიული ინფორმაციით უზრუნველყოფის საქმეში ჟურნალის როლის შესახებ დამსწრე საზოგადოებას ელაპარაკა ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი და მთავარი რედაქტორის მოადგილე გურამ თაყნიაშვილი.

პირველი ნომრის მომზადებაში უშურველად გაისარჯა და დიდი ამაგი დასდო ჟურნალის რედაქციის სამეცნიერო-მეთოდური და კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორმა, თბილისის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექტორმა გულნარა სგურუამ.

ჟურნალის, როგორც ინდივიდუალური მეწარმის დაფუძნება უზრუნველყო მისმა კომერციულმა დირექტორმა, თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის საინფორმაციო განყოფილების გამგემ მზია რამზაძემ.

სასიგნალო ეგზემპლარის კორექტურა გააკეთა და პირველი ნომრის გექსტის გამართვას დიდი ამაგი დასდო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეთოდისგმა ნანა ქავთარაძემ.

ჟურნალი დააკაბადონა ეროვნული ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილების თანამშრომელმა გოგა დარჩაშვილმა

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა მისმა პრეზიდენტმა, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორის მოადგილემ ირაკლი ღარიბაშვილმა.

ჟურნალისა და ასოციაციის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორი, ინფორმაციზაციის სახელმწიფო





დეპარტამენტის უფროსი დავით თარხან-მოურავი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ა.წერეთლის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი გენადი მახარაძე, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გულნარა წიკლაური, თბილისისა და რუსთავის საქალაქო ბიბლიოთეკების წარმომადგენლები.

ჟურნალისა და ასოციაციის საქმიანობისადმი ღიმილიანი ინტერესი გამოიჩინეს თბილისში მოქმედმა უცხოეთის საელჩოებისა და ბიბლიოთეკების წარმომადგენლებმა. აშშ-ის საელჩოდან პრეზენტაციას ესწრებოდნენ : ირინა ჭანგურიშვილი, ნინო ჩხენკელი, დალი ხომერიკი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საინფორმაციო წყაროების რეგიონალური

აგაშე მარჯ მელონი; თბილისში მოქმედი გოეთეს ინსტიტუტიდან მისი ბიბლიოთეკის გამგე სიმონე ბერგრაძი და ამავე ინსტიტუტის თანამშრომელი ეკა წერეთელი; IREX – დან პრეზენტაციას ესწრებოდნენ: რიჩარდ გრეისი, სალომე მუჯირი, ვახტანგ კონტრიძე; ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოდან“: ელენე ნაკაშიძე, სანდრო ქარუმიძე, ალ.დიუმას სახელობის ფრანგული ცენტრის დირექტორი ალენ პორი და ცენტრის პასუხისმგებელი თამარ



ხოსრუაშვილი.

პრეზენტაციას დაესწრო და ჟურნალს თანადგომა აღუთქვა მწერალმა ნანა კანდელაკმა.

პრეზენტაციამ ცხადყო, რომ საბიბლიოთეკო საქმის შემდგომი განვითარებისა და ბიბლიოთეკართა ინტერესების დაცვისათვის საჭიროა მთელი დარგის პროფესიული ერთიანობა, თანადგომა, პრობლემათა წარმოჩენა და ბრძოლა მათი დაძლევისათვის.





ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია

ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია (ისა) შეიქმნა 1997 წლის 24 ოქტომბერს. იგი წარმოადგენს არაკომერციულ, ნებაყოფლობით, დამოუკიდებელ არასამთავრობო საზოგადოებას. მისი ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბდა საქართველოდან აშშ-ში სასწავლებლად ნამყოფი სხვადასხვა დარგის ახალგაზრდა სპეციალისტებისაგან. მათ სურთ, თავისი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ კოლეგებს, რათა ხელი შეუწყონ საქართველოში საინფორმაციო – საბიბლიოთეკო დარგში არსებული პრობლემების გადაჭრას.

ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის მიზანია შეასწავლოს თბილისის და საქართველოს რეგიონების ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო დაწესებულებების თანამშრომლებს თანამედროვე საინფორმაციო – საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები, გააცნოს მათ ამერიკის შეერთებული შტატების ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო სამსახურების მუშაობის სტანდარტები, პრაქტიკა და გამოცდილება, ხელი შეუწყოს აშშ-ს ბიბლიოთეკარებთან პროფესიული კონტაქტების დამყარებაში და მათთან ინფორმაციის გაცვლაში.

ცნობილი ამერიკელი და ევროპელი მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებმაც ქართველ კოლეგებს გაუზიარეს პროფესიონალური გამოცდილება.

ისა – ს გამოცემული აქვს შემდეგი მასალები:

- სამხრეთ კავკასიის პირველი რეგიონალური საბიბლიოთეკო კონფერენცია. „თბილისი – 98“ – ის მასალები ინგლისურ-რუსულ ენებზე;
- სამხრეთ კავკასიის მეორე რეგიონალური საბიბლიოთეკო კონფერენცია. „თბილისი – 99“ – ის მასალები ინგლისურ-რუსულ ენებზე;
- დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის – ქართულ ენაზე;
- დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის – რუსულ ენაზე.

1999 წლიდან ისა არის საბიბლიოთეკო ასოციაციების და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFLA) ეროვნული წევრი.

ისა – მ 1999 წლიდან დაიწყო ბიბლიოთეკარების და საინფორმაციო დარგის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების უფასო სამთვიანი კურსების ჩატარება, რაშიც მას მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევენ ამერიკელი კოლეგები, საინფორმაციო დარგის ცნობილი პროფესორ – მასწავლებლები. კურსებზე მომზადდა საქართველოს ხუთი ბიბლიოთეკის 50 ბიბლიოთეკარი. 2000 წლის მარტში ისა-მ თბილისში ჩაატარა ორკვირიანი რეგიონალური კურსები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართველმა, ისე სომეხმა და აზერბაიჯანელმა ლექტორებმა, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა. კურსებზე მომზადდა 21 ბიბლიოთეკარი – 7-7 თითოეული მხრიდან. 2000 წლის სექტემბერში ისა-მ განაახლა სამთვიანი კურსები. უკვე მომზადდა 16 ბიბლიოთეკარი საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებიდან, მათ შორის რეგიონიდანაც. ამჟამად კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გრძელდება მუშაობა. ისა – ს დაგეგმილი აქვს კიდევ რამდენიმე სამთვიანი კურსის ჩატარება. ამ კურსებზე მომზადდება კიდევ 50-მდე ბიბლიოთეკარი.

კურსებზე იკითხება ლექციები შემდეგ თემებზე:

- ინტელექტუალური თავისუფლება;
- ფონდების მოძიება და გრანტის მოსაპოვებელი განაცხადის შედგენა;
- საბიბლიოთეკო მენეჯმენტი;
- კატალოგიზაცია და კლასიფიკაცია;
- საცნობარო – საინფორმაციო სამსახური;
- საწყისი კომპიუტერული კურსი;
- ქსელური საინფორმაციო მომსახურება. (საზგასმული თემების მოსმენა აუცილებელია).

ისა-ს მიერ განხორციელებული პროექტები:

- „გლობალური საინფორმაციო სამყარო და საქართველოს ბიბლიოთეკები“. სპონსორები: EURASIA, USIS, OSGF, OSI NLP;
- საკონტაქტო პროექტი: „სამხრეთ კავკასიის ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების რეგიონალური ცენტრი“. სპონსორი: EURASIA;
- თანამშრომლობის პროექტი: „სამხრეთ კავკასიის ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების რეგიონალური ცენტრი“. სპონსორი: EURASIA.

ამჟამად ისა ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

- „სამხრეთ კავკასიის ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების რეგიონალური ცენტრი – კავკასია“. სპონსორი: OSI NLP;
- „საერთაშორისო საბიბლიოთეკო სტანდარტები და ქართული ბიბლიოთეკები“ სპონსორი: USIS.

ისა – მ ჩაატარა ორი საერთაშორისო კონფერენცია:

1. 1998 წ. 2-5 ივნისი
სამხრეთ კავკასიის პირველი რეგიონალური საბიბლიოთეკო კონფერენცია, თბილისი – 98 – “ ბიბლიოთეკები – ინფორმაციის ხელმისაწვდომობა”;
2. 1999 წ. 19-21 აპრილი
სამხრეთ კავკასიის მეორე რეგიონალური საბიბლიოთეკო კონფერენცია, თბილისი – 99 – „საბიბლიოთეკო ასოციაციები – რეგიონალური თანამშრომლობა“.

კონფერენციებზე მოწვეულნი იყვნენ საბიბლიოთეკო – საინფორმაციო დარგში მომუშავე



გავეცნოთ კატალოგებს

არიან მკითხველები, რომლებიც არ იცნობენ საბიბლიოთეკო კატალოგებს, არ იციან, როგორ მოიძიონ სასურველი წიგნი, როგორ გამოიყენონ ბიბლიოთეკაში არსებული საძიებო საშუალებები. ჩვენი სურვილია, მივაწოდოთ მათ თუნდაც მცირე ინფორმაცია ბიბლიოთეკის კატალოგებსა და მათი დანიშნულების შესახებ. გვინდა დავიწყოთ იმით, რომ მათ ჯერჯერობით კატალოგების შესახებ პატარა ისტორიული ექსკურსი შევთავაზოთ.

დღევანდელმა მკითხველმა კარგად იცის, რომ „ბიბლიოთეკა“ ბერძნული სიტყვაა და იგი წიგნის საცავს ნიშნავს, მაგრამ ბიბლიოთეკა მარგო წიგნის საცავი როდია. წიგნის გარდა იქ ინახება სხვადასხვა სახის დოკუმენტები (ჟურნალ-გამეტები, რუქები, ნოტები, მიკროფირები, ვიდეო და აუდიო-მასალები ...). ერთი სიტყვით, ბიბლიოთეკა კაცობრიობის სულიერი სიმდიდრის საცავს წარმოადგენს.

ბიბლიოთეკის მუშაობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას საბიბლიოთეკო კატალოგები ასრულებენ. კარგად შედგენილი კატალოგი სრულყოფილად წარმოგიჩინებს ბიბლიოთეკის ფონდს.

„კატალოგი“ (katalogos) ბერძნული სიტყვაა და სიას, ნუსხას ნიშნავს. საბიბლიოთეკო კატალოგი ბიბლიოთეკაში დაცული დოკუმენტების „სიაა“. იგი აკავშირებს ერთმანეთთან მკითხველსა და ბიბლიოთეკაში დაცულ ფონდს. ამიტომაც მას „შუამავალს“ უწოდებენ.

ბიბლიოთეკის სრულფასოვანი მუშაობა შეუძლებელია კატალოგის გარეშე. ბიბლიოთეკის ყველა პროცესში ვლინდება მისი საჭიროება. კატალოგებთან მუშაობა და კატალოგებით ხელმძღვანელობა ბიბლიოთეკის ნებისმიერი განყოფილების მოვალეობაა. მკითხველისათვის იგი არა მარგო ძიების, არამედ ბიბლიოთეკის ფონდის დამოუკიდებლად გაცნობის საშუალებაა.

საბიბლიოთეკო კატალოგებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ისტორია საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. საბიბლიოთეკო სისტემაში სხვადასხვა სახის კატალოგებს ვხვდებით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარგო განლაგების წესის, არამედ დროის, დანიშნულების, ფორმის და სხვადასხვა თვალსაზრისის მიხედვით.

კატალოგის მრავალი სახე არსებობს, მაგრამ ძირითადად მაინც გამოიყოფა სამი სახის კატალოგი : 1. ანბანური, 2. სისტემატური, 3. საგნობრივი.

ანბანურ კატალოგში დოკუმენტების აღწერილობანი განლაგებულია ავტორთა გვარის ან სახელწოდებათა ანბანის მიხედვით და მკითხველს

პასუხობს კითხვებზე : არის თუ არა ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ ავტორის რომელიმე წიგნი, არის თუ არა ამა და ამ სათაურის წიგნი, არის თუ არა რომელიმე პიროვნების შესახებ რამე გამოცემული.

ანბანური კატალოგი შორეულ წარსულში შეიქმნა და მაშინ სისტემატური კატალოგის საძიებელს წარმოადგენდა. ასეთი საძიებლები დღემდე შემორჩენილი. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნის მოღვაწე ფლორიანე გრეფლერი ბიბლიოთეკის ხუთი სახის კატალოგს შორის უპირატესობას ანბანურ კატალოგს ანიჭებს. ასევე იქცევა XVII საუკუნეში მოღვაწე ეიურისის პროფესორი იოჰან ჰენრი ჰოგინგენი. ერთი სიტყვით, XVI – XVII საუკუნეებიდან ანბანური კატალოგი უკვე სისტემატური კატალოგისაგან დამოუკიდებლად არსებობს და ფართო გავრცელებას პოულობს.

ანბანური კატალოგის შემდეგ მნიშვნელოვანია სისტემატური კატალოგი. ამ კატალოგში აღწერილობანი განლაგებულია ცოდნის დარგების მიხედვით ანუ მეცნიერებათა კლასიფიკაციის გარკვეული სისტემის მიხედვით. ამ კატალოგის საშუალებით მკითხველს შეუძლია საბიბლიოთეკო ფონდი შინაარსის მიხედვით გაიხსნოს. მეცნიერებათა ერთი დარგის, ერთი საკითხის შესახებ წიგნების აღწერილობები ერთად დალაგდება. სისტემატურ კატალოგს თან ახლავს ანბანურ-საგნობრივი საძიებელი, რომელიც ეხმარება მომხმარებელს ამ სახის კატალოგის სწორად გამოყენებაში.

კატალოგებს შორის სისტემატური კატალოგი ყველაზე ძველი სახეა. იგი წერილობითი ძეგლების საცავთან ერთად შეიქმნა. XIX – XX საუკუნეების არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მთელი რიგი ბიბლიოთეკები, რომელთაც შედგენილი ჰქონდათ სისტემატური კატალოგები. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVI – XV საუკუნეებში ცნობილია ამენოტეპ III – ისა და რამზეს III- ის ბიბლიოთეკები. არსებობს იმის საფუძველი, რომ ამ ბიბლიოთეკებს შედგენილი ჰქონდათ სისტემატური კატალოგები, ფონდებიც გარკვეული სისტემით ჰქონდათ განლაგებული. სამწუხაროდ, ამ სისტემებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ყველაზე სრული ცნობები აშურ-ბანიჰალის ბიბლიოთეკის შესახებ მოგვეპოვება (აღმოჩენილია 1849-55 წწ.)

ბიბლიოთეკაში დაცული იყო დაახლოებით 30 000 თიხის ტაბულისაგან შემდგარი ადრინდელი კულტურის შესანიშნავი ძეგლები. დონ კლარკის მოწმობით, ეს თიხის ტაბულები სერიებად იყო განლაგებული შემდეგი განყოფილებების მიხედვით : ისტორია, სამართალი, მუსიკა მეცნიერებანი, მაგია, ღოგმა, ლეგენდები. ჩანს, რომ აშურ-ბანიჰალის ბიბლიოთეკის ფონდები





სისტემატიკებული იყო.

ბანგრძლივი პერიოდის მანძილზე ბიბლიოთეკები მხოლოდ სისტემატიკური კატალოგით მუშაობდნენ, რაც თავისთავად მიგვიტოვებს ამ კატალოგის მნიშვნელობაზე.

მესამე სახის კატალოგი – საგნობრივი, შედარებით გვიან შეიქმნა. იგი წარმატებით ფუნქციონირებს დღევანდელ ბიბლიოთეკებში. მასში წიგნების აღწერილობანი განლაგებულია მასალის შინაარსის ანუ საგნის გამომხატველი სიტყვის ანბანის მიხედვით. წიგნის საგნის ანუ შინაარსის გამომხატველ სიტყვას საგნობრივი რუბრიკა ეწოდება. საგნობრივ კატალოგს ხშირად ლექსიკონურ კატალოგსაც უწოდებენ, რადგან მასში საგნები ანბანურად არის განლაგებული, მაგრამ ლექსიკონში მოცემულია საგნების განმარტება, ხოლო საგნობრივ კატალოგში – თითოეულ საგანზე ლიგერატურის დასახელება.

პირველ საგნობრივ კატალოგად ცნობილია ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარის აბაგის მიერ შედგენილი და 1859 წელს გამოცემული კატალოგი სახელწოდებით „Alphabetical classed catalogue“. ეს კატალოგი არსებითად თემატიკურ-საგნობრივი კატალოგია. აქ მოცემული იყო საგნობრივი რუბრიკების სისტემატიკის სერიოზული ცდა, თუმცა თეორიული მოსაზრებანი ამგვარი კატალოგის შექმნის შესახებ გაცილებით ადრე იყო გამოთქმული.

XVI – XVII საუკუნეებში კატალოგრაფიული წესები უავგორო ნაწარმოებთა აღწერილობის საწყისად სათაურის პირველ სიტყვას კი არ მიიჩნევდა, არამედ ე.წ. „მთავარ“ სიტყვას. მთავარ სიტყვად კი მიჩნეული იყო სახელობით ბრუნვაში მდგარი პირველი არსებითი სახელი. მალევე შეამჩნიეს, რომ ამავე კატალოგში ერთ საგანზე თავს იყრიდა უავგორო ნაწარმოებების აღწერილობანი. შეამჩნიეს ისიც, რომ სხვადასხვა წიგნის სათაურებში ერთი და იგივე საგანი სხვადასხვაგვარად იყო მოცემული, რის გამოც კატალოგში ისინი სხვადასხვა სიტყვის ქვეშ სხვადასხვა ადგილზე ხვდებოდნენ. ამის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ „მთავარი“ სიტყვა სათაურიდან კი არ უნდა აეღოთ, არამედ წიგნის შინაარსიდან. სწორედ ამან დაუდო საფუძველი საგნობრივი კატალოგის შექმნას. საგნობრივი კატალოგი წარმოადგენს ვიწრო ცნობარს, მას მკითხველი მიმართავს მაშინ, როდესაც სწრაფად უნდა მიიღოს ინფორმაცია რაიმე ვიწრო საკითხზე. სწორედ ეს განასხვავებს მას სისტემატიკური კატალოგისაგან, რომელსაც მკითხველი მიმართავს მაშინ, როცა მას სურს გარკვეული დარგის ლიგერატურის სრული მიმოხილვა, ანდა ლიგერატურა მის მოსაზღვრე საკითხებზეც აინტერესებს.

არსებობს რეალური და ნომინალური კატალოგები. კატალოგს, სადაც წიგნთა აღწერილობანი შინაარსის მიხედვითაა განლაგებული – რეალური კატალოგი ეწოდება (res-ლათინური სიტყვაა და ნიშნავს არსს,

საგანს). სისტემატიკური და საგნობრივი კატალოგები რეალური კატალოგის სახეებია. ანბანურ კატალოგს კი ნომინალურ კატალოგს უწოდებენ (nomen – სახელი), რადგან წიგნთა აღწერილობანი ავგოროთა დასახელების ან გვარების ანბანის მიხედვით არის განლაგებული.

საბიბლიოთეკო კატალოგები არის აუცილებელი აგრძობი ბიბლიოთეკის მუშაობისათვის. კატალოგის შედგენა-განახლება და დანიშნულებაზე პასუხს ბიბლიოთეკარ-კატალოგისტი აგებს. კატალოგისგისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, წესრიგში იყოს კატალოგები და ასწავლოს მკითხველს მათი გამოყენება. კატალოგთან მუშაობა საკმაოდ რთული პროცესია, ალბათ ამაში დამეთანხმებიან ის ბიბლიოთეკარები, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ამ სამუშაოსთან.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საბიბლიოთეკო ცხოვრებაში დიდი ძვრები მოხდა. ბიბლიოთეკის კომპიუტერიზაციამ საგანგებო საკატალოგო ყუთში ჩალაგებული ხელნაწერი (ან ნაბეჭდი) კატალოგები პროგრამებით აწყობილმა ელექტრონულმა კატალოგმა შეცვალა. მკითხველს ამომწურავი ინფორმაციის გაცილებით სწრაფად მიღების საშუალება მიეცა. ამ მხრივ საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის მდგომარეობა საგრძნობლად მოიკოჭლებს, მაგრამ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება თანდათან იხერგება. ბიბლიოთეკარები ვეშაბდებით ახალ ტექნიკურ სიახლეებთან შესახვედრად, მაგრამ გრადიციული საკატალოგო სისტემებით მომასხურება ჯერ-ჯერობით ძალაში რჩება.


ლიგერატურა:

1. ლორთქიფანიძე ნ. ბიბლიოთეკების კატალოგების ორგანიზაცია. – თბ.: ცოლნა, 1961
2. ლორთქიფანიძე ნ. საგნობრივი კატალოგი. – თბ.: საქ.სსრ.მეცნ. აკად.ცენტრ. სამეც. ბიბ-კა, 1959
3. ოსაძე ე. საბიბლიოთეკო კატალოგები. – თბ.: ქალდეა, 1995
4. Библиотечные каталоги. – М.: Книга, 1977
5. Фирсов Г. Книгописание и организация алфавитного каталога. – М.: Книга, 1971

თამარ ბუაღაძე

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმ. პედ. უნგ.-ის. ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი





ბევრის ავტოხი და ხედაქსოხი
დავით გიგინეიშვილი

DVD & CD კინო და მუსიკა



რეჟისორი - ჯეს ჯრჯერი, სცენარისტი - ჰაიმონ გრიი, ოპერაცორი - ჰაიერ რეინგი, მონტაჟი - ჰაიერ რეინგი, მხატვარი - ბრუნ სონს მილოერი, მუსიკა - მიხონ რანინი, პროდიუსერები - სონტ ჯაქონა, სონს მილოერი, ყოლოცერ შოფერი რა მარინა მარკონა.
დისტრიბუტორი: Miramax (US), 122 წყით.

“გულის მუსიკა” - ‘Music of the Heart’ (1999)

ამერიკულ კინოში გასწორებული პიროვნება უდავოდ ამ ფილმის გიგანტის შემდეგ მოემბალება “სამინებებათ” (horror) ჟანრის სურათის მორიგ ახალ ინტერპრეტაციასთან შესახვედრად, მით უფრო, რომ ფილმი შექმნილია ამ ჟანრის ერთ-ერთი ვარსკვლავის - ვეს კრავენის მიერ (ამ ფილმის წინ კრავენს გადაღებული აქვს “კივილი-1”/“Scream” (1996), “კივილი-2”/“Scream-2” (1997), და უკვე 2000 წელს “კივილი-3”/“Scream-3”!!!). მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა.

ისტორია ქმარმიტოვებული, ორი შვილის დედისა, რომელიც იძულებულია მუსიკის პედაგოგის სამუშაო ადგილი ეძებოს სკოლაში, იქცა ნამდვილ დრამატულ პოემად. ფილმს საფუძვლად დაედო ნამდვილი ისტორია: მევიოლინე ქალი, რომელიც გასპარი, 80-იან წლებში მუშაობას იწყებს აღმოსავლეთ პარლემის სკოლაში და მალე მოიპოვებს არნახულ სიყვარულსა და ავტორიტეტს, როგორც ბავშვებში, ისე უფროსებში. თუმცა არა უბრძოლველად. მისი თავდაუზოგავი შემართება და რწმენა, რომ მუსიკა ხელს უწყობს ადამიანს “სწორად იღვეს” ცხოვრებაში: არა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით (განის სწორი დაჭერა ეოლინოსთან), არამედ სულიერი სიმხნევისა და მალაღი სტანდარტებისადმი ღვალით, არნახულ ნაყოფს გამოიღებს. 10 წლის განმავლობაში მევიოლინე კლასში ჩასაწერად იმდენი მსურველი აღმოჩნდება, რომ რომელიც უკვე კონკურსაც მართავს.

ვეს კრავენი დასაწყისში მელიორამატულ კლიშეებსაც

იყენებს: რომელიც დედა - ასუნგა (კლორის ლინჩანი) ცდილობს დაიცვას ქალიშვილი ცხოვრებაში შემდგომი შეცდომებისაგან; სკოლის მეგობარი ბრაიან სინკლერი (აიდან ქვინი) ვერა და ვერ თანხმდება მისი მუღმივი ცხოვრების გეგმურის როლზე; უფროსი ვაჟი ლექსი, რომელიც მძიმედ განიცდის “მამის” არყოფნას, დედას აღანაშაულებს. მაგრამ სიუჟეტი და რეჟისორული გადაწყვეტა იცვლება - აქცენტი სწორად და ოსტატურად გადადის რომელიც უღვევლ მინაგან ძალებზე (ინტიმური ცხოვრების უიღბლო მცდელობით დაგვირგვინების სუბლიმაცია?). ამ ძალებით იგი ახალ ცხოვრებას აძლევს როგორც თავის მოსწავლეებს, ისე მუსიკასაც. და ეს გარკვეულ მსხვერპლს ითხოვს - დენის რაუმი (ჯოშ პეის), რომელსაც რომელიც ბიჭების ხელშეწყობით გაიცნობს, საშუალოდ რჩება “კანდიდატის” როლში.

ფილმის კულმინაციად იქცევა საქველმოქმედო კონცერტი “კარნეგი ჰოლში”, რომელიც საშუალებას მისცემდა სკოლას, გაეგრძელებინა კონგრატე რომელიც თავის ვინაიდან განათლების სამინისტრომ რომელიც თავის ფისკალური შემცირების სიაში მოაქცია. ამ აქციაში აქტიურად ებმება სკოლის დირექტორი ჯანეტ უილიამსი (ანჯელა ბასეტი) და ცნობილი ფოტორეპორტორი ღორთუა, რომელიც ჩაბაბს კონცერტის ორგანიზებაში თავის ქმარს - სახელგანთქმულ “გუარნერი კვარტეტის” მევიოლინე არნოლდ შგინზარდს. ეს უკანასკნელი კონცერტში მონაწილეობისათვის მოიმიდავს ისეთ ავტორიტეტებს, როგორიცაა ისაკ სტერნი, იცხაკ პერელმანი და მარკო კონორი (ფილმში მუსიკოსები თავად ანსახიერებენ თავის თავს). გრიუფი სრულია.

მერილ სტრაიპის დრამატულმა ოსტატობამ თავისი დალი დაასვა გმირის სახეს. მას არ მოეთხოვება მევიოლინეს დახვეწილი გამოცდილება (რაც მკაფიოდ ჩანს ფილმში), მაგრამ იგი პლასტიკურად და სრულყოფილად ეუფლება თავისი გმირის ვნებებს და ისეთ ჩარჩოებში ხატავს, რომ სრული სიმპათიით განმსჭვალავს როგორც მაყურებელს, ისე მის მოსწავლეებს.

ჩეჩილია ბარგოლი <ვივალდის ალბომი> [Cecilia Bartoli - The Vivaldi Album]



1. Dorilla in Tempe: Dell' aura al sussurrar;
 2. Griselda: Dopo un'orrida procella;
 3. Foa 28: Di due rai languire costante;
 4. L'Orlando finto pazzo: Qual Favellar...Ander, voler, grider;
 5. Foa 28: Zeffiretti, che sussurrate;
 6. La fida ninfia: Alma opressa;
 7. Dite, ohim;
 8. Giustino: Sventurata navicella;
 9. Sorte Che M'Inwitasti...No nel petto un cor si forte;
 10. L'Olimpiade: Tra le follie...Siam navi;
 11. Farnace: Gelido in ogni vena;
 12. Bajazet (Il Tamerlano): Anch' il mar par che sommerga;
 13. Teuzzone: Di trombe guerriere
- ორიგინალი „Il Giardino Armonico“. დისტრიბუტორი: ჯოჯონი.
DECCA 466 569-2. 67 წყით.
შესრულებს: 10 სასწიერის სარინი: 95

ჩეჩილია ბარგოლის ეს ბოლო ალბომი ჭეშმარიტად ამ ნიჭიერი მომღერლის შემოქმედებითი გმის კიდევ ერთ მწვერვალს წარმოადგენს. შესაძლოა მკითხველმა გაიკვიროს - ამ ბოლო ათწლეულში მან ხომ აუარებული რაოდენობის სოლო ალბომები ჩაწერა!!! (10 ორიგინალური კონცერტი 1988 წლიდან) და დარჩა კი რაიმე უთქმელი? ორი თავისებურება ახასიათებს ამ ახალ ალბომს

- არა მარტო მიბრუნება, არამედ მაქსიმალური მიახლოება ბაროკოს ეპოქისადმი (ბარგოლის ერთი ალბომი ჰქონდა მხოლოდ ანტიკური არიებით). ყოველივე ეს ორიგინალური პარტიტურების გამოყენებითა და პერიოდული ინსტრუმენტების იტალიური ორკესტრის აკომპანემენტით გამოიხატა. აღსანიშნავია, რომ ორკესტრს ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი ცნობილი ინტერპრეტატორი - ჯოჯონი ანტონინი

ხელმძღვანელობს.

ვივალდის საოპერო მემკვიდრეობა უზარმაზარია. სამწუხაროდ, მისი დიდი ნაწილი არ არის მოღწეული ჩვენამდე. ამიგომ მემოალინისხულ კომპაქტ დისკზე აქამდე შეუსრულებული, კასტრატებისათვის დაწერილი იშვიათი არიებიც მოხვდა (მოიცავს კომპოზიტორის შემოქმედებას 1714 და 1735 წლამდე). მომღერალი ბუკლეტში ხაზს უსვამს იმ ფასდაუდებელ დახმარებას, რაც გურინის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ გაუწია მას ვივალდის ოპერების მანუსკრიპტების მოძიებაში. არ შეგვიძლია აქ არ გავავლოთ პარალელი სახელგანთქმულ ღირიქორ **ჭანკლოდ მალგუარის** მიერ 1992 წელს განხორციელებულ ექსპერიმენტთან. ამ უკანასკნელმა გიტანური შრომის შედეგად რეკონსტრუირება გაუკეთა ვივალდის დაკარგულ ოპერა-სერიას “მონტეცუმა” (**Montezuma**), რომელიც კომპაქტ დისკებზე გამოცდა ფირმამ Astrée Auvidis (E8501 - 2 კომპაქტ დისკი). მალგუარის ვერსიის III აქტში მიგრენას არიას, რასაც საფუძვლად დაედო ფულვიოს არია ოპერიდან “კატონე” (**Catone**) საოცრად ჰგავს (იღნგურია) ბარგოლის დისკზე მეორე ნომრით ჩაწერილი არია (**Griselda: Dopo un'orrida procella**).

ვივალდის კამერული მუსიკის გამომდახილი (კერძოდ, სახელგანთქმული **Le Quattro Stagioni**) აშკარად ვლინდება არიებში ‘*Dell' aura..*’ და ‘*Gelido in ogni vena*’. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რიგ არიებში ვირტუოზულად არის გამოკვეთილი სოლო ინსტრუმენტების წამყვანი პარტია: ორი ფლაჯოლეტი არიაში ‘*Di due rai languire costante*’, ჩანგი არიაში ‘*Sorte Che M'Invitasti...Ho nel petto un cor si forte*’ და სასულე ინსტრუმენტები (ტრომპეტი და ჰორნი) არიაში ‘*Di trombe guerriere*’. რეჩიგაგიეები სრულდება როგორც ჩემბალოს, ასევე თეორბას აკომპანემენტით.

ბარგოლის შესრულების ემოციური სტილი სრულად ესადაგება როგორც უსწრაფეს რიგმებს არიებში ოპერებიდან **Griselda; Giustino; Teuzzone; Bajazet** - ასევე სევილიან რიგმებს ოპერებში **La fida ninfa; Giustino; Farnace** და ექოს სტილში გადაწვეტილ ულამაზეს არიას ‘*Zeffiretti, che sussurrate*’ (ვიოლინოებისა და ჩემბალოების წყველების თანხლებით). ამ კონცერტში მომღერალმა სრულფასოვნად გამოავლინა თავისი ფენომენალური ვოკალური ხელოვნება: იგი არჩახული სისწრაფით უსწორდება უძნელეს პასაჟებს, რომლებიც იმ ეპოქისათვის ასე დამახასიათებელი იყო.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ცნობილი იტალიური კამერული ანსამბლის ბრწყინვალე აკომპანემენტი, რაც სრულყოფილად და უნაკლოდ არის გადმოცემული ხმის ინჟინრების მიერ, რომლებმაც ჩანაწერი გააკეთეს ავსტრიის ქალაქ გრაცში 1999 წელს. თუმცა დახვეწილი, ფაქიზი მსმენელი ისურვებდა, რომ ბარგოლის ხმა ფოკუსში მეტად ან უფრო წინ წამოწეული ყოფილიყო.

ხაზგასასმელია ისიც, რომ კომპაქტ დისკმა ჯილოდების დიდი რაოდენობა დაიმსახურა, მათ შორის ალსანიშნავია “ოქროს დიაპაზონი” და “2000 წლის ოქროს დიაპაზონი” (**Diapason**), “შოკი” (**Le Monde de la Musique**), “რედაქტორის არჩევანი” (**Gramophone**) და კანის 2001 წლის კლასიკური პრიზი, როგორც საუკეთესო ვოკალური ალბომი ბაროკოს რეპერტუარში.

ფირმამ DECCA სტანდარტულ (პლასტიკური კეისი) გამოცემასთან ერთად ეს ალბომი გამოუშვა სპეციალური გამოცემით - ლამაზად და მაღალპოლიგრაფიული ხარისხით დაბეჭდილ წიგნაკთან ერთად, რაც უდავოდ კიდევ ერთი არგუმენტი ამ დისკის შესაძენად.

ბიბლიოთეკებზე ამბობენ

ის, რაც წიგნების საშუალებით გადმოიცემა, სამარადქამოდ რჩება. წიგნი – ეს არის მთელი ცოდნის მსოფლიო სკიფრი. ჩვენ უნდა ვიბრუნოთ, რომ მთელი ეს მონაპოვარი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მივიღოთ და სრულყოფილად, დაუზიანებლად გადავცეთ შთამომავლობას. ამის საშუალებას იძლევა ბიბლიოთეკები.

ჰუმანისტი პაოლო ვერჯერიო

ბიბლიოთეკები – ეს ლუსკუმებია, რომლებშიც ინახება დიად წმინდანთა ნემტები.

ფრენსის ბეკონი

ბიბლიოთეკა პატარა ფართობზე აურაცხელ სიმდიდრეს შეიცავს.

ქრ. მარლო

მე მიყვარს ბიბლიოთეკები, მიყვარს იქ დიდხანს ჯდობა, ვიცი იქედან დროზე წამოსვლაც ... უნდა იყო ბიბლიოთეკის მკითხველი და არა ბიბლიოთეკის ვირთხა.

ანაგოლ ფრანსი

წიგნს უმღერია

არა ხაზს გულში მოწყენის ხემ გაიდგას ფესვი, მოდით, ვიკითხოთ წიგნი, გულში სიამის მთესი.

ფირდოუსი

წიგნს რად კითხულობ, თუ იქნება ეს მოუხმარი? თუგინდ იყო დიდად განსწავლილი, ხარ უმეტარი.

საადი

წიგნის კითხვა, შეგონება დაუღვიათ დია სარგაღ მღაპარი და ყბელი სიგყვა – სანახავად დასაკარგად

ვახტანგ VI

კონწარას კლუბი

ბატონებო და ქალბატონებო, დიდებო და პაგარებო! ვისაც გაქვთ სურვილი, შეგიძლიათ თავისუფლად გაერთიანდეთ „კონწარას კლუბში“.

კონწარა მე გახლავართ! ასეთი სახელი მოქარგული და დათაფლული ენისათვის რომ არ დამარქვეს, ამას თქვენ მშვენივრად მიხვდებით, მაგრამ სამაგიეროდ სიმართლეს პირდაპირ ვუსწორებ თვალს და რასაც ვხედავ, იმას ვამბობ, მრუდე სარკეში არ ვიხედები. ვისაც მოგწონთ ეს და ამგვარად ცხოვრობთ, ყველას გეპატივებით ჩემს კლუბში. წვერად გახდომა ძნელი არ არის ისევე, როგორც ჩემი კლუბის დაარსება – არც ლიცენზია დამჭირვებია, არც რეგისტრაცია, არც ნოტარიუსი და არც სასამართლო. გადავწყვიტე და – მორჩა, გათავდა – შევექმენი კლუბი.

არ გეგონოთ, წვერად გახდომა ფული ღირდეს. არც საწვერო მაქვს შემოდებული და არც რაიმე დავალებით ვმუშავ ვისმეს. ერთადერთი – ეს არის თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილის საფასური ან გრანსპორტის ხარჯი, ჩვენამდე რომ მობრძანდეთ. ისე, შეგიძლიათ, თუკი აქეთ მოდის ვინმე, იმას გამოაგანოთ გზავნილობა, პირობას გაძლეეთ, უკან არ გავაბრუნებთ. ვინც ჩვენგან შორს არ არის და გრანსპორტი არ ჭირდება, ის ხომ აშენდა და ეგ არი!

მთავარია, შეასრულოთ წევრობისათვის საჭირო შემდეგი პირობები:

– თქვენი ნაღვაწი, რომელსაც გამოგვიგზავნით, ჩვეულებრივ ლიტერატურულ ღონეს უნდა აკმაყოფილებდეს;

– მიწასთანაც რომ გაასწოროთ კაცი იქნება თუ ქალი, გინდაც მთელი დაწესებულება, როგორც ამქამად იტყვიან ხოლმე – ფიზიკური თუ იურიდიული პირი, დაუშვებელია უწმაწური და საღანძღავი სიტყვების შეულამაზებლად გამოყენება, კერძოდ: სხვისი თუ ახლა მოლაში შემოსული და ძალიან გავრცელებული საკუთარი დედის გინება, მამის სულის მოსხენიება, თქვენი გამგებლის, პროკურორისა და მოსამართლის შეკურთხება იმათ რომ ეკადრება იმგვარი სიტყვებით, აგრეთვე მასწავლებლისა და გამმრღველების მონათვლა ისეთი გამოთქმებით, თითები რომ უნდა ჩაიღო კაცმა ყურებში. ისე, სხვაგვარად, როგორც გენებოთ, კი ბატონო, ბრძანეთ, რა ფორმითაც გაგიხარდებათ – ფელეგონი, პასკვილი, სატირულ-იუმორისტული ლექსი, მარაბა, ნოველა, არაკი, გამოცანები, მამხილებელი წერილები და ა.შ.

– კონწარას კლუბის წევრს ენა პილპილმოყრილი უნდა ჰქონდეს, კბილები გალესილი. უკბილო მოქალაქეები კლუბში არ მიიღებიან.

– თემატიკა შეუზღუდავია, მაგრამ შეზღუდულია მოცულობა – ნაწარმოები ავტორის ენაზე გრძელი არ უნდა იყოს.

ერთიც უნდა დავძინოთ: ნაწარმოებს, რომელსაც რაიმე მიზეზით ვერ გამოვაქვეყნებთ, მაინც ვერ შეველევიტ და ავტორს უკან ვერ დაუბრუნებთ.

სულ ესაა და ეს!

საუკეთესო კონწარული ნაწარმოებისათვის ავტორები, ჯერ არ ვიცით რით, მაგრამ რომ დაჯილდოვდებიან, ნაღვია. იქონიეთ ამის იმედი! ვინ, თუ არა ჩვენ, მშვენივრად ვიცით, სანამ სული არ გაძვრება, აღამიანი იმედით ცოცხლობს.

ბეირფასო თანაკლუბელებო და მოყურადენო!

ეს – ესაა მივიღეთ პირველი კონწარისგის ლექსი, მაგრამ ავტორი არც თავის ვინაობას ამხელს და არც იმ სოფელს ასახელებს, რომელსაც ნაწარმოებში ასახავს. გთხოვთ, დააკვირდეთ, იქნებ შეიყნოთ, რომელ სოფელზეა აქ ლაპარაკი. ჩვენ გაგვიჭირდა ამის დადგენა, რადგანაც ბევრი იჩემებს, ეს ნამდვილად ჩვენი სოფელიაო. თუ შეგვაგაყობინებთ, კარგს იზამთ.

სახე ეცვალა ჩვენს სოფელს (ჩონგურზე ჩამოსაკვნიესებელი)

სახე ეცვალა ჩვენს სოფელს,
გამოვხალისდით ყველანი,
წიგნი არ გვინდა არავის,
არც რვეული და მელანი.
შუქი თუკი გვაქვს, დილაძე
გვინთია ლურჯი ეკრანი,
ახლა სოფელი აღარ ვართ,
გაქვალაქელდით – ეგ არი!
ახალმა სიომ დაჰბერა,
სადღაა ძველი ბორანი!
საბავშვო ბაღის სანაცვლოდ
გრიალეს დღეს რესტორანი.
წიგნსაგატროში გვიწყვია
ქათმის ბარკლები მსუქანი,
კლუბში კაზინო გავსენით,
ბიბლიოთეკაში – დუქანი.
ძველები გვიკიჟინებენ:
– საქმე ჰქენითო საზარი!...
– რა მოხდა, თუკი სგადიონს
ვარჩიეთ სოფლის ბაზარი?


აბანო იქცა საცხოხად,
ცხვება ცხელ-ცხელი პურები,
ვისაც კი სად მოგვესურვა,
ჩავიდგით იქ ჯიხურები.
მოლით, გენახეთ და იხარეთ,
გახდებით ბევრის მხილველი ...
სოფლის პარკს დაეპატრონა
საქონელი და ფრინველი.
გავჩხვით ძველი ხეები, –
შუქი მეგია საჭირო, –
შეშაც ხომ გვინდა, ბატონო,
სალხინოლა თუ საჭიროდ?
აღარ დავდივართ ნახირში, –
მინდვრად იქნება თუ ქედში,
ცალი ფეხით რომ აქა ვართ,
მეორე გვიდგას თურქეთში.
ვყიდულობთ, ვყიდით, ვასაღებთ,
რას ვაქნევთ რჯულს და ერთობას!
რაც მთავარია, არაფრით
არ ჩამოვრჩებით ევროპას.

სახე ეცვალა ჩვენს სოფელს,
გამოვხალისდით ყველანი,
წიგნი არ გვინდა არავის,
არც რვეული და მელანი.

ველით თქვენს გაწვერიანებას ჩვენს კლუბში,
მობრძანდით!

თქვენი კონწარა

ანდაზვორდი



თარაზულად:

1). ... სტუმრის ვირიაო; 5). გაჭიმული ... მალე გაწყდებაო; 6). ზამთრის ... ყვავილს ვერ მოიყვანსო; 7). ... აკვანში იცნობაო; 9). მგელსაც კი აქვს ნება თავის ბუნაგში თავისი ... იჩივლოსო; 12). ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავისი დასაკლავი ... გამოჩხრიკაო; 13). ერთი დამპალი ... ცხრა ვაშლს დააღობოსო; 15). აქლემს უთხრეს ... მრუდე გაქვსო და სხვა რა მაქვს სწორიო; 19). ... გვარზე ხგისო; 20). კარგ მთქმელს კარგი ... უნდაო; 22). ყველა ფრინველი ხეზე მის, ... მიწაზე გოგდება; 25). ... ბელის მონახვერეაო; 26). თავგმა თხარა, თხარაო, ... გამოთხარაო; 27). ყვავსაც თავისი ... მოსწონსო; 29). ... ვერა ხელავს, მაგრამ საზრავსო; 31). ... ნახშირია - თუ არ დაგწვავს, გაგსვრის მაინცა; 32). ზღვას ... არ უჩანდა და ამბობდნენ - უპიროაო;

შვეულად:

1). კაცი რამდენს თავის თავს უზამს, იმდენს ... ვერ უზამსო; 2). რაღაა იგი ..., რასაცა ახლავს ბნელია; 3). ძველი ჩოხა და ... ზამთარში მოგეწონებაო; 4). მუნჯის ... დღამ იცისო; 5). დღემეხვალე კაცსაო ... მოადგა კარსაო; 7). ... მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა; 8). ... უეკლოდ არავის მოუკრეფია; 10). ... არ მოგცემს ყურძენსა; 11). მეღია მახეში გაება და თავი მოიძინარა, - ... იქნებაო; 14). ის ურჩევნია მამულსა, რომ ... სჯობდეს მამასა; 15). სინდისს კბილები არა აქვს, მაგრამ ... კი იცისო; 16).

... ფეხით დადისო; 17). კარგი ... კარგ ყმას ხმალივით უნდა ამშვენებდეს; 18). ... ისე არ მოკვდება თხის დასამარხი გახდესო; 21). ახალგაზრდა ... წისქვილის რაკუნზედაც იცეკვებსო; 22). მახლობელი კარგი ... სჯობია შორეულ ძმასაო; 23). ალხანას ... არ დაეღვევაო; 24). ... თუ თავზე არ გაყრია, სიგებობა, სიგებობა ფრჩხილსაც არ დაგიფარავსო; 25). ... შიგნიდან გატყდებაო; 26). რომ მოკვდება კაი ..., მკვდარიც ცოცხლად ჩაითვლება; 27). ... რომ წაიქცევა, სახლ-კარიცა დაიქცევა; 28). ... სჯობია ღონესა, თუ კაცი მოგონებსა; 30). ვინც წყალზე გადგა პატარა ხილიო, იმან ... ქნა ერთობ დიდიო;

ქურნალის წინა ნომერში დაბეჭდილი ლექსეორდის პასუხები :

თარაზულად : 1) ბრძოლა; 3) საბანი; 5) ჩრდილი; 9) ძალა; 10) ბელი; 11) გელი; 12) დღე; 13) თმა; 17) თაობა; 19) მწირი; 20) სიკვდილი; 22) იასამანი; 24) ანანური; 25) ჩონგური; 26) ვაზი; 27) აზრი; 29) ცრემლი; 30) ცხენი;

შვეულად : 1) ბინა; 2) ოცნება; 3) სახე; 4) ალერსი; 5) ჩოხა; 6) ივლისი; 7) საიდუმლო; 8) სიხარული; 14) სანთელი; 15) ხეგიალი; 16) სიძულელი; 18) ანგელოსი; 19) მშვიდობა; 21) კანონი; 23) ადგილი; 28) ცუცხლი;

კონსერვაცია კლუბის გამოფენა



საბაზრო ეკონომიკა თავის უღმობელ
კანონებს კარნახობს ბიბლიოთეკებს.
მათგან დიდი უმრავლესობა აღარ ღებულობს
ახლადგამოცემულ ლიტერატურას.



— თაროები ცარიელდება, თუ ასე წავიდა
ჩემი ბიბლიოთეკის საქმე,
ვეჭვობ, ეს ერთი წიგნი მაინც გადავარჩინო!



3-

h 96/4



სიზინი მებოზრები